

କବିତାଳାନ୍ତି 1.2016



**ISSN 2346-8416**

# არეალი

აღმოსავლური ჟურნალი

1

იანვარი – თებერვალი

თბილისი

2016

„არმალანი – შორით მოსულისაგან მოლებული  
მის თემის ძლვენი” (საბა).

ჟურნალი დაარსებულია 2016 წ.

მაგალითობრივ

მიერ

რედაქტორი

მზადებელი

სწავლული მდივანი

ნანა ჯანაშვილი

დამკაბადონებული:  
ნანა ყანდაშვილი

ყდის დიზაინი:  
ირაკლი უშვერიძე

## მპიონერულთა მიმართ

1965 წელს გამოვაქვეყნე სხვადასხვა დროს და სხვათა და სხვათა მიერ შესრულებული აღმოსავლური მწერლობის ქართული თარგმანების კრებული. წიგნისთვის შესაფერის სახელწოდებას ვეძებდი. ბედად, ჩემმა მასწავლებელმა, ცნობილმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ, ვლადიმერ ფუთურიძემ მირჩია: „არმალანი“ დაარქვიო! უკეთეს სახელს ვერც ვინატრებდი.

კრებულმა დიდი წარმატება მოიპოვა, რამაც გამიჩინა იდეა, გამეგრძელებინა თარგმანთა დაბეჭდვა და გამომეცა იგი, როგორც აღმანახი.

1977 წელს გამოვაქვეყნე მისი მეორე, ხოლო 1982 წელს – მესამე წიგნი. 1988 წელს შევძელი „არმალანის“ მეოთხე ნომრის დაბეჭვდაც.

„მადა ჭამაში მოდის“. გავთამამდი და გადავწყვიტე, ამ სახელწოდებით გამომეცა არა აღმანახი, არამედ – ბარემ უურნალი. მაგრამ სანამ ამისთვის ვემზადებოდი, ქვეყანა აირია და „არმალანის“ თავი ვის ჰქონდა! თანაც, ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილება მძვინვარებდა და რეგულარულ პერიოდიკულ გამოცემაზე ფიქრი ფუჭი ოცნება იყო, – უურნალის გამოცემის ნებართვას იძლეოდა (წაიკითხე: არ იძლეოდა), „ოქროს ურდო“ – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ბიურო (ფუი ეშმაკს! – რას ვითიქრებდი, თუ ოდესებ კიდევ მომიხდებოდა ამ უხსენებლის ხსენება?!?) და, ამდენად, ასეთი მიზნის განხორციელება ყოვლად შეუძლებელი საქმე გახდათ.

ამასობაში დრო შეიცვალა და მეც ისევ გავიხსენე ჩემი აღმანახი, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი უურნალის გამოცემა უკვე იოლი გახდა. მაგრამ ახლა დაფარულმა ჭირმა იჩინა თავი: აქაო და ყველაფრის დაბეჭდვისა და წაკითხვის ნება მოგვეცაო, სოკოებივით მომრავლდა რაგინდარა პრესა (სწორედ რომ სოკოებივით, – მათი უმრავლესობა შხამიანია). გულუბრყვილო და გამოუცდელი ხალხი თავისუფალი აზრის გამოთქმას, აბდაუბდის წერას და მის კითხვას დაეწაფა. დაეწაფა და მიეჩვია. ეს მაფიქრებს: ვაითუ „არმალანის“ დანიშნულება, მასში გამოქვეყნებული თავისთავად წარმტაცი და, ამავე დროს, ჩვენი ეროვნული ცნობიერებისთვის ესოდენ საჭირო ძეგლები „თავისუფალ“ პრესას დახარბებულ ქართველ მკითხველს უკვე აღარც აინტერესებდეს! იგი ტირაუით გაიყიდება კი? ვთქვათ და გაიყიდა. გამოცემის სახსრები მე არ გამაჩნია (არც ისე დიდი ხნის წინ ჩვენში შეძლებულ კაცზე იტყოდნენ: პროფესორივით ცხოვრობსო. დღეს კი საქართველოში პროფესორს მეტოვეზე ბევრად ნაკლები ხელფასი ეძლევა). ბინძური სალაფავით გასუქებული და უზომოდ გაზულუქებული ბევრი მდიდარი ქართველი ჩვენი კულტურისკენ არც იხედება. ცხოვრება ცვალებადია და ვშიშობ, ვაითუ ჩვენი, ქართველების, ცნობიერება ამ ბოლო დროის კატაკლიზმებმა უკვე შეცვალა!

XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის ასე მაღალი და პატივდებული დონე მეტნილად სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, პატი-

ოსანი გარჯით, ღვთისაგან ბოძებული ნიჭიერებითა და საკუთარი პირის ოფლით გამდიდრებული ქართველი ბიზნესმენებისა (დავით სარაჯიშვილის, აკაკი ხოშტარიას, ქადაგი ზუბალაშვილებისა და ბევრი მათი თანამოძმის), აგრეთვე ჩვენი პატრიოტი მაღალჩინოსნების (დიახ, ქართველი მაღალჩინოსნების!) უანგარო (ხაზს ვუსვამ: უანგარო) ქველმოქმედების დამსახურებაა. ჩვენი დიდი მეცნიერებისა და მწერლების უმრავლესობამ ხომ მათი ხარჯითა და მზრუნველობით მიიღო განათლება ევროპასა და რუსეთში!

**დღეს?**

დღეს რამდენ ქართველ მილიონერს დავუჩოქე, რამდენ ჩვენს მდიდარ თანამემამულეს ჩამოვახიერების ჩოხის კალთა, დაეფინანსებინათ „არმაღანი“, მაგრამ ზედაც არავინ შემომხედა.

მაგრამ „მე იგივე ვარ მარად და მარად“. უკან არ ვიხევ და საკუთარი ხარჯით ვაპირებ, რადგან ხელმოკლე კაცი ვარ, „არმაღანის“, როგორც უურნალის, მხოლოდ 30 (დიახ, არ შეგშლიათ: 30, – ოცს მიმატებული ათი) ცალად გამოცემას. ამით იმ მკითხველთ, რომელთაც ეს ამბავი გაუხარდებათ, მინდა ვახარო: „არმაღანი“ არ მომკვდარა, ის კიდევ სუნთქავს.

**მაგალი თოდუა**



اکنادویلہ دینیتی ادارہ

# ყურანი

## სურა 19

გარიბაში  
მექური<sup>1</sup>, 98 აია

სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა, მწყალობელისა

1. ქაფჲა და ‘აინ სად.<sup>2</sup>

2. გახსენება შენი უფლის წყალობისა თავისი მონისა ზაქარიასადმი.<sup>3</sup>

3. აჰა, იდუმალი ღალადისით მოუხმო მან თავის უფალსა,

4. თქვა: „ჭეშმარიტად, უფალო ჩემო, დასუსტდა ძვლები ჩემი და თავი ჭალა-რით აელვარდა. და არა ვყოფილვარ, უფალო, მოცარული ვედრებაში შენდა.

5. და, ჭეშმარიტად, შიში მაქვს ჩემი ახლობლებისა ჩემ შემდგომ.<sup>4</sup> ხოლო უნა-ყოფოა ცოლი ჩემი, და შთამომავალი შენგან მომეცი მე,<sup>5</sup> –

6. მემკვიდრედ მექმნეს მე, და მემკვიდრედ ექმნეს იაკუბის<sup>6</sup> სახლს, და სათნო ქმენ იგი!“.

7. „ჰო ზაქარია!<sup>7</sup> ჭეშმარიტად, გახარებთ შენ ყრმას, რომლის სახელია იაჰია<sup>8</sup>, – არ გაგვიჩენია ადრე თანამესახელე მისი.“

8. თქვა: „უფალო ჩემო, როგორ მეყოლება ყრმა, როცა ცოლი ჩემი უნაყოფოა, ხოლო უკვე სიბერისაგან უძლურებას ვენიე მე.“<sup>9</sup>

9. თქვა: „ასე ამბობს უფალი შენი: ადვილია ეს ჩემთვის, – მე უკვე შეგქმენი შენ ადრე, ხოლო არაფერი იყავი შენ.“

10. თქვა: „უფალო ჩემო, მომეცი რამე ნიშანი.“ თქვა: „შენი ნიშანი ისაა, რომ, საღ-სალამათი, შენ სამ ღამეს არ დაელაპარაკები ხალხს.“<sup>10</sup>

11. და გამოვიდა სალოცავიდან თავისი ხალხის წინაშე და შთააგონებდა: „ადიდეთ<sup>11</sup> ცისკრის ჟამს და მწუხრის ჟამს!“<sup>12</sup>

12. „ჰო იაჰია!<sup>13</sup> გეჭიროს მტკიცედ წიგნი!“<sup>14</sup> და ჩვენ მას სიბრძნე ვუბოძეთ ყრმობაში,

13. და კეთილმოწყალება ჩვენგან და სიწმიდე. და ღვთისმოშიში იყო იგი,

14. და სათნო მშობელთა მიმართ, და ამპარტავანი და ურჩი არ იყო იგი.

15. მშვიდობა მას იმ დღეს, როდესაც იშვა, და იმ დღეს, როდესაც მოკვდეს, და იმ დღეს, აღდგენილ იქნეს ცოცხლად როდესაც!

16. და ახსენე<sup>15</sup> წიგნში<sup>16</sup> მარიამი!<sup>17</sup> აჰა, განეშორა თავის ოჯახს აღმოსავლე-თის ადგილისაკენ,<sup>18</sup>

17. და ფარდა ჩამოიფარა მათგან. მერე მოვუვლინეთ ჩვენ სული ჩვენი,<sup>19</sup> და სრულად კაცის სახით გამოეცხადა.

18. თქვა ქალმა: „ყოვლადმოწყალეს<sup>20</sup> მივმართავ საშველად, თუკი ხარ ღვთისმოშიში შენ.“

19. თქვა: „მე მხოლოდ მოციქული ვარ შენი უფლისა, რათა წმიდა ყრმა შეგძინო შენ.“

20. თქვა: „როგორ მეყოლება ყრმა, – კაცი არ შემხებია და მემრუშე არა ვყოფილვარ მე?!”<sup>21</sup>

21. თქვა: „ასე ამბობს უფალი შენი: ადვილია ეს ჩემთვის. და აპა, დავადგინოთ იგი აიად<sup>22</sup> ხალხისათვის და წყალობად ჩვენგან. და იყოს საქმე აღსრულებული.“

22. და მუცლად იღო იგი,<sup>23</sup> და შორეულ ადგილას განმარტოვდა მასთან ერთად.

23. და პალმის ხესთან მიიყვანა მშობიარობის ტკივილმა, თქვა: „ნეტავი მომკვდარიყავი ამაზე უწინ და დაკარგულ-დავიწყებული ვყოფილიყავი!“

24. და დაიძახა მის ქვემოდან:<sup>24</sup> „ნუ დამწუხრდები! – უფალმა შენმა წყარო ადინა შენს ქვემოთ,

25. მოსწიე შენკენ პალმის ტოტი! – ჩამოგიცვინოს ახლადდამწიფებულნი,<sup>25</sup>“

26. მერე ჭამე და სვი და თვალი გაიხარე, ხოლო, თუ კაცთაგანი იხილო ვინმე, უთხარი: ყოვლადმოწყალეს აღთქმა მივეცი მარხვისა, და ძეხორციელთაგან არავის დაველაპარაკო მე!“

27. და მიუყვანა იგი<sup>26</sup> თავის ხალხს, ხელში ეჭირა. უთხრეს: „ჰო, მარიამ! არგაგონილი რამ ჩაგიდენია!

28. ჰო დაო ჰარუნისაო!<sup>27</sup> არა ყოფილა მამა შენი ბოროტი კაცი და არცა დედა შენი იყო ქალი მემრუშე.“

29. ხოლო ანიშნა მასზე,<sup>28</sup> უთხრეს: „ვინცა ყრმაა აკვანში, როგორ დაველაპარაკოთ იმას?!”

30. თქვა:<sup>29</sup> „ჭეშმარიტად მე ვარ მონა ალლაჰისა,<sup>30</sup> მან მიბოძა წიგნი<sup>31</sup> და წინასწარმეტყველად მქმნა მე,

31. და მქმნა მე კურთხეულად, სადაცა ვიყო მე, და ლოცვა და წყალობა მიანდერძა, ვიდრე ცოცხალი ვიყო მე,

32. და კეთილისმიგება ჩემი დედისადმი, და ამპარტავანი და მოცარული არა მქმნა მე.

33. და მშვიდობა ჩემდა იმ დღეს, როდესაც ვიშვი, და იმ დღეს, როდესაც მოვკვდე, და იმ დღეს, აღდგენილ ვიქნე ცოცხლად როდესაც!“

34. ეს არის – სიტყვით ჭეშმარიტებისა<sup>32</sup> – ისა ძე მარიამისა,<sup>33</sup> რომელშიც ეჭვი შეაქვთ.<sup>34</sup>

35. არ იქნება, ალლაჰი შვილი იყოლიოს.<sup>35</sup> დიდება მას! თუ საქმე რამ განიზრახა, ეტყვის მხოლოდ „იყავ!“ და იქნება ის.<sup>36</sup>

36. და, ჭეშმარიტად, ალლაჰი უფალია ჩემი და უფალია თქვენი.<sup>37</sup> მერე – თაყვანი ეცით მას! – სწორი გზა ესაა.

37. ხოლო დავობენ დასნი მათ შორის. და ვაი მათ, ურნმუნონი რომელნიც არიან, დიადი დღის<sup>38</sup> სანახავისგან!

38. როგორ ისმინონ და როგორ იხილონ იმ დღეს, ჩვენთან რომ მოვლენ? მაგრამ დღეს გზაპნეულნი არიან ცოდვის მქმნელები.

39. და შეაგონებდე მაგათ გლოვის დღის გამო. აჲა, ალსრულებულია საქმე, ხოლო უგულისხმობას ჩავარდნილან და არა სწამთ მაგათ.

40. ჭეშმარიტად, ჩვენ ვემემკვიდროთ<sup>39</sup> ქვეყანას და ვინცაა მასში, და ჩვენდა მოიქცნენ ისინი.

41. და ახსენე<sup>40</sup> წიგნში<sup>41</sup> იბრაჟიმი<sup>42</sup> – ჭეშმარიტად, მართალი და წინასწარმეტყველი იყო იგი.

42. აჲა, უთხრა მამას თავისას: „ჰოი, მამავ ჩემო, რადა სცემ თაყვანს იმას, ვინცა ვერც ისმენს და ვერცა ხედავს და ვერაფრისაგან დაგიხსნის შენ?“

43. ჰოი, მამავ ჩემო, განმეცხადა მე ცოდნა, შენ რომ არ განგცხადებია, და მე გამომყევი! – ჭეშმარიტი გზით წარგიძლვე შენ.

44. ჰოი, მამავ ჩემო, შაიტანს ნუ სცემ თაყვანს! – ჭეშმარიტად, ყოვლადმოწყალის ურჩი იყო შაიტანი.

45. ჰოი, მამავ ჩემო, ჭეშმარიტად, შიში მაქვს, რომ სასჯელი გეწევა ყოვლდამოწყალისა და შაიტანის მსახური იქნე შენ.“

46. თქვა: „ნუუთუ ჩემს ღმერთებს უარყოფა, ჰოი იბრაჟიმ? თუ არ მოიშლი, ქვებით ჩაგქოლო, და რამდენსამე ხანს გამეცალე მე!“

47. თქვა: „მშვიდობა შენდა! შენდობასა ვსთხოვ შენთვის ჩემს უფალს, – კეთილმოწყალეა ჩემდამი იგი.

48. და გაგეცლებით თქვენცა და იმასაც, რასაც ალლაჟის გარდა მოუხმობთ თქვენ. და მოვუხმობ ჩემს უფალს, – ეგების ჩემი უფლისადმი ვედრებაში მოცარული არ ვიყო.“

49. და როცა გაეცალა მაგათ და იმას, რასაც ალლაჟის გარდა თაყვანს სცემდნენ ეგენი, ჩვენ ისპაკი<sup>43</sup> და იაკუბი ვუწყალობეთ, და ყველანი წინასწარმეტყველებად ვქმენით ჩვენ.

50. და ვუწყალობეთ მათ ჩვენი მოწყალება და სიმართლის ენა ამაღლებული.

51. და ახსენე წიგნში მუსა<sup>44</sup>, – ჭეშმარიტად, გულწრფელი იყო იგი და იყო მოციქული, წინასწარმეტყველი.

52. და მოვუხმეთ მთის<sup>45</sup> მარჯვენა მხარიდან და მოვიახლოვეთ საიდუმლო საუბრად იგი.

53. და ჩვენი წყალობიდან ვუწყალობეთ ძმა მისი ჰარუნი წინასწარმეტყველად.

54. და ახსენე წიგნში ისმაილი<sup>46</sup>, – ჭეშმარიტად, ალთქმის ერთგული იყო იგი და იყო მოციქული, წინასწარმეტყველი.

55. და ლოცვას<sup>47</sup> უბრძანებდა თავის ხალხს და ზაქათს<sup>48</sup>, და სათნო იყო თავისი უფლის წინაშე იგი.

56. და ახსენე წიგნში იდრისი<sup>49</sup>! – ჭეშმარიტად, მართალი და წინასწარმეტყველი იყო,

57. და მაღალ ადგილას ავამაღლეთ იგი.

58. ესენი არიან, რომელთაც წყალობა უბოძა ალლაჰმა, – წინასწარმეტყველთაგან, ადამის შთამომავალთაგან, და იმათგან, რომელნიც ვატარეთ წუპთან<sup>50</sup>ერთად, და იბრაჰიმის და ისრაილის<sup>51</sup>შთამომავალთაგან, და იმათგან, რომელნიც სწორ გზას დავადგინეთ და გამოვარჩიეთ ჩვენ. როცა აიები ეკითხებათ ყოვლად-მოწყალისა, ძირს განერთხმიან ისინი, თაყვანისმცემელი და მომტირალნი.

59. და შემდგომ მოჰყვნენ მათ შთამომავლები, რომელთაც დაკარგეს ლოცვა და აჰყვნენ ვნებათა, მერე სასჯელს ეწევიან ეგენი,

60. იმათ გარდა, ვინც მოინანია და ინამა და კეთილი საქმე თესა. და სამოთხე-ში შევლენ ისინი, და წყენა რამ არ მიადგეთ, –

61. მარადისობის წალკოტებში, რაც, უხილავად,<sup>52</sup> თავის მონებს აღუთქვა ყოვლადმოწყალემ. ჭეშმარიტად, აღსრულდეს აღთქმა მისი.

62. იქ ვერ ისმინონ ფუჭი სიტყვა, მხოლოდ – „მშვიდობა“, და სარჩო ექნეთ დი-ლასა და საღამოს იქ.

63. ეს არის სამოთხე, რომელიც სამკვიდროდ მივცეთ ჩვენს მონათაგან იმას, ღვთისმოშიში ვინცაა.

64. და ჩვენ<sup>53</sup> ზეცით მხოლოდ შენი უფლის ბრძანებით გარდამოვხდებით, მას ეკუთვნის, რაც ჩვენს წინაა და რაც ჩვენს უნინაა და რაცაა ამათ შორის. და გულ-მავიწყი არ არის უფალი შენი.

65. უფალი ცათა და ქვეყნისა და რაცაა ამათ შორის – მას თაყვანი ეც და მტკიცე იყავ მის თაყვანისცემაში! განა იცი ვინმე თანამესახელე მისი?

66. და იტყვის ადამიანი: „განა, რომ მოვკვდები, მერე ცოცხლად ვიქნები აღ-დგენილი?“

67. მაგრამ განა არ ახსოვს ადამიანს, რომ ჩვენ შევქმენით იგი ადრე, ხოლო არაფერი იყო იგი?

68. და ვფიცავ შენს უფალსა, დიახაც შევკრებთ ჩვენ მათ<sup>54</sup> და შაიტანებს, და დიახაც ჯოჯოხეთის გარშემო მუხლმოყრილთ დავაყენებთ მაგათ,

69. მერე გამოვკრებთ ყოველი დასიდან იმათ, ვინც ყველაზე მეშფოთარი იყო ყოვლადმოწყალის მიმართ.

70. მერე – დიახაც ჩვენ ყველაზე უკეთ ვიცით, ვინცაა უფრო ღირსი, ცეცხლში დაიწვას იქ.<sup>55</sup>

71. და არავინაა თქვენს შორის,<sup>56</sup> იქ რომ არ შევიდეს, – ეს შენი უფლის მიერ განაჩენია დადგენილი.

72. მერე ჩვენ ვიხსნით, ღვთისმოშიშნი რომელნიც არიან, ხოლო ცოდვის-ქმნელებს მუხლმოყრილთ დავტოვებთ იქ.

73. და როცა ცხადად ეკითხებათ ჩვენი აიები, ეტყვიან ისინი, ვინც არ ინამა, იმათ, ვინც ინამა: „ამ ორიდან რომელი გუნდია უკეთესი – ღირსებით, და უმჯობე-სი – კრებულად?“

74. ხოლო რამდენი თაობა ამოვწყვიტეთ მაგათზე უნინ! და უფრო მდიდარნი იყვნენ და უფრო თვალადნი ისინი.

75. თქვი შენ:<sup>57</sup> „ვინც ჩავარდნილა შეცომილებაში, იმათ ყოვლდამოწყალე გაუხანგრძლივებთ ვადას, ვიდრე იხილონ, რაც აღთქმული აქვთ – ან სასჯელი<sup>58</sup> და

ან უამი.<sup>59</sup> მერე შეიტყონ მაგათ, ვისი ადგილია უფრო ცუდი, და უფრო სუსტი ვისია გუნდი!“

76. და ვინც სწორი გზით მავალია, იმათ გაუზრდის ალლაპი წარმართებას. ხოლო კეთილი საქმენი, გარდაუსვლელნი<sup>60</sup>, უკეთესია ჯილდოდ შენი უფლის წინა-შე და უკეთესია საზღაურად.

77. და თუ გიფიქრია<sup>61</sup> იმაზე, ურნმუნო ვინც იყო ჩვენი აიებისადმი და იტყო-და: „უთუოდ მომეცემა მე ქონება და შვილები!“<sup>62</sup>

78. განა იხილა უხილავი, ანდა აღთქმა აიღო ყოვლადმოწყალისაგან მაგან?

79. მაგრამ არა! ჩავიწერთ ჩვენ, რასაცა ამბობს, და გრძლად გავუხანგრძლი-ვებთ სასჯელს.

80. და ჩვენ ვემემკვიდროთ, რასაცა ამბობს, იმას,<sup>63</sup> ხოლო მოვა ის ჩვენთან მარტოსული.

81. და მაგათ ალლაპის გარდა სხვა ღმერთები გაიჩინეს, რათა ისინი დიდება იყვნენ მათი.

82. მაგრამ არა! არ მიიღებენ მაგათ თაყვანისცემას და მაგათი მტრები იქნე-ბიან ისინი.

83. განა არ იცი,<sup>64</sup> რომ ჩვენ წარვგზავნეთ შაიტანები ურნმუნოთა წინააღმდეგ – შეაგულიანონ გულმოდგინედ.

84. მერე: ნუ იჩქარებ მაგათ წინააღმდეგ! ჭეშმარიტად, ჩვენ დავუთვლით სათვალავს მაგათ.<sup>65</sup>

85. იმ დღეს, როცა ყოვლადმოწყალის წინაშე პატივით შევკრიბოთ ღვთისმო-შიშნი გუნდებად,

86. და ცოდვილნი ჯოჯოხეთში შევყაროთ, როგორც სარწყულებელს დაწყუ-რებულნი,

87. ვერ პოვონ შუამდგომლობა იმათ გარდა, ვინც აღთქმა აიღო ყოვლადმოწ-ყალისაგან.

88. და თქვეს: „ყოვლადმოწყალემ ძე იყოლია.“<sup>66</sup>

89. საზიზღარი რამ მოგიტანიათ!

90. ლამის ცანი განიპონ ამისაგან, და მიწა გაირღვას, და მთანი მტვრად ჩამო-იშალონ,

91. რომ ძე მოუსურვეს ყოვლადმოწყალისათვის.

92. ხოლო არ იქნება, ყოვლადმოწყალემ ძე იყოლიოს.

93. ყოველი, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, მხოლოდ მონად წარდგება ყოვლადმოწყალის წინაშე, –

94. მან უკვე აღრიცხა ისინი და დათვალა სათვალავით.

95. და აღდგომის დღეს ყოველი მათგანი მოვა მასთან მარტოსული.

96. ჭეშმარიტად, რომელთაც იწამეს და კეთილი საქმენი თესეს, სიყვარულს მიანიჭებს ყოვლადმოწყალე იმათ.

97. ჩვენ იოლი ვქმენით იგი<sup>67</sup> შენი ენით<sup>68</sup>, რათა ახარო ამით ღვთისმოშიშთ და შეაგონო ურჩთა ამით.

98. ხოლო რამდენი თაობა ამოვწყვიტეთ მაგათზე უნინ! ერთს მაინც თუ ჰგრძნობ მაგათგან, ანდა თუ გესმის გაფაჩუნება მათი?

## პომენტარები

1. გარდა 58-ე და 71-ე აიებისა, რომლებიც ტრადიციით მიჩნეულია მედინაში მოვლენილად.
2. არაბული ანბანის ხუთი ასოს სახელწოდებები. ასე, არაბული ანბანის სხვადასხვა ასოთი ან მათი კომბინაციით, ყურანში სულ 29 სურა იწყება. ამ თავისებური კრიპტოგრამების მნიშვნელობა და დანიშნულება გაუშიფრავია. ყველაზე გავრცელებული, ტრადიციული, ახსნა ზოგადი ხასიათისა: ალლაჰმა უკეთ იცის, რაც სურდა ამით.
3. იოანე ნათლისმცემლის მამა (იხ. ლუკა 1:5). იოანეს დედა (ელისაბედი) აარონის შთამომავალი და ქალწულ მარიამის ნათესავი იყო (ლუკა 1:36).
4. არაბი კომენტატორები, ჩვეულებრივ, მიუთითებენ ბიძაშვილებზე, რომლებსაც ზაქარიას სიკვდილის შემდეგ შეიძლება დაეთმოთ ჭეშმარიტი რწმენა.
5. შდრ ყურანში 3:38.
6. ბიბლ. იაკობი. ყურანში – მოციქული.
7. იგულისხმება: გაისმა ხმა („ჰოი ზაქარია!“). ამავე სიუჟეტის გადმოცემისას 3:39 ამბობს: „და გამოუცხადეს ანგელოზებმა“; ისლამური ტრადიცია აქ, ჩვეულებრივ, გულისხმობს ჯიბრილს (ბიბლ. მთავარანგელოზი გაბრიელი), შდრ ლუკა 1:19 („მე ვარ გაბრიელი, ღვთის წინაშე მდგომი, წარმოგზავნილი ვარ, რათა გელაპარაკო და გახარო შენ“).
8. შდრ 3:39 („ალლაჰი გახარებს შენ იაპიას“); შდრ ლუკა 1:13. იაპია – ყურანის პერსონაჟი, მოციქული, სახარებისეული იოანე ნათლისმცემელი. ყურანის შემდგომ გადმოცემებში მოთხრობილია, რომ იაპიას სისხლი დუღდა იმ ლანგარზე, რომელზეც მისი მოკვეთილი თავი იდო, ასევე – მის საფლავზე. მუსლიმები პატივს მიაგებენ იოანე ნათლისმცემლის თავის დაკრძალვის ადგილს (დამასკოში, ომაიელთა მეჩეთში).
9. შდრ 3:40. შდრ ლუკა 1:18.
10. შდრ 3:41. შდრ ლუკა 1:20. („არ დაელაპარაკები ხალხს“ – იგულისხმება: მეტყველების უნარი არ გექნება წართმეული. მაგრამ ხალხს მხოლოდ მინიშნებებით დაელაპარაკები/შეაგონებ).
11. უფალი.
12. შდრ 3:41 („ახსენე შენი უფალი და ადიდე მწუხრის ჟამს და ცისკრის ჟამს“).
13. იგულისხმება: ალლაჰი მიმართავს იაპიას მისი დაბადების შემდეგ (არაბი კომენტატორები აკონკრეტებენ: ორი წლის შემდეგ).
14. თორა.
15. მუჰამმად! მიმართვისას მეორე პირი (მხ. რიცხვი) მუჰამმადია.
16. იგულისხმება ყურანი.
17. ქალწული მარიამი ყურანის ტექსტში ერთადერთი ქალია, მოხსენიებული თავისი სახელით, სულ ყურანში მოხსენიებულია 33-ჯერ; მარიამის სახელს ატა-

რებს მოცემული, მე-19, სურა. მასში, აგრეთვე მე-3 სურაში, მოთხრობილია იქსოს უბინო ჩასახვის შესახებ (ყურანი იზიარებს უბინო ჩასახვის ქრისტიანულ დოგ-მატს). მომდევნო (27-33) აიებში – იმის შესახებ, რომ ხალხი მას საყვედურობდა, რასაც პასუხი ახლადშობილმა იქსომ გასცა. ყურანში (მაგ. 66:12) იხსენიება როგორც ღვთისმოსავი, წმინდანი ადამიანი. ისლამური სამყარო მას უდიდეს პატივს მიაგებს, აღიარებს სამოთხის ქალთა წინამძლოლად.

18. (იერუსალიმის) ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს.

19. იგულისხმება ჯიბრილი (ბიბლ. აბრიელი. – იხ. ლუკა 1:19,26; დან. 8:16, 9:21). შდრ ლუკა 1:26 („მეექვსე თვეს კი წარმოიგზავნა ღვთისაგან გაბრიელ ანგელოზი“), ლუკა 1:28 („შევიდა მასთან (გაბრიელი. – ა.ს.) და უთხრა: „გიხაროდეს, მომადლებულო, შენთანაა უფალი, კურთხეული ხარ დედათა შორის“). ჯიბრილი ყურანში დასახელებულია უშუალოდ თავისი სახელითაც (2:97, 98; 66:4).

20. არაბ. არ-რაჰმან – მოწყალე/ყოვლადმოწყალე. ალლაჰის ერთ-ერთი სახელი, რომელიც, საკუთრივ „ალლაჰის“ და „უფლის“ (რაბბ) შემდეგ, ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება ყურანში. ყურანის ტექსტის მოვლინების ქრონოლოგიაში არის ერთი პერიოდი (ევროპული, თ. ნელდეკეს, კლასიფიკაციით – მეორე მექური, „რაჰმანული“), რომელშიც ალლაჰისთვის განსაკუთრებით ხშირადაა ეს სახელი გამოყენებული (პირველი მექური პერიოდის სურებში გვხვდება სამჯერ, მესამე მექურისაში – ერთხელ; გარდა ამისა, გვაქვს რამდენიმე სურა – მათ შორის მედინური სურები, – რომლებშიც სულ ექვსჯერ ეს სიტყვა გვხვდება მყარ გამოთქმაში „არ-რაჰმან არ-რაჰმი“; ეს გამოთქმა ასევე ნახმარია ე.წ. ბასმალაში „ბისმი-ლ-ლაჰი-რ-რაჰმანი-რ-რაჰმი“ – „სახელითა ალლაჰისა მოწყალისა მწყალობელისა“, რომელიც, გარდა ერთი სურისა, წინ უძღვის ყოველი სურის ტექსტს). მოცემული, მე-19, სურა ამ პერიოდს განეკუთვნება; მასში ეს სიტყვა 16-ჯერ გვხვდება (შედარების-თვის: „ალლაჰ“ ნახმარია 8-ჯერ, „რაბბ“ – 22-ჯერ). ერთი ღმერთის აღსანიშნად არ-რაჰმან სიტყვა იხმარებოდა ყურანამდე, ისლამამდელ ეპოქაშიც (ძირითადად, იუდიანების და ქრისტიანების მიერ); ასე აღნიშნავდა თავის ღმერთს, აგრეთვე, მუჰამმადის ზოგიერთი მეტოქე, კერძოდ – მუსავლიმა.

21. შდრ ლუკა 1:34.

22. აია – აქ: ნიშანი, სასწაული. გარდა ამ მნიშვნელობისა, ყურანში (ამ სურაში იხ. 58-ე და 73-ე აიები) ნიშნავს, აგრეთვე, სურის შემადგენელ ნაწილს, მუხლს, ყურანის უმცირეს სტრუქტურულ მონაკვეთს (რომლის დასასრულის ფორმალური სიგნალია სარითმო სიტყვა).

23. იქსო.

24. ტრადიციულად, ჩვეულებრივ, ორგვარი გააზრებაა: 1) დაიძახა იქსომ (მუცლიდან), 2) დაიძახა ანგელოზმა (ან პალმის ქვემოდან, ან მარიამი იდგა შემაღლებულ ადგილას).

25. იგულისხმება ფინიკის ნაყოფი.

26. მარიამია – ახლადშობილი.

27. „და“ ამ შემთხვევაში არ არის პირდაპირი მნიშვნელობის მქონე; აქ იგი ნიშნავს ჰარუნის (ბიბლ. აარონი – მოსეს ძმა) შთამომავალს. ასეთი რამ ყურანში საერთოდ გვხვდება. მაგალითად – სიტყვა „ასული“: ყურანი ერთგან (66:12) მარიამს

უწოდებს „მარიამი, იმრანის ასული“; ამ შემთხვევაში იგულისხმება არა ქალწულ მარიამის მამა, არამედ იმრანი – ბიბლ. ამრამი (მოსეს და არონის მამა), რადგანაც მარიამი აარონის და, შესაბამისად, ამრამის მოდგმისა იყო. იგივე – „ქალის/ცოლის“ შემთხვევაში: 3:35-ის „და აპა, თქვა იმრანის ქალმა“ გულისხმობს არა იმრანის ცოლს, არამედ ქალწულ მარიამის დედას, რომელიც იმავე იმრანის შთამომავალია. შდრ სახარება: ლუკა 1:5-ში „ასულის“ მნიშვნელობა – „და მისი ცოლი, აარონის ასულთაგანი, სახელად ელისაბედი“; ასევე, „მამის“ მნიშვნელობა, ლუკა 1:32 – „მისცემს მას უფალი ღმერთი მისი მამის დავითის ტახტს“ (შდრ., ასევე, „დავითის ძე“).

28. მარიამმა – იესოზე.

29. იესომ.

30. იესოს მიმართ ეს გამოთქმა იხ. აგრეთვე 4:172; გამოთქმა „მონა“ იხ. 43:59.

31. სახარება.

32. იგულისხმება: ჭეშმარიტი სიტყვით /რეალურად/ ნამდვილად. ზოგჯერ უშვებენ (მათ შორის – მუსლიმური ეგზიგეზაც) სხვანაირ გააზრებასაც, რომლის მიხედვით თარგმანი ასეთი იქნება: „ესაა ისა დე მარიამისა, სიტყვა ჭეშმარიტებისა.“ როგორც ჩანს, ეს ინტერპრეტაცია არ არის გასაზიარებელი: გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში იცვლება კანონიკურ ტექსტში წარმოდგენილი ამ ფრაზის სინტაქსი, გასათვალისწინებელია, რომ მსგავს კონტექსტში იესოსთან ყურანში იხ-მარება არა სიტყვა „კავლ“, არამედ – „ქალიმათ“.

33. არაბ. ისა იბნ მარდამ – იესო დე მარიამისა. მარიამის ძე – იესო ქრისტე ყველაზე უფრო ხშირად ასეა მოხსენიებული ყურანში (შდრ. მარკ. 6:3 „ეს ხურო არ არის, მარიამის ძე?“). მოხსენიებულია სხვა სახელებითაც: მესია – ალ-მასიჰ, მოციქული – არ-რასულ, წინასწარმეტყველი – ან-ნაბიიდ და სხვ. ყურანი აღიარებს იესოს უმანკოდ ჩასახვას (ამ სურაში იხ. ზემოთ, აიები 17-22); არ აღიარებს მის ღვთაებრივ ბუნებას (ამ სურაში იხ. მომდევნო აია, აგრეთვე, აიები 88-93), თეზისი იმის შესახებ, რომ ღმერთი ერთია და მას ძე არ შეიძლება ჰყავდეს, ქრისტიანობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი თეზისია ყურანში (განსაკუთრებით ხაზ-გასმულია მე-5 სურაში კერძოდ აია 17); მე-4 სურაში, კერძოდ აიები 157-159, იმის მტკიცებაა, რომ იესო ჯვარს არ უცვამთ, მის მაგივრად ჯვარს სხვა ეცვა (შდრ. გნოსტიკოსების აზრი, რომ ჯვარს აცვეს სიმონ კირენელი). საბოლოოდ, ყურანისეული იესო (ისა) უდიდესი მოციქულია (საკმარისია ითქვას, რომ, ყურანის მიხედვით, ის არის ღმერთის /ალლაჰის მიერ შექმნილი მოციქული და არა ჩვეულებრივად გაჩენილი ადამიანი, რომელიც შეირჩა მოციქულად). ყურანის შემდგომი მუსლიმური წარმოდგენებიდან აღნიშვნის ღირსია, რომ იესო (ერთადერთი მოციქულთა შორის) განკითხვის წინ ბრუნდება ამქვეყნად, პალესტინაში, კლავს ანტიქრისტეს (არაბ. დაჯჯალ), სჯის ურნებულებს, საღვთო წერილის ხალხები მას აღიარებენ – შეიქმნება ერთი დიდი თემი (ისლამის თემი), 40 წლის შემდეგ იგი აღსრულდება, დაიკრძალება მედინაში მუჰამმადის გვერდით, ბოლოს აღდგება სხვებთან ერთად.

34. აქ და 37-ე აიაში იგულისხმება სხვადასხვა აზრი იესოს ბუნების შესახებ.

35. იხ. კომენტ. 33. შდრ. ამავე სურის 88-ე აია.

36. იხ. აგრეთვე 2:117; 3:47, 59; 7:73; 16:40; 36:82; 40:68. შდრ. დაბად. 1:3 („და თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი“), ესაია 46:10 („აღსრულდება ჩემი განზრახული და ყოველ სურვილს აღვასრულებ“).

37. მონოთეისტური იდეა ყურანში სხვა პასაუებში უფრო მკვეთრადაა გამოთქმული (მაგ. 2:163 „და თქვენი ღმერთი ერთი ღმერთია“; შდრ. „უფალი, ჩვენი ღმერთი, ერთი უფალია“ – მეორე რჯ. 6:4; მარკ. 12:29).

38. ქვეყნიერების დასასრულის / განკითხვის/ აღდგომის დღე. „დიადი დღე“ ყურანში ამ მნიშვნელობით ნახმარ შედარებით იშვიათ გამოთქმათა რიგს განეკუთვნება (ისევე, როგორც ქვემოთ, 39-ე აიაში, ნახმარი „გლოვის დღე“); ყველაზე უფრო ხშირად იხმარება „აღდგომის დღე“, „უკანასკნელი დღე“, „რწმენის დღე“, „გამიჯვნის დღე“ და სხვ. უკანასკნელი / განკითხვის დღის ესქატოლოგიური თემა ყურანში ხშირად გვხვდება.

39. აზრი მემკვიდრეობა / მემკვიდრე / ვემემკვიდროთ ტიპის გამოთქმებისა ყურანში მსგავს კონტექსტში: ყველაფერი, რაც ამქვეყნადაა ადამიანისთვის, დროებითია, – საბოლოოდ, ყველაფერი ეკუთვნის ალლაჰს. შდრ 3:180 („ალლაჰისაა მემკვიდრეობა (ცათა და ქვეყნისა“), 15:23 („ჭეშმარიტად, ჩვენ ვანიჭებთ სიცოცხლეს და ჩვენა ვკლავთ, და ჩვენა ვართ მემკვიდრენი“) და სხვ.

40. მუჰამმად!

41. ყურანში.

42. ბიბლ. აბრაამი. ყურანში იგი – მოციქული – განსაკუთრებული პერსონა-ჟია, როგორც ჭეშმარიტი რელიგიის, ერთი ღმერთის რწმენაზე დამყარებული რელიგიის, პირველი მქადაგებელი კაცობრიობის ისტორიაში; ამავე დროს (ყურანი ამას ხაზს უსვამს) – არა იუდიანი, არა ქრისტიანი, არამედ მონოთეისტი – ჰანიფი. გარდა ამისა: იგი არის ისლამისა და მუჰამმადის წინამორბედი, მუჰამმადის მისია, ფაქტიურად, მისი მრწამსის ალორძინება; ახალი რელიგიის საფრთხეები და რიტუალური წესების ნაწილი მისგან იღებს სათავეს; იგი, თავის შვილთან ისმაილთან ერთად, არის ქაბის ამგები მექაში; მან იწინასწარმეტყველა (შესთხოვა ღმერთს), რომ წარმოდგება მოციქული მის და ისმაილის მოდგმაში (იბრაჰიმი – ებრაელებისა და არაბების საერთო წინაპარი, ისმაილი – არაბებისა; შდრ. აღნიშვნა ქართულ ტრადიციაში, მაგ., იოანე საბანისძესთან: „...ძეთა ისმაელისთა, ძეთა აბრაჰამისთა“).

43. ბიბლ. ისააკი. ყურანში – მოციქული.

44. ბიბლ. მოსე. ყურანში და, საერთოდ, ისლამში – განსაკუთრებული პატივით მოსილი მოციქული („პირისპირ ელაპარაკა ალლაჰი მუსას“ – 4:164), რომელსაც ებოძა წერილი – თორა.

45. სინას მთა. ტექსტში ყველგანაა ატ-ტურ (2:63, 93; 4:154; 20:80; 23:20; 28:29, 46; 52:1), მხოლოდ ერთხელ (95:2) – ტურ სინა (სინას მთა).

46. ბიბლ. ისმაელი. იბრაჰიმის და ჰაჯარის (ბიბლ. აგარი) შვილი (შდრ. დაბად. 16:15), არაბების ეთნარქი (შდრ. დაბად. 21:14), აქედანაა არაბთა ერთ-ერთი სახელწოდება – ისმაილიტები / ისმაილიანნი (შდრ. ძვ. ქართ. ისმაიტელნი).

47. აქ (ისევე, როგორც ზემოთ – 31-ე აიაში) გამოყენებულია სიტყვა, რომელიც, როგორც ტერმინი, აღნიშნავს მუსლიმურ სავალდებულო, რიტუალურ ლოც-

ვას. ყურანის კონცეფციის თანახმად, ყოველ რელიგიურ თემს აქვს ღვთისმსახურების საკუთარი წესი („უფალო ჩვენო, ... გვასწავლე ჩვენი საღვთო წესები“, – 2:128; „ყოველ თემს დავუდგინეთ ჩვენ ღვთისმსახურების წესები“, – 22:34).

48. ზაქათ (სიტყვასიტყვით – განწმენდა/სიწმიდე) – სავალდებულო განწმენდა მოწყალების გაცემის გზით, სავალდებულო მოწყალება. ყურანი ადგენს მოწყალების სავალდებულო გაცემას როგორც ამქვეყნიური, საწუთიერო სიკეთების საფასურს, როგორც მათგან განწმენდის საშუალებას (სხვა სიტყვებით: ამქვეყნიური სიკეთენი ადამიანისთვის ნებადართული ხდება ზაქათის პირობით). მუჰამმადის შემდეგ, იმავე საუკუნეში, გახდა გადასახადი.

49. ყურანისეული მოციქული (ისლამური წარმოდგენით – პირველი მოციქული ადამის შემდეგ). ისლამში – უკვდავების სიმბოლო, რადგანაც, მუსლიმური მითოლოგით, მარად ცოცხალთა რიგს განეკუთვნება, ილიასსთან და ალ-ხადირთან ერთად (მოატყუა სიკვდილის ანგელოზი და შეაღწია სამოთხეში, შემდეგ, თავისი ღვითსმოსაობის გამო, ალლაჰის მიერ დატოვებულ იქნა იქვე, ან ერთ-ერთ ზეცაში – იხ. მომდევნო აიის „მაღალ ადგილას ავამაღლეთ იგი“). ხშირად პარალელს ავლებენ ბიბლ. ენოქთან (იხ. დაბად. 5:18-24).

50. ბიბლ. ნოე. ყურანის ერთ-ერთი პოპულარული პერსონაჟი – წინასწარმეტყველი და მოციქული.

51. ისრაელი – ბიბლ. იაკობის სახელი, შერქმეული შერკინების შემდეგ (დაბად. 32:38).

52. იგულისხმება: მათ (ადამიანებს) არ უხილავთ სამოთხე. სამოთხე (ჯოჯოხეთი, იმქვეყნიური ცხოვრება და ა.შ.) ადამიანთათვის წარმოადგენს რწმენის ობიექტს და პრინციპულად უხილავია, – ეს არის ერთ-ერთ ღვთიურ, მიუწვდომელ საიდუმლოთაგან, რომელიც მხოლოდ ღმერთმა იცის და რომელსაც უბოძებს მოციქულს (და მისი და საღვთო წერილის მეშვეობით მიანიშნებს ადამიანებს).

53. პირველ პირში (მხ. და მრავლ. რიცხვი, ასევე ზოგჯერ – მესამე პირი) ყურანში ლაპარაკობს ალლაჰი – ყურანი ალლაჰის სიტყვებია, ჯიბრილის მეშვეობით მუჰამმადისადმი გადაცემული. მოცემული აია იმ რამდენიმე გამონაკლისი შემთხვევის (იხ. კიდევ 4:65; 37:164-166) რიცხვს განეკუთვნება, როდესაც შეიძლება ანგელოზების (ან, კერძოდ, ჯიბრილის) სიტყვები დავინახოთ.

54. ადამიანებს.

55. ჯოჯოხეთში.

56. იგულისხმებიან ურწმუნონი. გააზრების მეორე ვარიანტი: იგულისხმებიან ადამიანები საერთოდ (მათგან მორწმუნენი მხოლოდ იხილავენ ჯოჯოხეთს, ხოლო ურწმუნონი შევლენ მასში).

57. მუჰამმად!

58. იგულისხმება: ამქვეყნიურ ცხოვრებაში.

59. იგულისხმება განკითხვის უამი.

60. გარდაუსვლელი/გარდაუვალი კეთილი საქმენი, ე.ი. საქმენი, რომელთათვისაც ჯილდო მარადიულია.

61. მუჰამმად!

62. იგულისხმება: იმქვეყნად.

63. იგულისხმება ქონება და შვილები.
64. მუჰამმად!
65. იგულისხმება: დავთვლით/აღვრიცხავთ მათ საქმეებს. შეიძლება: ვითვლით მათ დღებს.
66. იგულისხმება ძე ლვთისას ქრისტიანული დოგმატი (მუსლიმი ეგზეგეტები ზოგჯერ გულისხმობენ აგრეთვე წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ ანგელოზები ლვთის შვილები არიან).
67. ყურანი.
68. იგულისხმება: მუჰამმადის ენით. აზრი: ჩვენ გავაადვილეთ (მისაწვდომი/გასაგები გავხადეთ) ყურანი (მისი გადაცემა და აღქმა) შენი ენის (/არაბული ენის) მეშვეობით.

არაბულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო  
**აპოლონ სილაგაძემ**

## ალ-ჯაჰიზი

(781-868)

### ციხი ძუნების შესახებ\*

\*\*

ერთხელ ალი ალ-ამა იუსუფ იბნ ქულა ხაირთან მივიდა. იგი ახალი ნა-სადილევი დაუხვდა:

— ეი, მსახურო, მოართვი სადილი აბუ ლ-ასანს!

— აღარაფერი დაგვრჩა, — უპასუხა მსახურმა ქალმა.

— ვაი შენ! რაც არის, ის გამოუტანე! აბუ ლ-ასანთან მოსარიდებელი არაფერი გვაქვს.

ალი დარწმუნებული იყო, რომ დას-ვრილ პურს, ლავაშს, შაქარს, მორჩე-ნილ ნახარშს, გასალოკ ძვალს ან შემ-წვარი ხორცის ნარჩენებს გამოუტან-

დნენ. ამის სანაცვლოდ, წინ ცარიელი თეფში და გამომშრალი ბრინჯის ლა-ვაში დაუდეს. ალიმ ხელით მოსინჯა საჭმელი და როცა ლავაშის მეტი არა-ფერი შერჩა, მიხვდა, რასაც ნიშნავდა მასპინძლის სიტყვები: მასთან მოსა-რიდებელი არაფერი გვაქვსო. ალის ვერ წარმოედგინა, რომ ერთი ლავაშის მეტს არაფერს შესთავაზებდნენ.

— ვაი თქვენ! ყოველგვარი მორიდე-ბა დაგიკარგავთ. ეს საუბარი იმიტომ წამოიწყეთ, რომ მხოლოდ ამით გამ-მასპინძლებოდით?

\*\*

მუჰამად იბნ ჰასან ალ-ასვადმა მი-ამბო:

ზაქარია ალ-კატანმა გადმომცა: ალ-ღაზალს მიწის ნაკვეთი ჰქონდა ჩე-მი დუქნის წინ. ნახევარი მეთევზეს მი-აქირავა და ამით, შეძლებისდაგვარად, შეიმცირა მიწის გადასახადი. იგი გან-საციფრებლად ძუნწი იყო. სახლიდან რომ გამოვიდოდა, ლავაშს სახელოში

ჩაიდებდა და ცოტ-ცოტას ციცქნი-და...ლავაში თუ მობეზრდებოდა, თა-ვისი მდგმურისაგან თევზ ჯუვაფას<sup>1</sup> ყიდულობდა ერთ ჰაბად<sup>2</sup>, დავთარში კი ერთი ფელსი<sup>3</sup> შეჰქონდა. შიმშილი თუ შეაწუხებდა, თევზს ლავაშს წაუს-ვამდა და ისე ჭამდა. ხანდახან მას მუ-ცელს გაუფატრავდა და გვერდების გაყოლებით პურის პატარ-პატარა

\*ერთი თავი თხზულებიდან

<sup>1</sup> ჯუვაფა – მდარე ხარისხის თევზეული.

<sup>2</sup> ჰაბა – ა.მარცვალი. ბ. მცირე მონეტა.

<sup>3</sup> ფელსი – სპილენძის მონეტა.

ნაჭრებს ჩააწყობდა. ზოგჯერ შეეშინდებოდა, მუცელი არ გაუბრტყელდესო, ამიტომ ნაცნობ მეთევზეს ცოტაოდენ მარილს სთხოვდა და შიგნეულს ამოუვსებდა, იქნებ თევზმა პირვანდელი სახე მიიღოსო!

ხანდახან ისე ძალიან მოუნდებოდა თევზის შეჭმა, რომ თავს ვეღარ იკავებდა და ოდნავ მოაჭამდა ცხვირს, ეგებ პური უფრო ადვილად გადავყლაპოო. ამას მხოლოდ ბოლო ლუკმა-

ზე აკეთებდა, პირის ჩასატკბარუნებლად. მერე თევზს გვერდზე გადადებდა. როდესაც რომელიმე ქალისგან ნართს იყიდიდა, თევზის საფასურს ნართის საფასურს ადებდა, სწორედ ისე, საქონლის გაცვლა-გამოცვლის დროს რომ ხდება ხოლმე. თევზს ერთ ფელსად ანგარიშობდა და ამგვარად დანახარჯს ინაზღაურებდა. მოგებაში რჩებოდა ის საკაზმი, რაც პურს დააყოლა.

\*\*

ერთმა ჩვენმა მეგობარმა აბდალ-ლაჲ იბნ ალ-მუყაფას<sup>4</sup> ნაამბობი გადმომცა:

იბნ ჯუზამ აშ-შაბი ხშირად მომიჯ-დებოდა ხოლმე გვერდით და მესაუბრებოდა. თავის მხრივაც, დაჟინებით მთხოვდა მასთან სტუმრად მისვლას, მაგრამ ყოველთვის უარს ვეუბნებოდი, რადგან ვიცოდი, რომ ძალიან მდიდარი იყო და, ამავდროულად, ძუნნი. ერთხელ მითხრა:

— შენ, როგორც გატყობ, გვინია, იმათ რიცხვს ვეკუთვნი, ვინც დიდ ხარჯს ეწევა და ალბათ ამიტომ მერიდები. ალაჲს ვფიცავ, გამხმარი პურის, მარილისა და წყლის მეტი არაფერი მექნება.

მე გავიფიქრე: როგორმე თავის ოჯახში უნდა მიმიტყუოს და ამიტომ მიხატავს ყველაფერს ასე უმნიშვნელოდ-მეთქი და ვუთხარი:

— იმ კაცს მაგონებ, რომელმაც მსახურს მიმართა: „ეი, მსახურო, მე პურის ნატეხი მომიტანე, მათხოვარს კი ხუთი ფინიკი მიეციო!“ ამით იბნ ალ-მუყაფას უნდოდა ეთქვა: არა მგონია, ჩემისთანა კაცი ალ-ბატინიდან ალ-ჰურაბში დაპატიჟონ და პურის ნატეხითა და მარილით გაუმასპინძლდნენო.

ერთხელ სტუმრად ვეწვიე. ის იყო წინ გაშლილი ტაბაკი დამიდგა, რომ უცბად კართან მათხოვარი გაჩნდა:

— მეც მიწილადეთ, რასაც ჭამთ, ალაჲიმც აგინაზღაურებთ საჭმელს

<sup>4</sup> აბდ ალ-ლაჲ იბნ ალ-მუყაფა (720-756) — დედით და მამით ირანელი გენიალური არაბი მწერალი და მოაზროვნე. მნიშვნელოვან თხზულებათა შორის ეკუთვნის „ქილილა და დამანას“ არაბული ვერსია (სწორედ ვერსია და არა თარგმანი), რომელიც მან სპარსულიდან (ფალაურიდან) გადმოაკეთა, რითაც უზარმაზარი გავლენა იქონია როგორც მსოფლიო სულიერების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნასა და ჩამოყალიბებაზე (რის გამო იგი ორთოდოქსი ტირანების მიერ სიკვდილით იქნადასჯილი).

სამოთხეშიო! – თხოვა მან.

– კურთხეულ იყავი! – მიუგო მას-  
პინძელმა.

გლახამ თხოვნა გაუმეორა. მასპინ-  
ძელმა იგივე პასუხი გასცა. მათხო-  
ვარმა კიდევ ერთხელ ითხოვა. მაშინ  
მასპინძელმა უთხრა:

– ვაი შენ! წადი! – ხომ გიპასუხე.

– დიდება ალაპს! – თქვა გლახამ –  
დღემდე არ შემხვედრია ადამიანი, რო-  
მელიც ჭამდეს და სხვას არ სთავაზობ-  
დეს.

აბუ იაკუბ აზ-ზაკრანი ამბობდა:  
მას შემდეგ, რაც ქონება შევიძინე,  
ჩემს ოჯახს ხორცი არ მოჰკლებიაო.

იგი მართლა ყიდულობდა პარასკე-  
ობით ძროხის ხორცს ერთ დირჰემად<sup>5</sup>,  
ერთ დანიკად<sup>6</sup> ხახვს, ერთ დანიკად –  
ბადრიჯანს, ერთ დანიკად – გოგრას,  
ერთ დანიკად – სტაფილოს (თუ შემო-  
სული იყო) და სიქბაჯს<sup>7</sup> ამზადებდა. იმ

– ვაი შენ! გამეცალე, თორემ, ვფი-  
ცავ ალაპს, ფეხებს დაგამტვრევო! –  
უთხრა მასპინძელმა.

– დიდება ალაპს! – წამოიძახა მათ-  
ხოვარმა – ალაპი კრძალავს, უყვირო  
მათხოვარს, შენ კი მას ფეხების დამ-  
ტვრევით ემუქრები!

– დამშვიდდი, წადი შენს გზაზე!  
ჩემსავით კარგად რომ იცოდე, რა პირ-  
ნათლად ასრულებს იგი თავის დანაპი-  
რებს, აქ ერთ წუთსაც არ გაჩერდებო-  
დი-მეთქი, – ვუთხარი მათხოვარს.

\*\*

დღეს ისიც და მისი ოჯახის წევრებიც  
სიქბაჯს თავს მოართმევდნენ და იმით  
სადილობდნენ. შაბათს წვენში ჩაფ-  
შვნიდნენ პურს, კვირას ხახვს მიირ-  
თმევდნენ, ორშაბათს სტაფილოს და  
მხოლოდ ხუთშაბათობით დგებოდა  
ხორცის ჯერი. აი, რატომ ამბობდა  
აბუ იაკუბი, რაც სიმდიდრის პატრო-  
ნი გავხდი, უხორცობა არ მიგრძვნიაო.

\*\*

ჩვენმა მეგობრებმა გვიამბეს:

– ერთხელ ალ-ჯაზირელებთან<sup>8</sup>  
მოგვიხდა სტუმრობა. ძალიან ციოდა,  
მასპინძლებს კი ცუდი შეშა ჰქონდათ.  
მთელი ის მხარე იალღუნის ტყეს დაე-

ფარა და ამიტომ გაუბედავად შევნიშ-  
ნეთ:

– იალღუნს სათბობად არაფერი  
სჯობს.  
– დიახ, საუკეთესოა, – გვიპასუხეს

<sup>5</sup>დირჰემი – დრაქმა, ვერცხლის მონეტა. სხვადასხვა დროს და სხვაგან და სხვაგან ნაირი ღირებულებისა იყო.

<sup>6</sup>დანიკი – 1. წონის ერთეული. 2. ფულის ერთეული (მეექსედი დირჰემი).

<sup>7</sup>სიქბაჯი – ძმრითა და სხვა საკმაზებით მოხარშული დაკეპილი ხორცი.

<sup>8</sup>ალ-ჯაზირა – ზემო მესოპოტამია.

მათ, – მაგრამ ჩვენ ამ საუკეთესოს გა-  
ვურბივართ.

– რა გაიძულებთო? – ვკითხეთ ჩვენ.

– იალღუნის კვამლი ხელს უწყობს  
საჭმლის მონელებას, ჩვენ კი დიდი  
ოჯახი გვაქვსო. – გვიპასუხეს მათ.

\*\*

აი, რას გვიამბობს ალ-მაქი: მამა-  
ჩემს ჰყავდა ბიძა, სახელად სულაიმან  
ალ-ქასრი, ეს მეტსახელი დიდი სიმ-  
დიდრის გამო შეარქვეს. სულაიმანს  
ბავშვობიდანვე ნათესაური გრძნობით  
ვუყვარდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა,  
ჩემთვის არასოდეს არაფერი უჩიქნია.  
მან თავის ქცევით ყველა ძუნწს გადა-  
აჭარბა. ერთხელ სულაიმანთან შევია-  
რე და დავინახე, რომ წინ ერთი კირა-  
ტის<sup>9</sup> ფასის დარიჩინი ედო. როდესაც  
გული იჯერა ჭამით, მეც გავიწოდე ხე-  
ლი ერთი ნაჭრის ასაღებად, მაგრამ  
ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ხე-

ლი უმალვე უკან წავიღე.

– ნუ გერიდება, – მითხრა მან, –  
დაწყნარდი, ნუ დაიმორცხვებ, მოიქე-  
ცი ისე, როგორც შენს საკუთარ სახ-  
ლში! რაც გინდა, ის გააკეთე; ყველა-  
ფერი აიღე, ნურაფერს დატოვებ! ეს  
სულ შენ გეკუთვნის. მე ძუნწი არა  
ვარ. ალლაპმა იცის, როგორ მიხარია,  
ჩემთან რომ გხედავ.

მე უარი ვუთხარი, გამოუმშვიდო-  
ბებლად წამოვედი და ერაყში გავემ-  
გზავრე. ამის შემდეგ ერთმანეთი  
ალარც გვინახავს.

ალ-მაქიმ კიდევ ერთი შემთხვევა გაიხსენა:

ერთხელ იმრ ულ-კაისის<sup>10</sup> ლექსს ვამბობდი:

„ჩვენ რძით მდიდარი თხის არვეები გვყავს;  
საძოვრებზე რომ მივერეებით,  
იმათი რქები დაბურულ ტყეს ჰგავს;  
ჩვენი სახლი მუდამ იქნება ყველით და კარაქით სავსე;  
ამ სიმდიდრის პატრონს სასმელ-საჭმელი არ მოაკლდება.“

როდესაც სულაიმანმა ეს ლექსი მო-  
ისმინა, თქვა:

– ტანსაცმელზეც რომ ეთქვა რამე,  
ნამდვილად მშვენიერი ლექსი გამოვი-  
დოდა!

<sup>9</sup>კირატი – წონის ერთეული (მისხალის მეოცედი).

<sup>10</sup>იმრ ულ-კაისი – ე.წ. „ისლამამდელი ხანის“ საყოველთაოდ ცნობილი არაბი პოეტი (VIIს.).

\*\*

როდესაც იაპია იბნ ხალიდმა აბუ კუბაისის მთა<sup>11</sup> გაარღვია და ეზიო გააფართოვა, სულაიმანმა უთხრა:

– შენ მთათა უხუცესის პატიოსნება შებდალე, შეარყიე და გაბზარე იგიო.

\*\*

როდესაც სულაიმანს უსაყვედურეს, იშვიათად იცინი და უმეტესად მოღუშული ხარო, მან ეპასუხა:

– სიცილს ვერიდები. როდესაც

ადამიანი ბევრს იცინის, კარგ ხასიათზე დგება და ხელგაშლითაც მასპინძლობსო.

\*\*

ერთხელ, ღამით, ჩემი მეგობარი მაპფუზ ან-ნაკაშის მეჩეთთან მაცილებდა. როდესაც მის სახლს მივუახლოვდით (მისი სახლი კი მეჩეთთან უფრო ახლოს იდგა, ვიდრე ჩემი), მთხოვა, ღამე მასთან გამეთია:

– ამ წვიმასა და სიცივეში სად უნდა წახვიდე?! ჩემი სახლი შენი სახლია. ამასთან ერთად, უკუნი ღამეა, შენ კი ჭრაქიც არ გაგაჩნია. წამოდი, შინ ისეთი ხსენით გიმასპინძლო, მსგავსი არავის ენახოს! საუკეთესო ხარისხის ფინიკს მოგართმევ, კმაყოფილი დამრჩები, სწორედ ხსენის შესაფერიაო.

მეც გავყევი. იგი ცოტა ხანს სადღაც გაქრა. მერე კი ჯამით ხსენი და სინით ფინიკი მოიტანა. ის იყო აღება დავაპირე, რომ მითხრა:

– აბუ ოსმან, ხსენი ძნელი მოსანელებელია. მით უმეტეს, ახლა ღამეა, ბევრს ვერ იმოძრავებ, გარეთ წვიმს

და ნესტია. შენ ხანში შესული ხარ, ხშირად უჩივი ქარებს, მუდამ წყურვილი გკლავს და, რაც მთავარია, არასდროს ვახშმობ. თუ ხსენს შეჭამ, არც მაძღარი იქნები, არც მშიერი, მხოლოდ თავს გაიღიზიანებ. შესაძლოა, იმ დროს შეწყვიტო ჭამა, როცა ჯერ კი-დევ არ იქნები დანაყრებული. თუ ზომაზე მეტს შეჭამ, ღამე გაგვაწვალებს, ჩვენი მოსავლელი გახდები, თაფლი და ღვინო კი არ გვაქვს. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ხვალ არ დაიწყო – ასე და ისე დამემართაო. სწორედ, რომ იტყვიან, ლომის ხახაში ჩავვარდი! ზუსტად ისე რომ არ გაგმასპინძლებოდი, როგორც დაგპირდი, იტყოდი: იძუნნა და გადაიფიქრაო. საჭმელი რომ მომეტანა და არ გამეფრთხილებინე, რა ზიანის მოტანა შეუძლია მას შენთვის, გამირისხდებოდი: არ შემიპრალე, არაფერი მირჩიეო! ორივე შემთხვევაში

<sup>11</sup> აბუ კუბაისი – მთა მექის ახლოს.

დამნაშავე ვიქებოდი შენს წინაშე. აირჩიე: ან ჭამა და სიკვდილი, ან თავ-შეკავება და ტკბილი ძილიო!

არასოდეს მიცინია იმდენი, რამდენიც იმ დამეს ვიცინე. რაც კი მომიტანა, ყველაფერი შევჭამე და, ალბათ, მართლა გამიჭირდებოდა მონელება, ბევრი რომ არ მეცინა, არ მემხიარულა და კარგ ხასიათზე არ ვყოფილიყავი.

გვერდით რომ კიდევ მყოლოდა ვინმე ისეთი, რომელიც ჩემსავით აღიქვამდა მასპინძლის სიტყვებს, ისიც ამყვებოდა სიცილში და, ალბათ, უკვე ვეღარავინ მოგვასულიერბდა. ხომ იცი, როცა კაცი მარტო იცინის, ისე გულიანად ვერ იცინის, როგორც სხვებთან ერთად.

\*\*

**აბუ-ლ კამაკიმი ამბობდა:**

— მომჭირნე კაცმა მუდამ ერთი პირობა უნდა დაიცვას: რასაც ერთხელვე ხელში მოიგდებს, უკან ალარ უნდა დააბრუნოს. რაც ჩემს ხელში მოხვდება — ჩემია, იგი მე მეკუთვნის. სულ ერთია, თუ კიდევაც თავდაპირველად ჩემი არ იყო, მაინც მე უფრო მეტი უფ-

ლება მაქვს მასზე, ვიდრე იმას, ვინც გადმომცა; რადგან ის, ვინც ხელიდან უშვებს რაიმე ნივთს და სრულიად უმიზეზოდ სხვას აძლევს, მას ამ ნივთის მფლობელად აცხადებს, — ნივთის გაცნობა ხომ მის კუთვნილებაში გადაცემას ნიშნავს!

\*\*

**ერთხელ ერთმა ქალმა უთხრა აბუ ლ-კამაკიმს:**

— ვაი, აბუ ლ-კამაკიმ! ერთ კაცთან ვქორნინდები, უკვე დგება დანიშვნის დრო და ჯერ მზად არა ვარ. ამ ლავაშით ეგებ ტვია მიყიდო, ერთი ფელსით კი სურნელოვანი ზეთი და, ჭეშმარიტად, ალაპიმც დაგაჯილდოვებს ამ სიკეთისთვის! შესაძლოა, შენი შემწეობით, ალაპმა ამ კაცს ჩემდამი სიყვარული გაუღვიძოს და უზრუნველყოს ჩემი ცხოვრება. ახლა კი, — ვფიცავ ალაპს! — ცუდ დღეში ვარ, უკვე უკი-

**დურესობამდე მივედი.**

**აბუ ლ-კამაკიმმა ლავაშიც გამოართვა, ფელსიც და მას შემდეგ ალარ გამოჩენილა.**

გავიდა რამდენიმე დღე და ქალი კვლავ შეხვდა მას.

— დიდება ალაპს, — უთხრა მან, — ეს რა გამიკეთე? ნუთუ არ გებრალები?

— ვაი, უბედურო! — უპასუხა აბუ ლ-კამაკიმმა, — ვფიცავ ალაპს! ფელსი დამეკარგა და დარდიან გულზე ლავაში შევჭამეო.

\*\*

აბუ-ლ კამაკიმს ძალიან უყვარდა ერთი ქალი, სულ უკან დასდევდა და თან ტიროდა, არაფრით არ მოეშვა, ვიდრე ამ ქალმა არ შეიბრალა. ქალი მდიდარი იყო, აბუ-ლ კამაკიმი – ღარიბი.

ერთხელ აბუ-ლ კამაკიმმა ჰარისას<sup>12</sup> მომზადება სთხოვა:

– თქვენ, ქალები, საუკეთესოდ ამზადებთ ამ საჭმელსო.

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე საქონლის თავისაგან დამზადებული კერძი მოითხოვა. როდესაც ჰაისა<sup>13</sup> და მერე კიდევ თავშილა<sup>14</sup> მოისურვა, ქალმა უთხრა:

– ო, აბუ-ლ კამაკიმ! სხვას სიყვარული გულ-ღვიძლში აქვს გამჯდარი, შენი სიყვარული კი მუცელს არ შორდება.

\*\*

აბუ-ლ ასბალი<sup>15</sup> ყვებოდა:

– აბულ-ლ კამაკიმი ერთ ტომს დაშინებით სთხოვდა ქალს, თან კითხულობდა, რა სიმდიდრის პატრონი იყო ეს ქალი და ანგარიშობდა. მაშინ მას უთხრეს:

– უკვე მოგახსენეთ, რაც ქალს გააჩნია. ახლა გვითხარი, შენ თვითონ რა გაქვსო?

– ჩემს ქონებას რას კითხულობ?! მაგის ქონება ორივეს გვეყოფაო, – უპასუხა აბუ-ლ კამაკიმმა.

\*\*

გამიგონია, ერთი უბულიელი შეიხი<sup>16</sup> ამტკიცებდა, ბასრელი ღატაკი უბულიელ ღატაკს სჯობიაო.

– ამიხსენი, რითი-მეთქი? – ვთხოვე მას.

– ბასრელი ღატაკი უფრო მეტად სცემს პატივს მდიდარს და უკეთ ესმის თავისი მოვალეობაო. – მიპასუხა შეიხმა.

\*\*

ერთხელ ორი უბულიელი ერთმანეთს წაეკიდა. ერთმა ბევრი უხეში სიტყვა აკადრა მეორეს და, როდესაც ჰასუხად იგივე მიიღო, დამსწრენი საშინლად აღშფოთდნენ.

– რაზე აღშფოთდით-მეთქი? – ვიკითხე მე, რადგან ვერ გავიგე აღშფოთების მიზეზი. რაც ერთმა უთხრა, მეორემაც ის უპასუხა.

<sup>12</sup> ჰარისა – დანაყილი ხორბლითა და დაკეპილი ხორცით შემზადებული კერძი.

<sup>13</sup> ჰაისა – ფინიკით, ერბოთი, რძითა და ფქვილით შემზადებული კერძი.

<sup>14</sup> თავშილა – ოსპის წვნიანი შექამადი.

<sup>15</sup> აბუ ლ-ასბალი – წიგნის ავტორის, ალ-ჯაჰიზის, მეგობარი.

<sup>16</sup> შეიხი – თემის სულიერი მეთაური.

– მათ შორის ერთი უფრო მდიდარია. ჩვენ თუ ამ ამბავს ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ ღარიბები მდიდ-

რებს გაუთანაბრდებიან და ეს კი აუცილებლად დაღუპვის კარამდე მიგვიყვანსო, – ამიხსნეს მათ.

\*\*

ერთხელ ორი უბულიელი ერთმანეთს წაეკიდა. ერთმა ბევრი უხეში სიტყვა აკადრა მეორეს და, როდესაც პასუხად იგივე მიიღო, დამსწრენი საშინლად აღშფოთდნენ.

– რაზე აღშფოთდით-მეთქი? – ვიკითხე მე, რადგან ვერ გავიგე აღშფოთების მიზეზი. რაც ერთმა უთხრა, მე-

ორემაც ის უპასუხა.

– მათ შორის ერთი უფრო მდიდარია. ჩვენ თუ ამ ამბავს ყურადღებას არ მივაქცევთ, მაშინ ღარიბები მდიდრებს გაუთანაბრდებიან და ეს კი აუცილებლად დაღუპვის კარამდე მიგვიყვანსო, – ამიხსნეს მათ.

\*\*

– რა უფლებით მელაპარაკება რიაჲი ასე უხეშად? რატომ არ შემიძლია, მეც ასევე ვუპასუხოო? – ამბობდა ჰამდან იბნ საბაჲი, – ის ხომ ჩემზე მდიდარი არ არისო?!

მანვე თქვა:

– ბასრიდან ჩამოსული სტუმარი ბინას უბულიელთან დაიდებს ხოლმე და ცხოვრობს თავისთვის მშვიდად. როდესაც წყლის მოქცევა დაიწყება, უბულიელი იტყვის:

– ასეთ დიდ მოქცევას არ მოვსწრებივარ. ალბათ, რა სასიამოვნო უნდა იყოს მოქცევის დროს მოგზაურობა. ასეთ დროს ბასრისაკენ გამგზავრება ნამდვილად უფრო მიმზიდველია, ვიდრე წყლის უკუქცევისას უბულისკენ მგზავრობა! – ამას იქამდე იმეორებს, ვიდრე სტუმარს არ დაარწმუნებს, რომ წყლის მოქცევის ხელიდან გაშვება არ ღირს.

\*\*

აჲმად იბნ ალ-ჰარაქი ძუნნი და, ამავე დროს, მკერხარაც იყო, ასეთი ადამიანი კი ყველაზე ძნელი ასატანია. ჯუბას ორ-ორ ღილს აკერებდა, – ხალხს ეგონება, აჲმადს ორი ჯუბა აცვიაო. ფინიკის მტევნებს, პალმის ტოტებსა და ფოთლებს ალ-ქალაში ყიდუ-

ლობდა. როდესაც მტვირთავი ყველაფერს კარებზე მიუტანდა, უმალვე არ გაისტუმრებდა: ყველამ თავისი თვალით დაინახოს, რომ მიწები მაქვს და ეს იმის მოსავალია. მეღვინეებისგან ღვინის დიდ ქვაბებს ქირაობდა, ყველაზე დიდებს ირჩევდა. მტვირთავებს

ფულს მაშინვე არ უხდიდა, ემალებოდა, ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა, რომ კარებთან ხალხის გასაგონად ეყვირათ: „ისინი ად-დაზისა და

ას-საქარს სვამენ, მტვირთავებს კი ფულს არ უხდიანო.“ ეს მაშინ, როდესაც სახლში ერთი წვეთი ბადაგიც არ ჰქონდა.

\*\*

ერთხელ ალ-ჰარაქმა ყური მოჰკრა პოეტის სიტყვებს:

„ვხედავ, მეტად ძვირფასია შენთვის ეს პური,  
თითქოს ციდან ან ღრუბლებიდან ჩამოგეტანოს!  
საგრილობლით გვიგრილებ ყველას  
არა იმიტომ, რომ ბუზებმა არ შეგვაწუხოს,  
[არამედ] გეშინია, რომ ბუზი პურს არ მიეკაროს.“

და თქვა:

— ალაჰიმც დასწუევლის მას! რატომ მოაშორა ბუზები? ამით ხომ საჭმელი უფრო ხელმისაწვდომი გახადა, ბუზები გარეკა და სტუმრებს საშუალება მისცა მშვიდად შესდგომოდნენ ჭამას. ამიხსენით, რატომ შეუშალა ხელი ბუზებს? დამსხდარიყვნენ თევზებზე, დასჯდომოდნენ სტუმრებს ცხვირსა და თვალებზე. ვფიცავ ალაჰს, ყველაფრის ღირსია! ხომ გახსოვთ, რამდენჯერ მიბრძანებია მსახური ქალისთვის: ლანგარზე ერთი ან ორი ბუზი დააგდე, ეგებ რომელიმე სტუმარს შეეზიზლოს, ალარაფერი ჭამოს და

ალაჰმა მიხსნას იმ უბედურებისაგან, რასაც ისინი მაყენებენ-მეთქი.

— რაც შეეხება პოეტის სიტყვებს: „ვხედავ, მეტად ძვირფასია შენთვის ეს პური“, ამით მას უნდოდა ეთქვა: მე თუ არ დავაფასე ის, რაც ყველაფრის საფუძველია დედამიწაზე, ქვაკუთხედია სურსათ-სანოვაგის და მეფეა საკვებისა, მაშინ რაღა უნდა დავაფასო? დიახ, ვფიცავ ალაჰს! — მე დავაფასებ მას, დავაფასებ, დავაფასებ მთელი ჩემი არსებით, დავაფასებ მანამ, სანამ თვალთ არ დამიბნელდება.

\*\*

აი, რა მიამბო იბრაჰიმ იბნ ჰანიმი იმაზე, თუ სადამდე მივიდა აჰმად იბნ ალ-ჰარაქის ტრაბახი.

— ერთხელ მასთან სტუმრად ვიყავი. უცებ ქუჩაში გამყიდველმა ჩაიარა

და დაიყვირა: „ატამი, ატამიო!“

— ატამი რა, შემოვიდა უკვე-მეთქი?  
— ვიკითხე.  
— შემოვიდა, — მიპასუხა მან, — და რამდენჯერმე ვიყიდე კიდეც!

საშინლად გავჯავრდი; გამყიდველს დავუძახე და იბნ ჰარაქს მივუბრუნდი:

— ვაი შენ! ჩვენ ჯერ არაფერი გვსმენია ატამზე, შენ კი თურმე რამდენჯერმე ყიდვაც მოგისწრია. შენ რა, თავი ყველაზე მდიდარი ხომ არ გგონია-მეთქი?

მერე გამყიდველს მივუბრუნდი და ვკითხე: „როგორ ყიდი ატამს-მეთქი?“ ექვსი ცალი – ერთი დირპემიო, – მიპასუხა.

სალიმ იბნ აფანის მსახურმა, იბნ ალ-ჰარაქის თავლის გასანათებლად ნავთი სთხოვა. ღამეში სამ ფელსს აძლევდა. ოთხი ფელსი კი ერთ ტასუჯს

– ნუთუ შენ იმათ რიცხვს ეკუთვნი, ვინც ექვს ცალ ატამში ერთ დირპემს იძლევა-მეთქი? – შევეკითხე. – ხომ იცი, რამდენიმე დღის შემდეგ ერთ დირპემად ორას ცალს იყიდი? გამყიდველი ამბობს, ექვსი ცალი ერთი დირპემიო და შენ კიდევ მეუბნები, უკვე რამდენჯერმე ვიყიდეო?

— რა უნდა იყოს უფრო იაფი, ვიდრე ექვსი ნივთის ერთ ნივთზე გაცვლაო?! – მიპასუხა იბნ ჰარაქიმ.

\*\*

უდრის.

— ერთი ტასუჯი ბევრია, ერთი ჰაბა  
— ცოტა. კარგმა მსროლელმა შუაში უნდა დაუმიზნოსო! – ამბობდა იგი.

\*\*

ერთხელ ალ-ჰარაქიმ თავის ვაჟს უთხრა:

— შენ მეაბანოეს და მებორნეს ერთ

ტასუჯს უხდი, მაგრამ იცოდე, არც ერთი არ გეტყვის უარს, ხელში მხოლოდ სამი ფელსი რომ დაგინახონო.

\*\*

აბუ ქაბი ყვებოდა:

— მუსა იბნ ჯანაჰმა, რამადანის<sup>17</sup> გასვლის შემდეგ, რამდენიმე მეზობელი სტუმრად მიიწვია. მეც მათ შორის აღმოვჩნდი. როდესაც საღამოს ლოცვა აღვავლინე და იბნ ჯანაჰმაც ყველაფერი მოათავა, მოგვიბრუნდა და

გვითხრა:

— ნუ იჩქარებთ! – აჩქარებაში ეშმაკის ხელი ურევია. თუმცა როგორ არ უნდა იჩქაროთ, როდესაც ალლაჰს – დიდებულიმც არს ხსენება მისი! – უთქვამს: „ადამიანი ბუნებით ჩქარიაო“.

<sup>17</sup> რამადანი – მუსულმანთა მთვარის მოძრავი კალენდრის მეცხრე თვე. მუსულმანები ამ თვეს თავისებურად მარხულობენ, – დღისით არ ჭამენ და არ სვამენ.

\*\*

მომისმინეთ და გაიგებთ, როგორ უნდა დაიჭიროთ თავი წვეულებაზე, როგორ აარიდოთ თავი თავმოთნეობას, რა თანმიმდევრობა უნდა დაიცვათ კერძების შემოტანის დროს და როგორ მოიქცეთ, თქვენი საქციელი მისაბაძი რომ გახდეს! შესაძლოა, რომელიმე სტუმარმა წყლის დალევა დაპიროს და სწორედ ამ დროს სუფრაზე ბაჟატა, ჯავზამა ან ასიდა შემოიტანონ, ან კიდევ ისეთი რამ მოგართვან, რის გადაყლაპვა უწყლოდაც ადვილია, დალეჭვა არ სჭირდება, ერთი ხელითაც კარგად იჭმება და ცალხელას-თვის სასურველი საჭმელია. ვიდრე ჭამას დაიწყებთ, დაელოდეთ თქვენს თანამეინახეს, ადროვეთ, დალიოს, თორემ ერთდროულად სამ დარტყმას მიაყენებთ: იფიქრებს, ვიდრე წყალსა ვსვამ, საჭმელს ბოლოს მოუღებენო

და ჩამწარდება მიღებული სიამოვნება. გარდა ამისა, გაგულისდება და აუცილებლად შეეცდება, სამაგიერო გადაგიხადოთ და კიდევ, შესაძლოა, აჩქარდეს, ცხელი ლუკმა გადაყლაპოს და იქვე, თქვენ წინ დალიოს სული. უკეთეს შემთხვევაში, სიხარბისკენ უბიძგებთ და აიძულებთ, დიდი ლუკმები ყლაპოს.

როდესაც ერთ ბედუინს ჰკითხეს: რატომ ჭამ ხორცს, რომელიც შეჭამანდშიაო, უპასუხა: „იმიტომ, რომ ხორცი შეიძლება დავკარგო, შეჭამანდი კი არსად წამივაო!“ მეც ზუსტად ასე ვიქცევი, მიუხედავად იმისა, რომ საჭმელი ჩემია. თუ ჩემი სიტყვები და საქმე ერთმანეთს ეწინააღმდეგაბა, შეგიძლიათ, აღარ მისმინოთ.

\*\*

### აბუ ქაბი განაგრძობდა:

- ხშირად რომელიმე ჩვენგანს ავიწყდებოდა ეს და მაშინ იწვდიდა ხელს საჭმლით სავსე ჯამისკენ, როდესაც მისი მეგობარი წყლის დალევას აპირებდა.
- ხელები შორს, გულმავიწყო! – ეტყოდა მუსა, – ზოგიერთის რომ არ მეხათრებოდეს, გეტყოდი: გულმავიწყად რომ გვაჩვენებ თავს-მეთქი?!
- შემდეგ ბრინჯის კერძი შემიგვიტანეს. ისე შორ-შორს ეწყო ერთმანეთის-გან და ბრინჯის მარცვლები იმდენად

ცოტა იყო, რომ კაცი სათითაოდ დაითვლიდა. ზედ ნახევარი ლამბაქი ბადაგი გადაასხეს. იმ საღამოს ეს კერძი ცოტაოდენი მეც მერგო. სწორედ მასპინძლის გვერდით ვიჯექი. ლეჭვა მოესმა თუ არა, მითხრა: „დააქუცმაცე, დააქუცმაცე, აბუ ქაბ!“. „ვაი, შენ, გეშინოდეს ალაჰის! როგორ დავაქუცმაცო, რაც არ დაქუცმაცდება-მეთქი“, – ვუპასუხე.

\*\*

იბნ ალ-აქადის ამბავი.

იბნ ალ-აქადი მეგობრებს თავის ბალში პატიუებდა ხანდახან. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მაინცდამაინც დიდ სიამოვნებას არ ჰქვიდა და ამიტომ ერთ-ერთ სტუმარს ვკითხე: მიამდე, იქ რას აკეთებთ ხოლმე-მეთქი?

— იცოდე, არ გამცეო! — მთხოვა მან.

— სანამ ბასრაში ვიქებით, არ გაგვემ-მეთქი! — ვუპასუხე მე.

იბნ ალ-აქადი ჩვენთვის ქერქაუცლელ ბრინჯას, შალას, ყიდულობს. ყოველივე მისგან, რაც ალაპს შეუქმნია, სტუმრებისთვის მხოლოდ შალა ემეტება. როდესაც ბალში მივდივართ, შალა თან შემოაქვს. იქ მუშა მას ამტვრევს, ანიავებს და ცრის. თუ გაცრის შემდეგ კიდევ დარჩა მთელ-მთელი მარცვლები, ხელახლა ამტვრევს. როდესაც ყველაფერი დამთავრდება — ყიდვა, გადაზიდვა, დამტვრევა, განიავება და გაცრა, იბნ ალ-აქადი მუშას, ბარისა და დოლაბის მეშვეობით, ბრინჯის დაფქვას დაავალებს. მუშა შეშას შეაგროვებს, წყალს აადუღებს და ცომს მოზელს (ცხელ წყალზე მოზელილი ცომი კარგად ამოდის), შემდეგ კი პურს გამოაცხობს. ამ დროს სტუმრებს დავალებული გვაქვს

თევზის დასაჭერად ანკესები გავმართოთ და საგუბარში წვრილი თევზების გასასვლელი დავგმანოთ, არხში რომ არ გადავიდნენ. თევზები რუმანი და შალაბი ხელით უნდა დავიჭიროთ. ტაფის ქვეშ, იმავე ცეცხლზე, რაზედაც პური ცხვება, ქაბაბს გვიმზადებს, შეშა ზედმეტად რომ არ დაეხარჯოს. ასე ვშრომობთ, ვშიმშილობთ და რაღაცას ველოდებით დილიდან საღამომდე. ჩვენი ვახშამი შავი, გაუცრელი ბრინჯის ფქვილისგან მოზელილი პური და თევზი შალაბია. რომ შესძლებოდა, ალბათ, არც ამას მოგვცემდა.

— გამოჰყოს თავის მიწაზე ადგილი და მოიყვანოს ბრინჯი, — ვუთხარი მე, — მაშინ არჩევანის საშუალება ექნება: თუ უმალვე მოისურვებს თქვენს გამასპინძლებას, მარტო პურს გაჭმევთ, თუ ცოტას დაიცდის და, როგორც წესი და რიგია, ისე გაგიმასპინძლდებათ, მაშინ...

— ვფიცავ ალაპს! — ეს რომ ადრე სცოდნოდა, ალბათ, ასეც მოიქცეოდა. — მიპასუხა მან. — ღმერთო, ღმერთო, ნუ დაგვტოვებ! ღარიბი ხალხი ვართ, შეგვაძლებინე, თავიდან ავიცილოთ ეს უბედურება!

არაბულიდან თარგმნეს  
ნათელა ჟვანიამ და დარევან სვანმა



တော်မြတ် ဖော်ကြပ်မှု

# საით ფაიქ აბასიანიქი

(1906-1954)

## უმაქნისი კაცი

რაღაც უცნაური გავხდი. არც სტუმრად დავდივარ და არც ჩემ კარებზე მინდა, ვინმემ ზარი დარეკოს, ფოსტალიონმაც კი – ყველას ასე რომ უხარია მისი დანახვა... ჩემი უბანი სავსებით მყოფნის. 7 წელი შესრულდა, აქედან თითქმის არ გავსულვარ. არც ერთმა ჩემმა მეგობარმა არ იცის, სად ვცხოვრობ. პატარა მაღაზია მაქვს გაქირავებული ქარაქოიში<sup>1</sup>, ჰოდა, ბოლო შვიდი წელია მხოლოდ იქ ჩავდივარ სამ თვეში ერთხელ ქირის ასაღებად.

ჩემი უბანი-მეთქი, რომ ვამბობ, ეს სულ რაღაც სამი-ოთხი ქუჩაა, რამდენიმე – ერთმანეთის პარალელური, ერთიც – მათი გადამკვეთი და ერთიც – სადაც მე ვცხოვრობ, იმდენად ვიწრო და მოკლე, ქუჩასაც რომ ვერ დაარქმევ. ეს ქუჩები მათი ღირშესანიშნაობების მიხედვით დავნომრე: 1, 2, 3, 4. ჩემი ქუჩისთვის ნომრის მინიჭება ვერ გავბედე, უნომროდ დავტოვე.

ჩემ ქვემოთ მერძევე ცხოვრობს, მოპირდაპირე მხარეს კი – ორი დურგალი, მათთან საქმე არასდროს მქონია. ვერ გამიგია, რით გააქვთ თავი, თუმცა დილიდან დალამებამდე კი მუშაობენ. 48 წლის მანძილზე ერთხელაც არ დამჭირვებია დურგალი, როგორც

ჩანს, ყველა სტამბოლელი ჩემნაირად არ ცხოვრობს, მაგრამ მაინც მიკვირს, ვის სჭირდება ქალაქში ამდენი დურგალი.

დილას, ავდგები თუ არა, კაფესკენ მივიჩქარი. ამ კაფეში სულ შვიდირვა განკრიალებული მაგიდაა. წყნარი, უხმაურო ადამიანები მიდი-მოდიან. ერთ კუთხეში კარტსა და ჭადრაკს თამაშობენ. კაფეს მეპატრონე ფრანგი ებრაელია, მთელ დედამინაზე საუკეთესო ქალბატონი. კაფეში ფეხს შევდგამ თუ არა, ვესალმები: “– Bonjour, Madame”.

მადამიც მეგებება: “– Bonjour, monsieur. Comment allez-vous?”

მეც საჭირო პასუხს ვუბრუნებ. იგი ამ პასუხს არ სჯერდება და ფრანგულად აგრძელებს საუბარს. მართალია, ნახევარი არ მესმის, მაგრამ ასე მგონია, ძალიან სასიამოვნო რაღაცებს მეუბნება. სადაც საჭიროა, oui-ს ვამბობ, ზედიზედ ბევრი oui რომ არ გამომივიდეს, შუაში non-საც ჩავურთავ ხოლმე. აი, ასე ტკბილად ვუგებთ ერთმანეთს. მერე ხელში ფრანგულ ურნალს მაჩეჩებს. სურათების თვალიერებას ვიწყებ, ჩემთვის უცნობ სიტყვებს ცალკე ვიწერ და შინ რომ

<sup>1</sup> ქარაქო, უნფაქანი, შიშჲანე, ქიზთაშა, ფათიში, სარაჯჲანე, თეშვიქიე, მაჩკა, ბებექი, არნავუთქოი – სტამბოლის უბნები.

მივდივარ, ლექსიკონში ვპოულობ. მეორე დილას კი, კაფეში ვბრუნდები და თავიდან ვიწყებ უურნალის კითხვას. ვაჲ, თურმე რა ყოფილა-მეთქი, – ვამბობ ჩემთვის.

მადამი კვლავ მომმართავს: “*Un cappuccino?*”

“კეთილი”, – თავიდან თურქულად ვპასუხობ, ფრანგული ულერადობისთვის *c'est ça*-ს მივაყოლებ ხოლმე. მადამს ეს ძალიან ახარებს და გერმანულად მიყვება, როგორ ამზადებს კაპუჩინოს.

ასე თერთმეტი საათისთვის პატარა აღმართს ავუყვები, ტრამვაის ხაზთან მარცხნივ გავუხვვ, ერთ თხუთმეტიოდე ნაბიჯს გავივლი და ბიბლიოთეკის წინ აღმოვჩნდები ხოლმე. იქ ფრანგულ უურნალს ვიყიდი, იღლიაში ამოვიჩი, ბიბლიოთეკიდან გამოვალ და იმ წამსვე ჩვენი ქუჩისკენ მივეშურები. უჲ, მივუახლოვდები თუ არა, როგორ ვმშვიდდები! არა სულ სხვანაირია ჩვენი ქუჩის ხალხი, არ ჰევანან იმათ, ტრამვაის გზის პირას რომ ცხოვრობენ. მეშინია მათი.

ამ ბოლო დროს რაღაც მადა აღარა მაქვს, მაგრამ ჩვენს უბანში ერთი მეხაშეა, პატიოსანი კაცი, ხაშიც კარგი იცის. მისი დუქანი სხვა ბინძურ სახაშეებს არ ჰევას. მათლაფები ძველებური აქვს, ხაშიც – თოვლივით თეთრი.

– შევაზავო, ბატონო მანსურ? – მეეკითხება იგი.

– შევაზავე, ბაირამ! – ვპასუხობ მე.

მას გინდ ბაირამი ერქვას, გინდ მუჟარემი, ჩემთვის ყველა მეხაშე ბაირამია.

– ძმარი და ნიორი ვუქნა, ბატონო მანსურ?

– არა, დღეს არა! გუშინწინ ცოტა

მაწყინა, ბიჭს ლომონზე თუ გაგზავნი, იმას ჩავანურავ.

– თქვენი გუშინდელი ლიმონის ნახევარი შევინახე.

– რას ამბობ, მართლა?

მართლა ბავშვივით მიხარია ნახევარი ლიმონის ამბავი, ბაირამს კი, მერომ მიხარია, ის უხარია პატარა ბავშვივით.

– ნახევარი ლიმონი სულ ჩავწურო, ბატონო მანსურ?

– ჩააწურე, ჩააწურე, ბაირამ, მუავე იყოს!

მუავე წვნიანს მივირთმევ და ჩემს ოთახში ავდივარ. წინ ფრანგული ლექსიკონი მიდევს და უურნალში სურათების ქვეშ რომ წარწერებია, თურქულად თარგმნას ვაპირებ, მაგრამ უცებ მწყდება კისერი. ზუსტად ხუთის ნახევარზე ვიღვიძებ. ხუთის ნახევარი გასეირნების დროა. შინიდან გავდივარ, მარჯვნივ ვუხვევ, პირველ ნომერ ქუჩას ჩავივლი, ტრამვაის ხაზის გასწვრივ მარცხენა ტროტუარს ჩქარი ნაბიჯით გაუყვები და იქვე, მარცხნივ, ჩვენი პირველი ნომერი ქუჩის პარალელურ მეორე ნომერ ქუჩაზე გავდივარ.

ეს ქუჩა ტალახიანი, ვიწრო და ბინძურია. მარჯვნივ ბარია, მის ჩაყოლებაზე – პურის საცხობი და მერე – რესტორანი. რატომლაც ასე მგონია, ამ რესტორანში კერძებს “აკრძალული ხილით” ამზადებენ. აქ ყოველ საღამოს ერთი და იგივე, უცნაური და მოწყენილი ქალები და კაცები დადიან. შეიძლება ისინი ბაყაყის, თაგვის, ყვავის, კატის, ძაღლის და ადამიანის ხორცსაც კი ჭამდნენ. ამ ქუჩას ჩავივლი და ჩვენი ქუჩაც იწყება. შევუხვევ თუ არა ჩვენს ქუჩაზე, ბაყალ ქალს ვესალმები. “გაგიმარჯოს, ბატონო”, – მეუბნება იგი. ძალიან ლამაზი თვალები აქვს.

დიდხანს ვყოყმანობ, მარჯვენა ქუჩისკენ წავიდე თუ არა. გაინტერესებთ, რატომ?

გეტყვით, რატომაც: ეს ამბავი ერთ საღამოს მოხდა, სეირნობის დროს... ადამიანი როცა სეირნობს, ირგვლივ იყურება, ვიტრინებს ათვალიერებს, ვიღაცას თვალებში ჩახედავს, ნელა-ნელა მიაბიჯებს. მე ასე არ ვაკეთებ. ამ ქუჩას რომ შევუყვები, ფეხს ვუჩქარებ, ძირს ვიყურები, ისე ვიქცევი, თითქოს გაბრაზებული ვარ, არ მინდა ამ ქუჩაზე გავლა, მაგრამ იძულებული ვარ. რატომ? სწორედ ამის მოყოლა მინდოდა.

საქმე ისაა, რომ აქ ერთ სახლში ერთი თავქარიანი ებრაელი გოგო ცხოვრობს. როგორც ძეველი ქალები იტყოდნენ, ცხვირ-პირი დახატული, ცალ თვალში ქათმის სიბრმავე კი სჭირს, მაგრამ ეგ არაფერი! ისეთი ფუმფულა ხელები აქვს, ზედ თხილებს დააწყობ, და იმხელა მკერდი, რომ დეკოლტეს ადგილას მუქ შავ ტალღებად ირჩევა. დარაბებიანი ფანჯრის რაფაზე წამოსკუპებული სულ რაღაცას კერავს. ხანდახან კარწინ დგას და საათობით აქეთ-იქით იყურება, თუ ვინმე კაცი გამოიჭირა, ენად იკრიფება. და კიდევ მსხვილ-მსხვილი ფეხები აქვს, აი, ისეთი, მინაზე მყარად რომ დგას. შავგვრემანი ებრაელის ქალი რაღაც სხვანაირად ლამაზია... ეჰ, ცხოვრებაში ერთხელ მაინც რომ დამაკოცნინა მისი წვივები!

ერთ დღესაც ამ ქუჩაზე დავეშვი. ებრაელი გოგო კარწინ იდგა. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ერთი დურგალი თავის კარებთან აყუდებულიყო. მათ შორის უნდა გამევლო და უცებ დურ-

გალი წინ გამეჭიმა:

– ერთი კარგად შემომხედე, შელეღვო! აქ გავლილი აღარ დაგინახო, თორემ თვალებს დაგთხრი!

გამიძნელდა ამ ქუჩის დავიწყება, საღამოს სასეირნოდ რომ გამოვდიოდი, გული მიფანცქალებდა. თან თვალნინ სულ ის მედგა, როგორ მთხრიდა თვალებს დურგალი... უჰ, რა საშინელი დღეები იყო! წლებთან ერთად გულის ფანცქალს გადავეჩვიე, ისე, რომ ერთი ზედმეტი დარტყმაც კი აღარ მქონდა. გამუდმებით ვსინჯავდი მაჯას, სულ სამოცდასამი იყო. ხანდახან სამოცდაორამდე ჩამოდიოდა. “ნორმალური პულსი სიარულის დროს ისინჯება,” – მახსოვს, ასე ამბობდა ჩემი მეგობარი ექიმი. რა მექნა, შუა ქუჩაში ხომ არ დავიწყებდი პულსის თვლას!.. ამიტომ ცოტას ვისვენებდი, ერთ კაპუჩინოსაც გეახლებოდით, მივიხედ-მოვიხედავდი და, თუ არავინ მიყურებდა, ჩუმად დავაძრობდი საათს და: სამოცდასამი. არაფერი მაინტერესებდა, არც ქალები, არც ფორთოხლის ფასის ხუთი ყურუშუდა<sup>2</sup> ოცდახუთ ყურუშამდე ავარდნა. თუ ხუთი ყურუში ელირებოდა, შევჭამდი, თუ ოცდახუთამდე ავიდოდა, მშვიდობით, ფორთოხალო! მთელ სტამბოლთან განშორებას, ახლა მესამე ნომერი ქუჩაც რომ მიემატა, საღამოს გასეირნებას ეშხი დაეკარგა. ორ ქუჩას შორის პატიმარივით ვიყავი გამომწყვდეული, მაგრამ მაინც არ მომიწყენია. მართალია, ჩვენი უბანი მშვიდია, მაგრამ აქ სიცოცხლე ჩქეფს. აბა, რა იქნება უბანში, სადაც ნახევარზე მეტი ლევანტელები<sup>3</sup> და ებრაელები არიან. განსაკუთრებით კი – ებრაელები, კარგი, ტკბილი, სიცოც-

<sup>2</sup> ყურუში – ლითონის ხურდა ფული, თურქული ლირის მეასედი.

<sup>3</sup> ლევანტელები – ქრისტიანული აღმსარებლობის პატარ-პატარა ჯგუფები.

ხლით სავსე და სიცოცხლის მოყვარული ხალხი... ჩემი უბნის ებრაელები მაინც დამაინც მდიდრები არ არიან, უფრო სწორედ, მე არ მაქვს მდიდრებთან საქმე. ჩვენი ფორთოხლის გამყიდველი სოლომონი ჩემგან ორმოც ყურუშს რომ იხეირებს, იმ დღეს ყველაზე სათნო ადამიანია მთელ დუნიაზე. თუ ძალიან მეძვირა ფორთოხალი და არ ვიყიდე, ზურგსუკან არ დამიბლვერს, არც მაშინ დაიბუზლუნებს, თუ შევაჭრებისას არარეალური ფასი შევთავაზე. რაც არ უნდა მოხდეს, არასდროს გამამტყუნებს.

საღამოვდება. ჩვენი მადამის საკონდიტროს ფანჯრებზე მოჩითული ფარდა რომ დაეშვება, აი, მაშინ ვხვდები, რომ საღამოც დამდგარა. შიგნიდან თბილი ყვითელი სინათლე გამოდის. პირველი მადამი ანთებს შუქს, მერე სოლომონი დგამს ანთებულ სანთელს ფორთოხლებიან ყუთზე. მერე კი მარილწყალში ჩანყობილი თევზით მოვაჭრე რთავს სამასვოლტიან ნათურას და ხახვის ჭრას იწყებს. ამ შუქზე ყოჩივარდისფერი ხახვი ტუჩის საცხივით და ფრჩხილის ლაქივით ბრჭყვიალებს. მარილწყალში ჩანყობილი თევზი კი ფუნთუშა და შავტუხა ბერძენი ქალის დუნდულებივით და ბარძაყებივით გამოიყურება.

ჩემი ქუჩა მარტო ჩემი თავშესაფარი არ არის, ის სამიკიტნოს ქალებსაც იფარებს ხოლმე, როცა განმარტოება უნდათ. ეჭ, ჩემო საწყალო ქუჩავ!

პირველ ნომერ ქუჩაზე ორი სამიკიტნოა, ორივეში საზს უკრავენ. სამიკიტნოების ნინ ტაქსები დგას. ტაქსებს შორის კი მძღოლები და მეძავები მი-

დი-მოდიან. ავტომობილებზე ნინ ლი-თონის ჯოხი რომ არის დამაგრებული, თავიდან მეხამრიდი მეგონა, მერე გავიგე, რომ ანტენა ყოფილა, მაგრამ ხანდახან ახლაც მეჩვენება, თითქოს ეს თეთრი პრიალა ჯოხი წვიმაში ელვასავით იკლაკნება. ძალიან მიყვარს ამ უზარმაზარი ცხოველის ეს პატარა კუდი, რაღაც ისტერიულად და ავისმომასწავებლად რომ ირხევა.

წვიმის დროს სახაშის ნინ ვდგები, ქუდს ჩამოვიფხატავ და გამვლელ-გამომვლელს მზერას ვაყოლებ. წარმომიდგენია, რა გაფართოებული თვალები მაქვს ამ დროს. ვინმეს ეგონება, აქ ისეთი ქვეყნიდან მოვედი, სადაც ქალები საერთოდ არ არიან, ახლა კი ვდგევარ და ვეძებ ქალს, რომ ჩემთან წავიყვანო და ჩემი გასაჭირი ვუამბო.

ათი წუთის შემდეგ ქუჩაზე ჩემზე ბევრად ასაკოვანი კაცი ჩაივლის. იგი ტანადია, თმები არ გასცვენია, მაგრამ გასთეთრებია, ულვაშებიც ჭალარა აქვს. მძღოლები, დაინახავენ თუ არა, გასძახებენ:

— ვა, მამაბატონს გაუმარჯოს!

— სალამი ბიჭებს! — უპასუხებს იგი, მერე ფუზულის<sup>4</sup> ლექსებს მიაყოლებს და, როცა ჩაივლის, მძღოლები იტყვიან: “ნასწავლი კაცია, მაგრამ ერთი ცუდი თვისება აქვს, პატარა გოგოები უყვარს. ისე არ წავა, სანამ ყველაზე პატარას და თან ყველაზე გარყვნილს არ წაიყვანს.”

კაცი მოპირდაპირე მხარეს დამის კლუბისკენ მიდის. მეც კვალდაკვალ მივყვები. იგი პირდაპირ მუსიკოსების ნინ ჯდება. სუფთად აცვია, ხელები, თმები, ულვაშები მოვლილი აქვს. გარეგნობით ორმოცდაათზე მეტს ვერ

<sup>4</sup> მუჰამად ფუზული – დიდი აზერბაიჯანელი პოეტი (1494-1556). წერდა სამ (თურქულ, არაბულ და სპარსულ) ენაზე.

მისცემთ. პატარა სცენაზე ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი ქალია. “მამაბატონი” ყველაზე ახალგაზრდას ადგამს თვალს. ის ქალი კოქტეილით ამასპინძლებინებს თავს. ბრონზულის შარბათი მოაქვთ, შიგ რამდენიმე წვეთი სპირტი ურევია. მეორედაც მოაქვთ. მოგვიანებით “მამაბატონი” ერთ მრგვალთვალება, სასიამოვნო გოგოს იხმობს, ყურში რაღაცას უჩურჩულებს და ჩათვლებს, მერე მაგიდაზე იდაყვს ჩამოდებს და იძინებს. მხოლოდ მაშინ, როცა შავსათვალიანი მევიოლინე – თავის ინსტრუმენტს ხან ხრინწიანი, ხანაც გაბზარული ბგერებით რომ აყოლებს ორკესტრს – სოლო პარტიას იწყებს, “მამაბატონი” თვალს გაახელს და წამოიყვირებს: “ღმერთო დიდებული!” (ოფიციანტ ბექირს თუ დავუჯერებთ, “მამაბატონს” ქალები რომ მიჰყავს, თურმე მათ მკერდზე თავს დებს და ასე ტირის, იძინებს, მდერის, ლექსებს ამბობს. ამ ხუთი ზმინით გამოხატული მოქმედების გვერდით მეექვსე, მაგალითად, სიცილი, არასდროს შესრულებულა). “მამაბატონი” ისევ იძინებს და კლუბში რომ რომელიდაც უბნის ცნობილი ნაძირალა ელვასავით შემოიჭრება და ვიღაცას დაუყვირებს, ყურსაც არ იბერტყავს. მაშინაც კი, როცა აყალ-მაყალი ატყდება, კლუბის ლაზი მეპატრონე ერთ-ორ ძველ ბიჭს ქეჩოში რომ სწვდება და ქუჩაში გაისვრის, ამას ფანჯრების ლენვა რომ მოჰყვება, “მამაბატონს” ისევ უშფოთველად სძინავს. ის კი არა და, “მამაბატონი” არც მაშინ იღვიძებს, გარედან წვიმასთან და თოვლთან ერთად ერთი ახალგაზრდა, ახმახი და ჩასუქებული მეზურნე რომ შემოდის, თან შარვლის ღილებს რომ იკრავს და თან იმ ცარი-ელ სკამზე ეშვება, მოხუცმა ქანცგან-

ყვეტილმა მუსიკოსმა რომ დაუთმო ახლახანს, სკამზე დაჯდომისთანავე კი გამაყრუელად რომ ჩაპერავს თავის ზურნას. ეს მეზურნე საღამოს მუსიკალური ნომრის ბოლო ნაწილია, ასე თერთმეტი საათისთვის მოდის. ლოყები, კისერი, თმა, ულვაშები და პალტოს საყელო ერთიანად გაზინთული აქვს, ორ მსხვილ, მოკლე ფეხზე დაყრდნობილ სხეულს ძლივს მიათრევს რხევარხევით, ხავერდისსაყელოიან პალტოს იხდის, დარბაზის ერთ კუთხეში მიაგდებს და ბრმა მევიოლინეს ხელის აწევით ესალმება. მედოლე მის სალამს მევიოლინეს ჩურჩულით გადასცემს. ციტრაზე დამკვრელის გადაჭიმული, ახალგაპარსული და შაბნასმული სახე, რომელიც მკრთალად მოჩანს უკანა რიგში, უცებ მილიონი ნაოჭით იფარება. ჩვენი მეზურნე კი უკვე სკამზე ზის. ნეტავ, შარვლის ნინა ღილები საერთოდ არ აქვს, თუ სიმსუქნისგან სწყდება? იქიდან მწვანე შარფის ფოჩები მოუჩანს. ვინც ამჩნევს, სიცილით კვდება. კლუბის მეპატრონე თავით და თვალებით ანიშნებს. დამორცხვებული მეზურნე ფეხზე დგება და კლიენტებისკენ ზურგშექცევით დიდხანს ისწორებს შარვალს. მერე ისევ ჯდება, აქეთ-იქით იხედება და ჯიბიდან პორტსიგარს იღებს. გეგონებათ, აი, ახლა დაიწყებს თამბაქოს შეხვევასო, მაგრამ პორტსიგარიდან ჯერ ერთ ზურნის ყამიშს ამოიღებს, მერე უკან ჩადებს და მეორეს ამოიღებს. და ამას ისე აკეთებს, თითქოს ამ საღამოსთვის საუკეთესო უნდა შეარჩიოს. მე სწორედ ამ დროს ვტოვებ იქაურობას.

უკვე შვიდი წელი გახდა, რაც ამქუჩის იქით, სტამბოლის სხვა ადგილებში არ ვყოფილვარ. შიშით ვკანკალებ. მგონია, რომ მცემენ, ლინჩის წე-

სით გამასამართლებენ. დამაყაჩალებენ და კიდევ არ ვიცი, რას მიზამენ. სხვაგან თავს უცხოდ ვგრძნობ. ყველა გამვლელის მეშინია. ვინ არიან ეს, ერთმანეთისთვის უცხო ადამიანები, ამ ვებერთელა ქალაქის ქუჩებს რომ ავსებენ? მას შემდეგ, რაც ადამიანებს აღარ უყვართ ერთმანეთი, რატომ ქმნიან ასე მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებს? ვერაფრით ვხვდები. იმისათვის, რომ ერთმანეთი დაამცირონ, მოატყუონ და ყელი გამოსჭრან? როგორ ხდება, ნეტავ, რომ ამდენი სრულიად განსხვავებული, სრულიად უცხო ადამიანი ერთ სივრცეში ცხოვრობს?

უბანი მაინც უბანია. შეიძლება, ერთ დღეს ჩემი პატარა მაღაზია დაიწვას და მშიერი დავრჩე, მაგრამ ასე მგონია, მეხაშე, შუადღისას ლიმონიან და მარილიან ხაშს რომ მაჭმევს, არას-დროს დამამადლის ერთ ულუფას. ფორთოხლის გამყიდველი სოლომონი კი – გვერდით რომ ჩავუვლი, მეც ისე-ვე დამიდებს ხელისგულზე ერთ-ორ დამპალ ფორთოხალს, როგორც ტიტ-ლიკანა ებრაელ ბავშვებს ურიგებს ხოლმე. მაგ დროს, შეიძლება, ჩემი ტანისამოსი ძალიან დაძველებული იყოს, მაგრამ საკონდიტროს მადამი თუ შიგნით არ შემიშვებს, კარებთან მაინც მომიტანს კაპუჩინოს.

ვოცნებობ, მაგრამ მიყვარს ჩემი უბანი და რა ვქნა! და სულაც არ მინდა ძველი ნაცნობების ნახვა. იშვიათად ჩემთან უბანში შემხვდება ხოლმე რომელიმე:

– ვა! აი, სად ყოფილხარ თურმე?

თავს ჩავქინდრავ და დამნაშავესავით ვიყურები.

– ვინ იცის, რა მიქარე?! – ამბო-

ბენ ისინი და მერე მიაყოლებენ, – უჲ, შეძველო, არ ეშვები ხეტიალს, ხო?

ხეტიალსაც შევეშვი და საკუთარ თავსაც, მაგრამ თქმა მიჭირს.

– გიცნობ, შე გაიძვერა, ალბათ, ისევ დასდევ ვიღაც-ვიღაცებს.

საკუთარ თავსაც აღარ დავსდევ, მაგრამ აი, იმ დურგლის მეგობარი რომ არის, შავგვრემანი ებრაელი გოგო, ცალ თვალში ქათმის სიბრმავით, პუტკუნა ხელებით, იმაზე ვგიუდები. ვინ იცის, გარდა იმ მსხვილი წვივებისა, კიდევ რა ტკბილი ადგილები აქვს, რა სურნელოვანი!

გუშინ უბნიდან გასვლა გადავწყვიტე. უნქაფანში ფეხი დავკარი და შიმპანეში ამოვყავი თავი. საკმაოდ შეცვლილა სტამბოლი. გაოცებული დავრჩი. რაღაცით მომენტა კიდეც:

სუფთა, მოასფალტებული, უზარმაზარი ქუჩები... და ეს აკვედუკი რა ლამაზი ყოფილა! კილომეტრიდან მოჩანს ტრიუმფალური თაღივით. მის გვერდით კი გაზანფერას მედრეს<sup>5</sup>, უმშვენიერესი და უთეთრესი. ვნახე ხეები, პარკები, ადამიანები. დამფრთხალი და მობუზული დავდიოდი. ქიზთაშამდე მივედი. ფათიპიდან ქვემოთ დავეშვი. სარაჩპანემდე ჩავედი. ვხედავ, ერთი შენობის თავზე მუშები ასულან და შენობას ანგრევენ. გამახსენდა, რომ აქ აბანო იყო. თურმე ამ აბანოს არ ანგრევენ?! აბანოს ხსენებაზე უცებ ტანი ამექავა.

რაც არის, არის, რახან სინდისზე ხელი ავიღე, ამასაც გაგიმხელთ: შვიდი წელია, არ მიბანავია. აზრადაც არ მომსვლია დაბანა. ისე ამექავა, ისე ამექავა ყველაფერი, თითქოს ტილები დამესია. აბანოში შევედი, ვიხეხე და ვიხეხე.

<sup>5</sup> მედრესე – სასულიერო სასწავლებელი.

ჭუჭყი სულ ფენა-ფენა მძვრებოდა. მაგრამ, უჰ, რა მოვისვენე! მაგრად კი გავოფლიანდი. სადაც მოვისვი, ხელში სულ რაღაც შემრჩა, არ ვიცი კანი, ქონი, ჭუჭყი თუ რა. გავოცდი, რამდენი ნაგვის მოგროვება შეძლებია ადამიანს... კარგი საფარი გვქონია, აი.

აბანოდან გამოვედი და ტრამვაის შევახტი. ერთი შინ შევივლი და მერე თეშვიქიესკენაც გავისეირნებ-მეთქი, ვფიქრობდი. შინ დაბრუნებულს, საწოლზე გავიშოტე თუ არა, ჩამეძინა. ოცდაოთხი საათი მეძინა, მეორე დღის ორ საათზე გავიღვიძე და პირდაპირ მეხაშესთან გავიქეცი.

ბაირამმა მითხრა:

— თვალი არ გეცეთ, ბატონო მანსურ, და რა კარგ ფერზე ხართო!

ხომ არ ვეტყოდი, აბანოში ვიყავი-მეთქი. ხაშში ნიორი არ ვაქნევინე. მერე სასეირნოდ წავედი, შებინდებისას მაჩუამდე მივალწიე. აი, იქ კიდევ

სულ სხვა სამყაროა... უკანა გზაზე ვფიქრობდი, მოდი, ახლა გადაწყვეტილებას მივიღებ, რომ კიდევ ერთი შვიდი წელი უბნიდან ფეხი არ გავადგა-მეთქი, მაგრამ ვერ ვქენი. ამ ორი დღის თავბრუდამხვევმა ცხოვრებამ თავგზა ამიბნია. იცით, უცებ რა გავიფიქრე? ამ ჩვენს პატარა მაღაზიას და სახლს გავყიდი. ის კლუბი ხომ გახსოვთ, მე რომ გიამბობდით, ცოცხალი მუსიკით? იქ ერთი გოგოა, ვიწრო შუბლი რომ აქვს, გარეთ კლიენტებს ელოდება ხოლმე, აი, იმას, საყვარლად დავის-ვამ. ერთი წლის მერე კი მოვკვდები.

ერთ მშვენიერ დღეს ბოსტორზე წავალ, ბორანზე ავალ, სადმე უკანა სკამზე დავჯდები, ბებექის და არნა-ვუთქიოს მიდამოებს რომ გავუსწორდებით, წამოვდგები, ირგვლივ მივიხედ-მოვიხედავ და, თუ არავინ იქნება, ზღვაში გადავეშვები.

**თურქულიდან თარგმნა  
ირინე ჯავახიძემ**



სპარსელი ლიტერატურა

## რუდაქი

(IX-X სს.)

\*\*\*

ვარდი ხარ გაზაფხულისა,  
ლხენა ხარ ჩემი გულისა,  
ღვინო გაქვს, რატომ არ მოგაქვს,  
დამატკბობელი სულისა?!  
ღვინო კამკამა იმდენი,  
ვით გაზაფხულის ღრუბელი,  
ბაღნარში რატომ არ მოგაქვს,  
რატომ არ მიკლავ წყურვილსა!

სპარსულიდან თარგმნა  
ნომადი ბართაიამ

## ბაბა თაჟერ ურიანი

(XI ს.)

\*\*\*

გული მაქვს შენი სიყვარულით გიუი და ხელი,  
თვალები კიდევ – სისხლიანი ცრემლებით სველი.  
შეყვარებულის გული არის, ვით სველი ზვინი,  
ერთ მხარეს იწვის, მეორედან ცრემლი სდის ცხელი.

სპარსულიდან თარგმნა  
ნომადი ბართაიამ

## ნასერ ხოსროვი

(1004-1072)

### [ქეპათა ქეპა გლეხს]

ქვეყნად ყველა საქმეს ვაქებ,  
ალალსა და სამართლიანს,  
მაგრამ გლეხის გარჯა სხვაა,  
გლეხის ჯაფას სხვა მადლი აქვა.  
ჩვენც ვფუსფუსებთ, განა გვინდა,  
ქვეყნად ფუჭად წყალი ვნაყოთ?!  
მაგრამ მხოლოდ გლეხი თესავს  
თესლს და იფქლად იმკის ნაყოფს.  
გლეხითაა, ეს ქვეყანა  
სულ რომ ყვავის და დგას ხვავი;  
გლეხს შეჰყურებს, ვით მარჩენალს,  
დაბლა – მგელი, მაღლა – ყვავი.  
ჩვენც ხომ სულ გლეხს ვუძუძგურებთ, –  
სული ჩვენი გლეხს აქვს ხელში.  
ის თუ გვაჭმევს, ყველა ვხარობთ,  
თუ არადა, ყველა ვხვნებით.  
მხოლოდ გლეხის გარჯით არის,  
კაცს ჯანი და ღონე რომ აქვს  
(აბა, მიდი, ბიჭი ხარ და  
გაუძელი მშიერ სტომაქს!).  
ჩვენ რომ სარჩო გაგვიჩინოს,  
მიწას ცხელი ოფლით ალტობს.  
ქვეყნად ყველა ვფაციფუცობთ,  
მაგრამ გლეხი შრომობს მარტო.

## მეგობართა თვალთმაქცობის შესახებ

მე რომ მიყურებთ, რაც თავი მახსოვს  
 და რაც ვიცხოვრე ამ ქვეყანაზე,  
 ერთი მისანდო კაცი ვერ ვნახე  
 და ეს აღმიძრავს ფიქრებს ამაზრზენს.  
 ვინც უნდა იყვნენ, ამხანაგებთან  
 მოქცევა შენი, გმართებს, ამკაცრო;  
 შორს დაუდექი შენს სამეგობროს,  
 შენს სამოყვროს და შენს საძმაკაცოს!  
 ისინი ხეირს ეძებენ შენთან  
 ( მერწმუნე! ამ ხალხს მე კარგად ვიცნობ),  
 მხოლოდ იმისთვის გემოყვრებიან,  
 ბრიყვს ლუკმაპური დაგცინცლონ ვინძლო.  
 გამორჩენისთვის გეტმასნებიან,  
 თანაც უკლებლივ ყველა ხარბია;  
 თუ გაგიჭირდა და შველა სთხოვე,  
 გაქცევენ ზურგს და მყისვე გარბიან.  
 მანამ უყვარხარ, სანამდის გილხინს,  
 მანამ მდიდრად ხარ და გაქვს დინარი.  
 თუ გაღარიბდი, შენზე იტყვიან:  
 „ არც ვიცნობთ ამ კაცს. ნეტა, ვინ არი?“  
 დარჩები მარტო, არვინ შეგრჩება  
 იმათგან, სულ რომ ირგვლივ გეხვია.  
 ოღონდ შენს ხარჯზე სარფა ნახონ და  
 შენ თუნდ კისერი მოგიტეხია!  
 ცივი აქვთ სისხლი და ამის გამო  
 არ დაგიდევენ, გცივა თუ გცხელა;  
 შენ გულზე ცეცხლი გიკიდია თუ  
 არ გიკიდია, ჰკიდიხარ ყველას.

სპარულიდან თარგმნა  
 მაგალი თოდუამ

## სიმღერა სიყვარულისა

ლაწვები შენი მზეა გულის სამყაროსი და  
ზილფები შენი – მთვარე მისი მანათობელი.

სატება შენი არის ღვინო თვალის სურის და  
სურნელი შენი მოდის გულის სასაკმევლოდან.

ზილფით მოსტაცე ელვარება გონების ლაწვებს,  
ხოლო ხალით კი გული მტვრად და მინად აქციე.

შენი ზილფების საზრდო არის სისხლი ჯიგრისა,  
ხოლო თვალები გებინდება თასიდან გულის.

ტრფობა ზღვა არის, მარგალიტის ნიჟარა – გული,  
სული – მყვინთავი, მარგალიტი – შერწყმაა შენთან.

გუშინ იდუმალ ქვეყნის ბულბულებს  
ეს შეჰველულუნა მტრედმა გულისა:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

შენზე დარდია სალბუნი ჩვენი,  
უბედურების მომტანი კი შენი თვალია.

შენი წარბები განდეგილთა არის სადგომი,  
წამწამები კი მკურნალია სწეულებისა.

შენი ღაწვები მებრუვეთა<sup>1</sup> სასთუმალია,  
ხოლო თმები კი არის ტყვეთა თავშესაფარი.

შენი თასიდან ერთი წვეთიც იგემა ვინაც,  
გახდა მერწყული მემთვრალეთა ქუჩაბანდისა.

აღარ დაიძრას ქარავანი, აცნობე, რადგან  
უკვე დაიწყო თვალებიდან ღვართქაფი წვიმის.

---

<sup>1</sup> მებრუვე – “მარადის მთვრალი” (საბა).

სატრფოს ჩურჩულით გავუმხილე გულისნადები,  
რათა უბირთა არ ესმინათ სიტყვები ჩემი.

გუშინ მღეროდა ჩანგზე ვიღაცა  
მემთვრალეთ შორის მუტრიბი ერთი:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

სატრფო, წარბების სიბნელიდან გამომზირალი,  
მზეა ელვარე, მუშთარი<sup>2</sup> რომ ჩაუსვამს ყურში.

ბაგენი მისი უკვდავების წყლის ნაპირია,  
ხოლო იმ წყალში ციმციმებენ მარგალიტები.

მე, მაწანწალა და უპოვარი,  
დღედაღამ ზურგით დავათრევ ღვინოს.

მე, მეგობარი გონებით მხედთა,  
ვარ ჩაცუცქული სამიკიტნოს კარებთან ახლა.

გუშინ წალკოტში სეირნობისას,  
გახელებული ვნახე ტრფობით ბულბული ერთი.

ერთი ბულბულიც ვიხილე მე იქ,  
რომელიც საროს კენწეროზე მდუმარედ იჯდა.

მან ჯერ იქიდან დაპინდული მესროლა მზერა,  
ეს მოაყოლა იმ მზერას მერე:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

როდესაც სარომ სიმაღლეზე დაგისვა კითხვა,  
შენი სიმაღლით მას მიაგე პასუხი მაშინ.

სულმა შენ მთვარე გინოდა და განათდა უფრო,  
გულმა შენ სარო გინოდა და – გინოდა მშვენად.

---

<sup>2</sup> მუშთარი – იუპიტერი.

ასე აუწყა მარგალიტებს მაგ ლალის ბაგემ:  
მონები ხართო ჩემს წინაშე ჩამნკრივებული.

ზღვა ოკეანედ გარდაიქცა, ჩემმა თვალებმა  
როცა აუწყა მას ამბავი თავის ტალღების.

ჩვენ ვსაუბრობდით საიდუმლოდ, რადგან აზრს ფარულს,  
აბა, ხმამაღლა გონიერი გაამხელს განა!

გუშინ მექოთნის სახელოსნოში  
მსურდა, ფიქრები რომ გამემხილა.

როცა დოქებთან მე ჩავიმუხლე,  
ერთ-ერთმა დოქმა მე მიამბო ასეთი რამე:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

მე ის რინდი<sup>3</sup> ვარ, სიცოცხლე რომ ქარს გაატანა,  
ასე არავინ მოქცევია სიცოცხლეს თვისას.

ბორკილგაყრილი მე ვიყავი აქამდე მონა,  
ახლა კი მე ვარ მზისქვეშეთში ბორკილაყრილი.

მე არ მაწუხებს ტკივილი და სალბუნზე ზრუნვა,  
ბედნიერებას განსაცდელში თუ ვპოვებ მხოლოდ.

გამოყვანილი ვარ სასმისი მე ახლა წელში,  
სამიკიტნოში ერთადერთი თუ ვპოვებ შვებას.

ო, კი განეხლო სატრფო ჩემში, მაგრამ ო, როგორ  
ვარ ბედნიერი განშორებით სატრფოსგან ახლა.

ფარული ჩემში თუ რამ იყო, აშკარა გახდა,  
და ის გულიდან გამოდინდა, ვითარცა სისხლი.

<sup>3</sup> **რინდი** – გულადი პიროვნება, რომელიც გარეგნულად თავზე ხელაღებული და დარ-დიმანდი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, გულით კი, როგორც ერთგვარი სექტის წევრი, უფალს იყო მინდობილი (მდრ. „გარინდება“. ამ ტერმინს უკავშირდება ქართული „რაინ-დი“).

ოდეს საკუთარ თავისაგან ვიპოვე შვება,  
არაფერს ვჩივი, მოსახდენი რაც არის, მოხდეს!

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

ვართ ამა ქვეყნად ჩვენ ყველანი მაწანწალანი,  
თავშესაფარი არის ჩვენი სარდაფი ღვინის.

მშვიდად ვუყურებთ ჩვენ რწმენას და ურწმუნოებას,  
ასევე მშვიდად ჩვენ ვუყურებთ მიწიერ ბალნარს.

ბოლო მოგვიღეს ჩვენ კერპებმა, მსახურებს ღვინის,  
მაგრამ ერთგულნი ჩვენ მსახურნი დავრჩით მუტრიბთა.

ვეამბორებით მერიქიფეს ჩვენ ხელზე ხანაც,  
და ხანაც კიდევ ფეხს ვუკოცნით ჩვენ მერიქიფეს.

სიყვარულისგან არასოდეს არ დაიცლება  
ბუდე ჰომაის<sup>4</sup> – სიხარულის მომტანი ფრთოსნის.

ქვედამხობილა სალოცავად დედამიწა და  
ზეალმართულა სალოცავად თავანი ზეცის.

ჩემს წინ შეჩერდა ქარავანი, მოსული შორით,  
მოისმა მისგან ღალადებად სიტყვები ესე:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

წუხელის ვნახე მე სიზმრების გამოფენაზე  
თვალები მთვარის, წყაროსთვლებად გადაქცეული.

ო, ხალი მისი ჰაბაშიდან<sup>5</sup> ჩასულა რუმში<sup>6</sup>,  
ლალ-ყანდი მისი ერთიანად ქცეულა ღვინოდ.

თვალებმა მისმა დაუბნია გონებას თავ-გზა,  
ხოლო ზილფმა კი გზა დაუხშო ჭეშმარიტებას.

<sup>4</sup> ჰომაი – ფენიქსი. ვისაც ის გადაუფრენს ბედს ეწევა.

<sup>5</sup> ჰაბაში – ეთიოპია.

<sup>6</sup> რუმში – ბიზანტია.

ორივე ერთად სალბუნია რჯულის და რწმენის,  
ერთი – ელვარე, მეორე კი არის ხვეული.

ორივემ ერთად მე მაჩვენა, თუ როგორ უნდა,  
რომ მოიპოვო ერთდროულად შვება და გვემა.

განთიადისას გონდახშულმა სიყვარულისგან,  
მე ჩაივიარე საფლავებს შორის.

როცა ვიკითხე საიდუმლო სიყვარულისა,  
მაშინ ერთ-ერთმა თავისქალაშ ამიხსნა ასე:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

ლაწვები შენი ლაწვებია მერიქიფისა,  
ბაგე კი – ღვინო, მთელი ქვეყნის დამათრობელი.

ღვინო კი არის მოციმციმე, ალალი, მაგრამ  
გარეშე ზილფის სურნელების არაფერია.

ვით ჯამის ბაგეს მოადგება ციმციმით ღვინო,  
ისე მოადგა ბაგეს სული და სურს გადმოღვრა.

მოლხენა ჩვენი განდეგილთა არ ჰგავს მოლხენას,  
დიდებულთ შორის მდაბიოებს რა ესაქმებათ!

ჩვენ მაღლა ვდგავართ მორწმუნეთ და ურწმუნოებზე.  
მორწმუნე – რწმენით, ურწმუნო კი ურწმუნოდ დარჩეს.

მონასტრის კართან ვნახე ერთი შეყვარებული,  
რომელიც იყო არც ურწმუნო და არც მორწმუნე.

მივედი მასთან, მორჩილებით დამიკრა თავი,  
პასუხად ჩემი მისალმების, სალამი მომცა.

გახსნა მან მაშინ იაგუნდის სალარო თვისი,  
ნაცვლად სიტყვების ეს ყანდები გადმოაფრქვია:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

გუშინ მთვრალი და რწმენისაგან თავისუფალი  
მივაბიჯებდი სამყაროში გონიერების.

ერთ მონასტერთან მომიწია მე მაშინ გავლა,  
ვნახე გლახაკი დიდებულზე ამაღლებული.

მე სიყვარულის თასით ვნახე იქ ყველა მთვრალი,  
მორჩილი იყო ყველა მაშინ ბატონის ერთის.

ნასერის მსგავსად იქ ასობით ვიხილე კაცი,  
მოეგდო ზურგზე ღვინით სავსე ტიკჭორა ყველას.

ვიღაცა ერთი იმ მონასტრის მივიდა კართან  
(არ ჩანდა იგი არც მორწმუნე და არც ურწმუნო),

შეჩერდა იქ და იღალადა სატრფოზე ერთხანს,  
მან სიყვარულის იქ ამბავი მოუთხრო ყველას.

ღვინის მსმელები იქ მოვიდნენ აღელვებულნი,  
და მონასტერმა მაშინ ასე დაიგუგუნა:

სამყარო სატრფოს სახის სხივია,  
სხვა ყველაფერი აჩრდილია ამქვეყნად მისი.

სპარსულიდან თარგმნა  
**ნომადი ბართაიამ**

## მას'უდი

(1046-1124)

\*\*\*

უამმა რამდენიც სიკეთე მიყო  
(მან დამაბერტყა უხვად გონება),  
იმდენი მიმტრო და იმდენივე  
დამაკლო ისეც ღატაკს ქონება.  
შეყვარებული არ ვარ, მაში, რატომ  
არ მაძევს ფერი და ვგავარ ნაცემს,  
არც ნიამორი ვარ, რად მოვხრილვარ  
წელში? ამაზე პასუხს ვინ გამცემს?  
შენ, თავო ჩემო, გირჩევ, დამშვიდდე!  
სიბრძნე მყოფადის დანახვაშია;  
ცოტაც ითმინე და დღევანდელ დღეს  
შეხედე, როგორც ზეგის ხვაშიადს!  
სიხარბეს გულთან ნუ მიიკარებ,  
დუშმანი შენი სწორედ იგია!  
ამ მარცვლებს კენკვას ნუ უწყებ, მათ ქვეშ  
დასალუპავი მახე გიგია.  
უაღრესობის ცნებას ნუ მისდევ! -  
შვების მომტანი არც იგი არ ჩანს.  
დაიმახსოვრე: ახალი ტილო  
ბევრად ჯობია გაცვეთილ ფარჩას.  
მზემ კარგად უწყის, ვით გაგვახაროს,  
თავს არ გვაძეზრებს, იცის, ვინატრებთ;  
ხან სადლაც მიდის და ბნელში გვტოვებს,  
ხან კი მოდის და მთა-ბარს გვინათებს.  
ჩვენშიც სხვაობა არ არის თითქოს,  
(ყველანი ხომ ვართ ადამის ძენი),  
მაგრამ ჩვენ შორის გარჩევაც გმართებს,  
ზოგნი ბრიყვნი ვართ და ზოგნი – ბრძენნი.  
ლითონსაც ბედი ერგო ამგვარი,  
ზოგი რკინაა, ზოგი - ფოლადი.  
ფოლადს მახვილად ჭედავენ მეფის.  
რკინა? თავს იდრეკს ვირის ფოლად \* ის.

---

\* ფოლადი – ფლოქვი.

უსამართლოა საოფელი – ავის  
კარგში აღრევა მისი წესია.  
უკეთესები ვინც გვივის სხვებზე,  
ისინი სხვებზე უფრო კვნესიან.  
ერთი სხვა ნაკლიც აქვს წუთისოფელს:  
ბრიყვს ყურს უყრუებს და ერჩის ჭკვიანს.  
ხის მაგალითიც არ დავივიწყოთ:  
ხე თუ სწორია, სწორედ მას ჭრიან.

\*\*\*

შენ როგორც გსურდეს, ისე მაძაგე,  
გალანძღვის ჩემის არ გქონდეს რიდი!  
მაგრამ რა წარმტაც ლექსებს ვწერ, შეხე! —  
ქვეყნად მგოსანი რადგან ვარ დიდი.  
ლექსს სხვებიც წერენ (იმდენი ჯლაბნეს  
იგი, რომ ლამის თავზე გადასდით ),  
მაგრამ სხვა არის მათი გულისთქმა  
და სხვაა ჩემი ზნე და ადათი.  
მე სხვის ქისაზე არ მრჩება თვალი,  
სიხარბე ჩემგან როგორ იქნება!  
არც ვინმეს ყალბად ქება მჩვევია,  
არც უსამართლოდ სხვის განქიქება.  
უფალს, ვით ჩვენი, ისე მოუხდა  
ამ წუთისოფლის ნივთად აგება.  
მაშ, ნიშნს რად ვუგებთ ამ სოფელს, ვით კაცს?!  
არ გვმართებს მისი ფუჭად ძაგება!  
თვალში ნამცეცი თუ ჩაგივარდა,  
ჩამოცვენილი ნამჯას თუ თივას,  
ნუ ბლავი! შეხე, თვალებდათხრილი  
ვით ითმენს ტკივილს, თუმც ძლიერ სტკივა!  
დიდსულოვნების გვმართებს თაყვანი  
კაცთ თვინიერთ თუ არათვინიერთ,  
ნარმავალია ქვეყნად ყოველი,  
დიდსულოვნების, რადგან, თვინიერ!

\*\*\*

რაც უამი გადის, ჩემი ტანჯული  
ტანი წვრილდება, ვით სიმი ჩანგის.  
სამაგიეროდ, მთელს დუნიაზე  
ქუხს ( ყური უგდე! )

ამ სიმის ჰანგი.

რა მემართება, არ ვიცი: ქორფა  
 რომ დავიჭირო ყვავილი, ვხვნეში,  
 რადგან ჩემს ხელში ის ეკლებს ისხამს,  
 ხოლო, ვით დიბა, ხდება მტრის ხელში.  
 ლექსები ჩემი იმიტომ არის  
 ასე მწველი და ასე მთუთქველი,  
 რომ ის გულიდან ამომდის, გულს კი  
 ცეცხლი მიბუგავს, ენით უთქმელი.  
 იმდენი ტანჯვა მიშფოთებს გულს და  
 იმდენი ფიქრი ტვინს მიძღვრევს თავში,  
 იგი რომ ჰქონდეს, ასი წლის ბებრად  
 გადაიქცევა შვიდი წლის ბავშვი.  
 შენ გკითხავ, ბედო, რატომ მომიგდე  
 ფეხქვეშ, რა ვცოდე, ასე რომ მერჩი,  
 მითხარი, შენგან ყოველ წამს და წუთს  
 სასოწარკვეთის რად მომდის ელჩი?!  
 თავზე რომ თაჯი მერქვას და თვალი  
 პატიოსანი, ვიცოდე, იქ ძევს,  
 შენ იმდენს იზამ, იმ თაჯს ჩემს თავზე  
 დანთქმულ ვეება ბექობად მიქცევ.  
 შენ რომ მმტრობ, ქვეყნად ასეთი მტრობა  
 ჯერ არ უნახავთ ყოვლის მნახველთაც.  
 შენ მე ყინულის ლოლუად მიქცევ  
 შუა ზამთარში ცეცხლის ნაღვერდალს.

სპარსულიდან თარგმნა  
 მაგალი თოდუამ

## ფარიდ ად-დინ ათთარი

(1136-1229)

### ერთგული ცოლი

ერთი ღვთისმოშიში ქალი იყო, ლა-  
მაზი, ლამაზი. ისე ლამაზი, რომ დღე  
იყო თუ დამე, თავისი პირითა და ზილ-  
ფებით ქვეყანას მშვენიერებას მატებ-  
და. სიტურფე და სიკეკლუცე ხომ ჰქონ-  
და და ჰქონდა, უფალს იგი კეთილშობი-  
ლებითა და კდემამოსილებითაც დაე-  
ჯილდოებინა. სათნოებას ხომ ნუ იკით-  
ხავთ! - სათნოებით მთელ ქვეყანაზე  
თითით საჩვენებელი იყო. შემხედვარე-  
თა თვალებს მომხიბვლელობით აჯადო-  
ებდა და მჭვრეტელთა გულებს სიტკო-  
ებით ავსებდა. მისი ზილფების ყოველ  
ღერზე ორმოცდათ ხვეულს მაინც და-  
ითვლიდით. წარბები მშვილდის ქამან-  
დივით ჰქონდა გადაჭიმული და მასზე  
წამნამები მის დამნახველთა გულების  
გამაპობელ ისრებად გაედო. როდესაც  
მარგალიტების მფრქვეველ იაგუნდის  
ტუჩებს გააპობდა, იქიდან გამომდინა-  
რე უკვდავების წყლით ქედმაღლობით  
მოყელყელავე მის მსმენელებს სიცოც-  
ხლის მინიჭების ნაცვლად გულებს ლახ-  
ვარივით უგმირავდა. მომლიმარე ბაგეე-  
ბი სადაფს მიუგავდა, ხოლო პირის სა-  
მალავიდან ზოგჯერ გამოპარული კბი-  
ლები მარგალიტებივით უკიაფებდა. ნი-  
კაპი? ნიკაპი ვერცხლის ვაშლს უგავდა.  
მაგრამ რად გინდათ, მისი მჭვრეტელი  
შორიდან თუ ყლაპავდა ნერწყვებს, თო-  
რემ თვითონ ვაშლთან ახლოს ვინ მიუშ-

ვებდა და მის გემოს ვინ გაასინჯვინებ-  
და! ცარგვალი რომ ცარგვალია, მასაც  
ამ ქალის პირის სილამაზით გონება აბ-  
ნეოდა და თავგზა დაკარგვოდა. ხომ  
გაქვთ წარმოდგენილი, მისი სიტურფის  
აღმწერნი და მისი მომხიბვლელობის  
მაქებარი მჭევრმეტყველნი რა გასა-  
ჭირში იქნებოდნენ ჩაცვენილი! ეს ის  
ქალი იყო, რომლის ეშვით იმ სამეფოს  
გმირები სანუთროს არ დაენდო და  
ლომკაცები რომ ლომკაცები იყვნენ, მა-  
თი გულები ისე აეძგერებინა, რომ ცო-  
ტალა აკლდათ, პერანგები გაეპოთ.

ერთხელ მოხდა ისე, რომ ამ ქალის  
ღვთისმოსავი ქმარი მოსალოცავად მე-  
ქაში გაემგზავრა. ამ კაცს ერთი უმ-  
ცროსი ძმა ჰყავდა. ალალი ძმა კი იყო,  
მაგრამ კაცური კაცობისა არა ეცხო რა.  
თავისი ოჯახი და ცოლი მას ჩააბარა.  
ჩემი ღვიძლი ძმა ხარ, ოჯახს შენ გიტო-  
ვებ და აბა შენ იცი, როგორ შემინახავო!  
უმცროსმა ძმამაც შორს მიმავალი ძმა  
დაამედა, ხათრიჯამად იყავიო! და მისი  
ოჯახი მიინდო.

შინ დარჩენილი ძმა უფროსი ძმის  
დავალების შესრულებას შეუდგა და მი-  
სი ოჯახობისთვის, უნდა ითქვას, პატი-  
ვისცემა არ დაუკლია. დღე და ღამე შო-  
რიდან მის სამსახურში იყო. საათი ისე  
არ გავიდოდა, რომ იგი რაიმეთი არ მო-  
ეკითხა.

ერთ დღეს თავადაც გაემართა რძლის მოსანახულებლად, ხომ მშვიდობით ცხოვრობსო. მივიდა მისას და თავისი აღუნერელი სილამაზით მჭვრეტელთა გულის გამგმირავი რძალი ნახა. ნახა, მაგრამ ნეტავ არ დაენახა! ქალმა ისე მოხიბლა, რომ გული ხელიდან წაუვიდა. მისმა მშვენიერებამ ეს ჯანიანი კაცი მთვრალივით წააპარბაცა. წააპარბაცაო, გითხარით? შემეშალა. წააპარბაცა კი არა, წაახდინა კაცი. ბევრი ეცადა, ვნება მოეთოკა, მაგრამ გაგიგონიათ! ყოველ წამსა და წუთს მისი სიყვარულის ცეცხლი გულზე უფრო და უფრო ეკიდებოდა. საქციელი წამხდარი ჰქონდა და თავად არ იცოდა, რა მოსდიოდა. როცა მის გულში სიყვარულმა გონიერებაზე საბოლოოდ გაიმარჯვა, ქალს თავისი აუტანელი გასაჭირო გაუმხილა. მაგრამ ქალმა მას ყინულივით ცივი გული შეაგება. რა არ ქნა გონებადაბნელებულმა კაცმა. ხან მუქარით, ხან ოქროების შეძლევით მისი დაყოლიება მოინდომა, მაგრამ ქალმა იგი ახლოსაც არ გაიკარა. ის კი არა, შერისხა კიდევაც:

- უფლის მაინც არ გეშინია, რომ საკუთარ ძმას ასეთ შეურაცხყოფას აყენებ და მისი სარეცლის წაბილწვა გინდა?! ეს არის შენი სჯულიერება და სინდისი? ძმის ნამუსის შენახვა ასე უნდა?! წადი, უფლის წინაშე ცოდვა მოინანიე, იქნება ასეთი ბინძური განზრახვა გულიდან ამოგირეცხოს!

მაგრამ ამაზე იმ საქციელნამხდარმა კაცმა ასე უპასუხა:

- ასეთი დარიგებები შენთვის შეინახე! მე ისე ვარ გახელებული, ახლავე უნდა ავისრულო გულის წადილი და შენც უნდა გასიამოვნო! თუ არადა, მე ჩემსას მაინც ვიზამ. ნამუსს ხომ ძალათი აგხდი, იმასაც არ გაკმარებ და აქვე

ჩემივე ხელებით მოგახრჩობო!

ქალმა უთხრა:

- მე შენი მუქარისა არ მეშინია, რადგან ამქვეყნად სიკვდილი იმქვეყნად წარწყმედას ბევრად მიჯობსო.

არაფერი რომ არ გაუვიდა, კაცს შეეშინდა, ეს ქალი ყველაფერს ჩემს ძმას ჩაუკაკლავსო! წავიდა და საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით უფრო მეტი სიავე მოიმოქმედა: ოთხი სინდისგარეცხილი კაცი დაიქირავა, რათა ცრუმონმეებად გამოსულიყვნენ და ყადისთვის ეთქვათ : ეს ქალი გარყვნილია, ჩვენი თვალით დავინახეთ, უნამუსობა როგორ ჩაიდინაო.

ყადიმ მათი ცილისწამება ირწმუნა და ბრძანა, ქალი დაუყოვნებლივ ჩაექოლათ!

ქალი ველზე გაიყვანეს, ქვები დაუშინეს და ჩაქოლეს. იმდენი ქვა აყარეს, რომ იფიქრეს, უკვე მკვდარი იქნებაო. დასჯილი ადამიანი სხვათა სამაგალითოდ იქვე დატოვეს, რათა ხალხს შეეხედა და მათთვის ამით ეთქვათ, უზნეო ქალების ხედრი ასეთიაო! ტალახითა და სისხლით მოთხვრილი საცოდავი ქალი მთელი ღამე ასე იყო ჩამარხული ქვების გროვაში.

ღმერთი დიდია. თურმე სასწაული მომხდარიყო და ქალს სული შერჩენოდა, ინათა თუ არა, გონს მოვიდა. სულთმობრძავმა და უმწეომ კვნესა და ქვითინი დაიწყო.

მის ბედად ამ დროს იქ ერთმა აქლემზე ამხედრებულმა არაბმა გამოიარა. გულისმომკვლელი კვნესა რომ შემოესმა, შეკრთა. აქლემიდან ჩამოხტა და მტირალ ადამიანს მიაშურა. ცოცხალ-მკვდარი ქალი რომ დაინახა, ჰკითხა, ვინა ხარ და რა დაგმართნიაო? ქალმა ძლივს უპასუხა:

- ვინ ვიქნები?! თავად ხედავ, რა

დღეშიაც ვარ ჩავარდნილიო.

არაბმა ქალი გაამხნევა: ნუ გეშინია, აგერა ვარ და მე გიშველიო!

როგორც იყო, აქლემზე შესვა და თავის სახლში წაიყვანა. ჰყავდა შინ და დღე და ღამე უვლიდა. იმდენი ქნა, რომ მოახედა, სიკვდილს გამოგლიჯა ხელიდან და ჯანზე მოიყვანა. ქალს მოვლა მოუხდა და მომჯობინება დაიწყო. ნელნელა მომხიბლაობაც უბრუნდებოდა. პირი ისე აუყვავდა, როგორც ადრე ჰქონდა და თმები ისევ დაიმშვენა. ჩაქოლვის გამო ქვების ქვეშ მოყოლილი მანდილოსნის ტუჩები ისევ ისე ბადახშანის ქვისაგან მოპოვებულ ლალს და-ემგვანა.

არაბმა რომ ქალის ასეთი მშვენიერება და მომხიბვლელობა დაინახა, გული აუჩქროლდა. ეს ქალი ისე შეუყვარდა, რომ ნუ იტყვით! მეტი ვნებისაგან, ტანზე რომ პერანგი ეცვა, სუდარად გადაექცა. ითმინა, ითმინა და ბოლოს ქალს გამოუტყდა:

- შენი სიყვარულით მეტი აღარა ვარ. გამომყევი ცოლად და შენთან შეუდლებით სული ჩამიდგიო!

ქალმა ამაზე თავის სიკვდილისგან გადამრჩენელ კეთილისმყოფელს უპასუხა:

- მე ქმარი მყავს. გათხოვილი ქალი ისევ როგორ გავთხოვდები და ორ ქმარს როგორ ვიყოლიებო?!

მაგრამ რაც დრო გავიდა, ამ ქალის სიყვარულმა არაბის გულში ფეხი უფრო მოიკიდა. მეტი ვეღარ შეძლო, ერთ დღეს იგი კიდევ დაიმარტოხელა და თავის უსაზღვრო და წრფელ სიყვარულზე ისევ გაუბა საუბარი. ქალმა უთხრა:

- ჰოი შენ, რომელსაც რჯული და-გიგდია, გეკითხები: ქვეყნის შემოქმედის სამართალს რომ აინუნში არ აგდებ, არ გეშინია? მე ხომ ქმარი მყავს! შენ მე

სიკვდილს გადამარჩინე და შენს სახლში წამომიყვანე, რათა ჩემთვის გემკურნალა. მაშ, ახლა რა დაგემართა? მაშინ მფარველ ანგელოზად მომევლინე, ახლა კი ავი სულივით მექცევი და რაც სიკეთე გიქნია, სულ წყალში გინდა ჩაჰყარო. მე ასეთი საქმისათვის ერთხელ უკვე მაქეზებდნენ, მაგრამ არ ვქენი და სამაგიეროდ ისე სასტიკად დამსაჯეს. ალალ-მართალი ადამიანი სასიკვდილოდ გამიმეტეს და ჩამქოლეს. ახლა შენც ასე გინდა, მომექცე, ცოდვის ჩასადენად მაგულიანებ და გავინყდება, რომ მე ნამუსდაცული და ქმრის ერთგული ქალი ვარ. ასო-ასოდ რომ ამკუნო, ბილნ საქმეზე ვერ დამიყოლიებ. გამეცალე და უწმინდური ვნების დაკმაყოფილებისთვის სულს ჯოჯოხეთის გეჰენიაში ნუ ჩაიგდებო!

არაბმა ნამუსდაცული ქალისაგან ასე ალალად და დამაჯერებლად თქმული სიმართლე რომ მოისმინა, მისი გულის სიწრფელე ირწმუნა, გუნება იცვალა და მის მიმართ კეთილად განეწყო. ის კი არა, იგი ლვიძლ დად მიიჩნია. საკუთარი თავისა რცხვენოდა და მწარედ ნანობდა, რომ გულში ასეთი უკეთური განზრახვა გაივლო.

ამ არაბს ერთი შავი მონა ჰყავდა. მე რომ ამბავი მოგიყევით, იმ დროისთვის ის მონა სადღაც იყო წასული, იქ არ იყო და ამ შემთხვევას არ შესწრებია. რომ დაბრუნდა და ეს ქალი დაინახა, გულზე მისი სილამაზის ცეცხლი მოეკიდა და ავხორცობის აღსრულების სურვილი გაუჩინა. ქალს უთხრა:

- მე ღამე ვარ, შენ კი - მთვარე. არ გინდა, რომ სიკეთე გამოიჩინო და ჩემი სიბნელე შენი სხივებით გაანათოო?

ქალი ნართაულს მიუხვდა და უპასუხა:

- ეს უკეთური საქმე არასოდეს არ

მოხდება. შენს პატრონსაც უნდოდა, ამაზე დავეყოლიერინე, მაგრამ ვერაფერს გახდა და მომეშვა. როცა იმ მთვარესავით ქათქათა კაცს ჩემთან არაფერი გამოუვიდა, შენ, შავი მონა, ამას როგორ მიაღწევო?!

ამაზე მონა გაბრაზდა და ქალს დაემუქრა:

- შენ მე ასე ადვილად ვერ გადამირჩები! თუ არ დამყვები, ისეთ რამეს მოგიგონებ, რომ სიკვდილს მოგანატრებო!

**ქალმა უპასუხა:**

- რაც გინდა, ის ქენი! არ მეშინია! სიკვდილს კი არ შევეპუებიო.

მონა ამან გაახელა და, დახეთ, ქალის ნდომამ რა საშინელება ჩაადენინა! მის პატრონებს ერთი თოთო შვილი ჰყავდათ. მივიდა და ბავშვს აკვანში ყელი გამოსჭრა.. მერე სისხლიანი ხანჯალი იმ უდანაშაულო და სათნო ქალის ბალიშის ქვეშ დამალა, მკვლელობას ამას დააბრალებენო.

რომ გათენდა, ბავშვის დედამ გამოიღვიძა, შვილისთვის ძუძუ უნდა ენოვებინა. აკვანს რომ მიაშურა, ყელგამოლადრული ბავშვი დაინახა. რა მოუვიდოდა საცოდავ დედას, ადვილი მისახვედრია. კივილი მორთო და თმა დაიგლიჯა.

მკვლელს ძებნა დაუწყეს. სისხლიანი ხანჯალი იმ პატიოსანი ქალის ბალიშის ქვეშ აღმოაჩინეს. ყველამ ასე იფიქრა: კი, ეს საზარელი საქმე იმ გადამთიელი დედაკაცის ნაქნარი იქნებაო!

არაბმა იმ ღვთისმოსავ ქალს უთხრა:

- გულქვა ადამიანო, რა გიქენი მე შენ ისეთი ცუდი, რომ ჩემი საქციელი ასეთი საშინელებით გადამიხადე და ჩვილი ბავშვი აკვანში ჩამიკალიო?

**- ქალმა უპასუხა:**

- ჩემო საყვარელო ძმაო, ვინც შენ ამქვეყნად გაგაჩინა, მან გონება და მიხვედრილობა იმისთვის გიბოძა, რათა შეგეძლოს, ჭკუას მოუხმო და საქმის არსში შეუცდომლად გაერკვე. გაიხსენე, რა სიკეთე მიქენი შენ მე და სიკვდილს როგორ გადამარჩინე! მე თუ დღეს სული მიდგას, შენი წყალობით მიდგას. საკუთარ დას არ მოექცევა კაცი ისე, როგორც შენ მე მომექეცი. ამასა გთხოვ: დაუფიქრდი ჩვენს საქმეს! შენი შვილის მოკვლით მე რა სარგებელი უნდა მომცემოდა და რა ხეირი უნდა მქონოდა?! ანდა შენი ისეთი სიკეთე ჩემდამი მე შენთვის ასეთი საშინელებით რატომ უნდა გადამეხადაო?!

არაბი გონიერი კაცი იყო და თავისი გამჭრიახობით ცნობილი გახლდათ. იგი ადვილად დარწმუნდა იმაში, რომ ქალი მართალი იყო და ეს ცოდვა მას არ მიუძღვიდა. უთხრა:

- დარწმუნებული ვარ, ჩემი ოჯახის ეს უბედურება შენთვისაც შემზარვია. ჩემს მეუღლეს ასეთი საშინელი მწუხარების გამო ახლა ჭკუა არ მოეთხოვება და სწორად განსჯის უნარი დაკარგული აქვს. მისი გული ენით აღუწერელი გლოვითაა მოცული და შიგ მხოლოდ საშინელი ბოლმა და გაუსაძლისი ვარამი უდუღს. ამიტომაც არ გაგიკვირდეს, თუ ის შენ უხეშად გექცეოდეს. მას როდი ძალუძს, ჩემსავით თვინიერად მოგეპყრას. ასეა თუ ისე, უკეთეს გამოსავალს ვერ ვხედავ: სხვა გზა არ არის, ჩვენგან უნდა წახვიდეო!

ეს უთხრა და ქალს მალულად სამასი დირემი მისცა.

- ეს ფული სადმე დამალე და თანიქონიერო.

ქალმა არაბს ფული გამოართვა და გზას გაუდგა. კარგა მანძილი რომ გაია-

რა, ერთი სოფელი შემოხვდა. გზის პი-  
რას სახრჩობელა აღემართათ. იქაურო-  
ბა ხალხით იყო გაჭედილი. შეხედა, ვი-  
ღაც ახალგაზრდა კაცი იმ სახრჩობე-  
ლისკენ მიჰყავდათ. ქალმა იკითხა:

- ეს კაცი ვინ არის და რატომ უნდა  
ჩამოახრჩონ, რა დააშავაო?

უპასუხეს:

- ეს სოფელი ერთ მტარვალ ემირს  
ეკუთვნის. მას კი ასეთი კანონი აქვს:  
ვინც გადასახადს ვერ გადაუხდის, სახ-  
რჩობელაზე აჰყავს. ამ უბედურმაც გა-  
დასახადი ვერ გადაუხადა და ამის გამო  
ახლა უნდა ჩამოახრჩონ.

ქალმა იკითხა:

- რამდენი აქვს გადასახდელიო?
- სამასი დირემიო, - უპასუხეს.

ქალმა თავის თავს უთხრა: „შენ  
გმართებს, ეს კაცი გამოისყიდო და სიკ-  
ვდილისგან იხსნა! ის ხომ კარგი იყო, ჩა-  
ქოლვისგან სიკვდილს კეთილი ადამია-  
ნის დახმარებით რომ გადაურჩიო?!”

კვლავ იკითხა:

- მე რომ მათ ეს თანხა სიკვდილ-  
მისჯილის მაგივრად გადავუხადო, ამ  
კაცის სიცოცხლეს მაჩუქებენო?

- ულაპარაკოდო! - უპასუხეს.

ქალმა სამასი დირემი გადაიხადა  
და ის კაცი გაათავისუფლებინა.

სიკვდილს გადარჩენილმა კაცმა ეს  
მომზიდლავი ქალი რომ დაინახა, სული  
ყელში მოებჯინა და იყვირა:

- ამ ქალმა სახრჩობელიდან რატომ  
დამიხსნა? მის ასე შეყვარებას ისევ ის  
მერჩია, რომ სული სახრჩობელის ყულ-  
ფში ამომხდომოდა.

ქალს სიყვარული აუხსნა, მაგრამ  
არაფერი არ გამოუვიდა, ისიც სხვები-  
ვით განბილებული დატოვეს. ქალმა იმ  
ვაჟს თავისი მდგომარეობა გააცნო და  
უთხრა:

- მომშორდი და ნუ შემაჭირვებ! მე

შენ სიკვდილისგან დაგიხსენი და შენ  
კიდევ სიკეთეს ასე მიხდიო?!

ვაჟი კვლავ ემუდარა:

- არ შემიძლია შენი დათმობა და  
რა ვქნაო?!

ქალმა უთხრა:

- თუ თავს არ დამანებებ, მე კი  
არა, ჩემი თმის ბეწვი რომ ბეწვია, იმა-  
საც ვერ ეღირსებიო!

დიდხანს მიდიოდნენ გზაზე და  
დიდხანს იგერიებდა ქალი აბეზარი კა-  
ცის წინადადებას, დაჰყოლოდა საავკა-  
ცოდ. ამასობაში ზღვის ნაპირს მიატა-  
ნეს. ნავსადგურში ერთი, ვაჭრებითა და  
მათი აურაცხელი საქონლით დატვირ-  
თული, ხომალდი იდგა. იმ კაცს ქალისა-  
გან იმედი რომ გადაეწურა, ხომალდში  
ერთი ვაჭარი დაიმარტოხელა და უთ-  
ხრა:

- ერთი მზეთუნახავი და უმანკო  
მოახლე მყავს. ერთადერთი ნაკლი, რა-  
ცა აქვს, მისი მედიდურობაა. სილამა-  
ზით ქვეყანაზე ტოლი არა ჰყავს, მაგ-  
რამ რად გინდა, ჩვენ ერთმანეთს ხასია-  
თით ვერ შევეწყვეთ. ამიტომ გადავ-  
წყვიტე, გავყიდო. შენ ხომ არ გინდაო?

ქალი ამ საუბარს ისმენდა. ვაჭარს  
უთხრა:

- ღვთის გულისათვის, მე ამ კაცი-  
საგან არამც და არამც არ მიყიდოთ! მე  
გათხოვილი ქალი ვარ, ქმარი მყავს და  
მისი ერთგული ვარო.

ვაჭარმა ასეთი ლამაზი ტყვე ქალი  
რომ დაინახა, მის ვედრებას ყური არ  
ათხოვა და იგი იმ გარენარი ყმაწვილი-  
საგან ას დინარად იყიდა.

ქალი გაძალიანდა, მაგრამ რას  
გახდებოდა! ხომალდზე აათრიეს. ხო-  
მალდმაც მაშინათვე აუშვა აფრები და  
იქაურობას გაეცალა.

ქალის მყიდველი ვაჭარი თავისი  
მხევლით მოიხიბლა და გულმა იმ ზღვა-

სავით დაუწყო ღელვა. მასთან დაწოლა მოუნდა და ქალს მიეძალა. მაგრამ ქალმა კივილი მორთო:

- ვინ ხართ მუსულმანი! მიშველეთ, უფალი მყავს მოწმედ, რომ მე მონა ქალი არა ვარ, აზატი ვარ და ქმარიცა მყავს. თქვენც ხომ გივით დედები და დები?! ზოგს ქალიშვილიც გეყოლებათ. ისინი ჩემს მდგომარეობაში რომ ნახოთ, რა გუნებაზე დადგებით?! მე უცხოელი ვარ, ქალი დაუძლურებული და ნაგვემი. ჩემს თავზე ურემს არ გადაუვლია, თორემ სხვა არაფერი დამკლებია. გევედრებით, სულ ნუ მომიღებთ ბოლოს, მეყო, რაც თავს გარდამხდა და რაც მჭირსო.

ქალის საცოდაობამ და მისმა ასე-თი სიტყვებით ქვითინმა ხომალდის ხალხზე იმოქმედა. იგი შეეცოდათ და გვერდში ამოუდგნენ.

შეცოდებით კი შეეცოდათ, მაგრამ კაცის გული ოხერია, - კარგად რომ შეხედეს და მისი მშვენიერება გაიცხადეს, ყველას გულში მისი სიყვარული ჩაუვარდა. ცდუნებას ვეღარ გაუძლეს, მისი სიბრალული ყველას გაუნელდა და ყველამ თავ-თავისთვის გადაწყვიტა, მას-თან ეავხორცა.

როცა ქალი ამაში დარწმუნდა, ის ზღვა თავისი ცრემლებით აავსო და უფალს შეევედრა:

- ჰოი, შენ ყოველთა სულიერთა საიდუმლოს შემნახავო! გევედრები, დამი-ცავი ამ უკეთური ხალხის სიბილნისა-გან. მე არც სააქაოს და არც საიქიოს შენ გარდა შემწე არავინ მყავს. გეხვეწები, შენ ამოუძირკვე ამ ხალხს გულიდან ჩემთან თავისი ავხორცობის შესრულების სურვილი! თუ არადა, გთხოვ, უმაღ მომკლა, ვიდრე ესენი თავიანთი ვნების ჩემთან დაცხორმას შეძლებდნენო!

ეს თქვა თუ არა, თავად გონება და-კარგა, ხოლო ზღვა აზვირთდა. საოცარი

რამ მოხდა, წყალი თითქოს ნავთად იქ-ცაო, მთელი ზღვა ცეცხლივით აპრიალ-და, ხომალდს ხანძარი გაუჩნდა, მასზე მყოფი ხალხი ერთიანად ამოხრუკა და ფერფლად აქცია. მეორე საოცრება ეს იყო: ხალხი კი დაიფერფლა, მაგრამ მათ საქონელს, რითაც გადაჭედილი იყო ხო-მალდი, ნაპერწკალიც არ გაჰკარებია.

ამასობაში ქარი ამოვარდა, ხომალ-დი გაიტაცა და რომელილაც ნავსად-გურს მიაყენა.

ქალმა დამწვარი ვაჭრებისგან დარჩენილი ნაცარი ახვეტა და ხომალ-დიდან გადაყარა. თვითონ ქალის ტან-საცმელი გაიხადა და ზაჰედის, მუსულ-მანი ღვთისმსახური მამაკაცის, ტალა-ვარში გამოეწყო, რათა კაცების ყურად-ღება არ მიეცყრო. ეშინოდა, კიდევ არ აჰკიდებოდნენ ვიგინდარები და საავ-ხორცოდ არ მისძალებოდნენ.

ქალაქიდან მომდგარ ხომალდს უამრავი ხალხი მოაწყდა. ნახეს, მასზე ერთი თვალნარმტაცი ზაჰედის გარდა კაცის ჭაჭანება არ იყო. თავად ხომალ-დი კი გასაყიდად ნამოღებული ნაირ-ნა-ირი საქონლით იყო დაძებგილი. ხომალ-დზე მდგარ მშვენიერ არსებას ჰკითხეს:

- მთელი ამ ავლა-დიდებით მარტო ხარ მოსულიო?

ქალმა ამაზე უპასუხა:

- სანამდის თქვენი შაჰი არ მობ-რძანდება, ჩემს ამბავს არავის არ ვეტ-ყვიო.

ნავიდნენ და შაჰს მოახსენეს:

- დღეს ვიღაც პირმშვენიერი ზაჰე-დი გამოჩნდა ჩვენს ნავსადგურში. სა-ქონლით სავსე ხომალდზე მარტო ზის და თავის ვინაობას არავის უმხელს. ამ-ბობს: ჩემზე, ხომალდსა და მასში მო-თავსებულ საქონელზე შაჰის გარდა არავის არაფერს ვეტყვიო.

შაჰი ამ ამბით გაკვირვებული დარ-

ჩა, მაშინათვე ნავსადგურში გაეშურა და იმ პირმშვენიერ უცხოელს მისი ვინაობა გამოჰკითხა. ქალმა უპასუხა:

- ჩვენ ბევრნი ვიყავით, ხომალდზე დავსხედით და ზღვაში შევედით. კარგა ხანს მივცურავდით. მგზავრებმა მე თვალი დამადგეს. ყველამ ჩემთან ლოგინის გაყოფა მოინდომა. მაშინ მე უფალს შეველა ვთხოვე. უფალმაც მისმინა, ყველა ისინი ცეცხლით დაბუგა, ხოლო მე დამარჩინა. შეხედე, ხომალდზე კაცის ჭაჭანება არ არის! მე ამ მაგალითმა ჭკუა მასწავლა. მე ის ადამიანი არა ვარ, ქონებაზე თვალი მრჩებოდეს. რაც ამ ხომალდზე საქონელია, სულ შენი იყოს. ოღონდ შენთან ერთი სათხოვარი მაქვს: ბრძანება გაეცი, რომ არავინ, ვინც არ უნდა იყოს იგი, პატიოსანი თუ უპატიოსნო, მე არ შემანუხოს! მინდა, სანამდის აქა ვარ, ჩემთვის ვიყო და უფალს ვემსახურო.

- შაჰმა და მისმა დიდებულებმა ქალის თხოვნა რომ მოისმინეს, მიუხვდნენ, რომ მისი პირით დიდსულოვნება ღალადებდა. ყველა ისე ერწმუნა მას, რომ კაცი არ დარჩა, მისით არ მოხიბლულიყო და მისი მორჩილი არ გამხდარიყო. ისე სცეს მას თაყვანი, რომ გეგონებოდათ, იგი ადამიანი კი არა, ქააბის ტაძარი არისო. კაცად გამოწყობილი მანდილოსანი ქალაქში შევიდა და ცხოვრობდა იქ ნებიერად.

ამასობაში იმ მეფის ამქვეყნიდან გასვლის დროც დადგა. მან ვეზირები და დიდებულები დაიბარა და ასე უთხრა მათ:

- ჩემი ანდერძი ასეთია: როცა მე ამ ქვეყანას დავტოვებ, თქვენ ეს ღვთისმსახური ახალგაზრდა მეფედ დასვით. იგი ქვეყანას ააყვავებს და ხალხს ბედნიერად აცხოვრებსო.

ეს რომ თქვა, სული განუტევა.

მეფე რომ დაკრძალეს, ნაზირ-ვეზირები შეიკრიბნენ და მეფის ანდერძზე ბჭობა გამართეს. ბოლოს იმ ზაჰედს უთხრეს:

- მეფობა შენ გერგო. ჩვენი ხელმინთე შენ ხარ და ქვეყანა, როგორც გენებოს, ისე მართეო!

ქალმა ეს შემოთავაზება შორს დაიჭირა, - ღვთისმსახურს როგორ შეუძლია, მეფობა გასწიოს?! მაგრამ რადგან სხვა გამოსავალი არ არის, თქვენს ნებას უნდა დავყაბულდე. ოღონდ შესაფერი ცოლიც უნდა შევირთო. რომ გითხრათ, მეც მარტოხელობა მომწყინდაო.

დიდებულებმა მოახსენეს:

- მეფეო, ეს სულ ადვილი საქმეა. ჩვენი ქალიშვილებისაგან, რომელსაც გინდა, იმას დაადევი ხელიო!

ქალმა მათ უბრძანა:

- ასი ქალიშვილი გამომიგზავნეთ! მაგრამ ისინი მარტო კი არ მოვიდნენ, არამედ მათმა დედებმა მოიყვანონ! მე ასივეს დავათვალიერებ და მათგან ერთს, რომელიც მომენტონება, ავირჩევო.

დიდებულებიც ადგნენ და მეფეს ასი თვალნარმტაცი გოგო მიჰვარეს. ყველას გული უფანცქალებდა, ნეტავი დედოფლად რომელს ამოგვირჩევსო?

მაგრამ ღვთისმსახურმა ქალმა მოსულთ თავისი საიდუმლო გაუმხილა. ტანსაცმელი გაიხადა და მათ თავისი ქალობა აჩვენა. შემდეგ კი დედებს უთხრა:

- მეფობა განა ქალის შესაფერისი საქმეა?! ადექით და ეს ამბავი თქვენს ქმრებს, რომლებიც სახელმწიფოს დიდმოხელეები არიან, უთხარით და ისიც მოახსენეთ, რომ მე ამ დიდ ტვირთს ვერ ვიკისრებო!

ქალებიც დაბრუნდნენ შინ და თავიანთ დიდმოხელე ქმრებს ეს მოულოდნელი და საკვირველი ამბავი მიუტანეს.

ამ ამბავმა ყველა, დიდი იყო იგი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, გააოცა.

მეფეს თავიანთი ცოლები მიუგზავნეს და შეუთვალეს:

- რადგანაც სამეფოდ რჩეული ერთაი შენა ხარ, შენ გმართებს, ან ვინმე გაამეფო, ანდა მეფობა შენ თვითონ მამაკაცივით იტვირთოო!

ამასობაში ამ ქალის ქმარიც დაბრუნდა მექიდან. ცოლი შინ არ დახვდა. გზაში ერთ გაუბედურებულ კაცს შეეყარა, დაბრმავებული და დაკუტული იყო. ხელებს ვერ ამოძრავებდა და ფეხებს ვეღარ ადგამდა. ძლივს იცნო. ეს მისი ძმა იყო, რომელიც ცალკე იმ ქალზე დარდით დღე ვერ იძინებდა, ცალკე კიდევ ძმის გამო გულზე ცეცხლი ეკიდა.

მექიდან ჩამოსულმა ძმამ თავისი ცოლის ამბავი ჰქონდა. მან უპასუხა:

- შენი გარყვნილი ცოლი ერთი ზანგის საყვარელი გახდა. ყადიმ ეს ამბავი რომ გაიგო, ქალს ჩაქოლვა მიუსაჯა და ჩაქოლეს კიდევაცო.

ქმარს მისი ცოლის ასეთმა შემზარავმა ამბავმა თავზარი დასცა. ბევრი იტირა და ბევრი იშინა თავში ხელები. რას იზამდა! გულკეთილი იყო და ასე გაუბედურებულ კაცს იმ დღეში ჩავარდნილი თავისი ღვიძლი ძმის უბედურებაც სადარდებელი შეექნა. დაკუტებულსა და დაბრმავებულს რომ უყურებდა, გული ეკუმშებოდა. ერთხელ უთხრა:

- ჩემო გაუბედურებულო ძმაო, მითხრეს, რომ ქალაქში ერთი ქალი ცხოვრობს, ისეთი შელოცვა თუ ლოცვა იცის, რომ ღმერთი ყველა თხოვნას უსრულებს. თავისი ლოცვით ამ ქალს მრავალი ბრმისთვის აუხელია თვალი და ბევრი კუტი დაუყენებია ფეხზე. თუ გინდა, წავიდეთ ამ ქალთან, ეგებ გიშველოსო!

კუტი ამან ძალიან გაახარა:

- თუ ასეა, ნუღარ დავაყოვნებთ.

წამიყვანე, ეგებ ამ უბედურებისგან მიხსნაო!

იმ კაცმა ძმა ვირზე დააბა და გზას გაუყენა. გზაში შემოაღამდათ. ბედად, სწორედ იმ არაბის სახლს მიადგნენ და სთხოვეს, ღამე გაგვათევინეო! ის არაბი როგორი კეთილშობილი კაცი იყო, გვახსოვს. ორივე მგზავრი დიდი სიამოვნებით ისტუმრა. ვახშმობის შემდეგ კი სტუმრებს სხვათა შორის ჰქონდა:

- საითკენ გაგიჩევიათო?

მექიდან მოაბრუნებულმა ძმამ უპასუხა:

- მითხრეს, ქალაქში ერთმა ქალმა ისეთი ლოცვა იცის, რომ ბევრი ბრმა და ავადმყოფი იმ ლოცვით მოარჩინაო. მე ეს ძმა, ხედავ, ასე ცუდად მყავს. თვალის სინათლე დაკარგული აქვს და დაკუტებულია. ახლა იმ ქალთან მიმყავს, იქნება, თვალი აუხილოს და ფეხზე დააყენოსო.

ამაზე არაბმა უთხრა:

- აქ ერთი გაბრძნობილი ქალია. ჩემმა მონამ სცემა იგი და ამის გამო ის ჩემი მონა ლმერთმა ისე დასაჯა, რომ დააკუტა და დაბრმავა. მე თქვენ იმ ქალთან მიგიყვანთ და იქნება მართლა გისაშველოთო.

ადგნენ და ერთ სოფელში ჩავიდნენ. იქ ერთ სახლს მიადგნენ. იმ სახლის პატრონი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა, მაგრამ რად გინდათ, ბრმაც იყო და კუტიც. უთხრეს: ჩვენც ასეთ დღეში ვართ, თქვენსა გვინდა, გავჩერდეთო. იმ ახალგაზრდის დედამ სტუმრის ასე გახდომის მიზეზი იკითხა. იმათაც უამბეს, ქალმა ბევრი იტირა და უთხრა: მეც წამოვიყვან თქვენთან ერთად ჩემს შვილს იმ ქალთანო. ადგა და თავისი ვაჟი ჯორზე მაგრად დააბა. გაუდგნენ გზას.

ახალგათენებული იყო, როცა იმ ქალის სახლს მიადგნენ. კარგა ხნის შემდეგ მასპინძელი გარეთ გამოვიდა. გამოვიდა თუ არა, შორიდანვე თავისი ქმარი იცნო. ისე გაიხარა, გული საგულეში არ ეტეოდა. უფალს მადლობა შესწირა და ტირილი აუვარდა: რა ვქნა ახლა, საყვარელ და ნანატრ ქმარს ასე როგორ ვეჩვენომ?! ცოტათი რომ დამშვიდდა, ქმრის თანამგზავრებსაც დააკვირდა. სამივე იცნო. ისინი სწორედ ისინი იყვნენ, რომელთაც იგი არ დაინდეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს. გულში თქვა: მადლობა უფალს, რომ ჩემი ქმარი თავისივე თვალებით დაინახავს ჩემი გაუპატიურების სამსავე მოწადინეს. ესენი რომ ასეთი ბოროტი არსებანი არიან და ჩემს წინაშე უპატიებელი დანაშაული მიუძღვით, ამას უფლის მიერ მათი ასე დახეიბრებაც ადასტურებს. ჩემი უცოდველობის მოწმედ კი, ვხედავ, უფალი მყავსო.

სახეზე რიდე აიფარა, ქმართან მივიდა და ჰქითხა:

- რისთვის მოსულხარ, ბატონო, რა გინდაო?

ლვთისნიერმა კაცმა უპასუხა:

- აქ იმისთვის მოვედი, რათა შენ დაგვლოცო, ძმა მყავს დაბრმავებული და დავარდნილიო.

ქალმა მის ძმას შეხედა და უთხრა:

- ეს კაცი ცოდვილია. თუ თავის შეცოდებას მოინანიებს, ამ ტანჯვისაგან განიკურნება, თუ არადა არაფერი ეშველება, ასევე ბრმა და კუტი დარჩებაო.

ლვთისნიერმა კაცმა თავის ცოდვილ ძმას ჰქითხა:

- ასეთ შავ დღეში რომ ხარ, თქვი, რა ცოდვა გამძიმებს? თუ არა და, ხომ ხედავ, გეუბნებიან: ისევ ამ ტანჯვაში იქნებიო.

ცოდვილმა ძმამ უპასუხა:

- ჩემი ცოდვის ალიარებას ასი წლის ასეთი ტანჯვა და წამება მირჩევნიაო.

მაგრამ ბევრი რომ დააძალეს, გამოტყდა:

- მე ჩავიდინე ის ცოდვა და ახლა, გინდა მომკალი, გინდა, მაპატიეო!

ლვთისნიერი ძმა ამ ამბის გაგებამ შეზარა. მაგრამ მერე იფიქრა: ცოლი ხომ დავკარგე და დავკარგე. ეს ძმალა შემრჩა და ამას მაინც ვიყოლიებ. რაც უნდა იყოს, ჩემი ლვიძლი ძმაა, ჩემი სისხლი და ხორციო.

აპატია. იმ ქალმაც ილოცა და ისის იყო ლოცვა ახალდამთავრებული ჰქონდა, რომ ცოდვილი ძმა განიკურნა,

- თვალები აეხილა და ფეხებითაც გაიარ-გამოიარა.

ამის შემდეგ ქალი იმ არაბის მონას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- შენ რა ცოდვა გაქვს ჩადენილი? თქვი, ოლონდ მართალი მითხარიო!

მონამ ამაზე უპასუხა:

- აქვე რომ მომკლა, ჩემს ცოდვას ვერ გავამხელო!

მაშინ მას არაბი მიუბრუნდა და უთხრა:

- თქვი სიმართლე, რისი გეშინია? მე შენ სამუდამოდ გაპატიე შენ მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულიო.

მონაც ადგა და აღიარა:

- შენი ბავშვი აკვანში მე ჩავკალი. სტუმარი ქალი არაფერ შუაში იყოო.

როცა ქალმა იმ შავი მონის ალიარება ირწმუნა, მისთვის ილოცა. მასაც თვალის ჩინი დაუბრუნდა და მრთელი კაცივით ზეზე წამოხტა.

ამის შემდეგ იმ დედაბერმაც მოიყვანა თავისი ვაჟი და ვაჟმაც თავისი ცოდვა აღიარა:

- ერთმა უცნობმა ქალმა სიკვდილისაგან მიხსნა, - უნდა ჩამოვეხრჩვეთ.

მან კი ჩემი გამოსასყიდი გადაიხადა და ამით ჩამოხრიობას გადამარჩინა. მან ასეთი სიკეთე მიყო, მე კი იმით გადავუხადე, რომ იგი მონასავით გავყიდეო.

ქალმაც ილოცა და ის ყმაწვილი იმავე წუთში განიკურნა. თვალები აეხილა და ფეხზე დადგა.

დავრდომილთა განკურნებას რომ მორჩა, ღვთისმოსავმა ქალმა ყველანი გარეთ გაისტუმრა, ქმართან მარტო დარჩა და მის თვალწინ ნიღაბი მოიძრო. ქმარმა ეს რომ დაინახა, ერთი წამოყვირება კი მოასწრო, მაგრამ იმ წუთშივე ძირს გაიშელართა. გონებაზე რომ მოვიდა, ცოლმა ჰქითხა:

- რა მოგივიდა? ასე რატომ იყვირეან გული ასე რატომ წაგივიდაო?

ქმარმა ენა ძლივს ამოიდგა:

- მე ცოლი მყავდა. ნიღაბახდილს რომ შემოგხედე, ვიფიქრე, ის ხომ არ არის-მეთქი?! თავიდან ბოლომდე მისი ალი-კვალი ხარ. კაცი რომ შემოგხედავს, იტყვის, ის ქალიაო. შესახედაობა, სიმაღლე და მიხრა-მოხრა სულ მისი გაქვს. მე რომ მე ვარ, თქვენ შორის განსხვავებას ვერ ვხედავო.

ქალმა ამაზე უთხრა:

- იმ ქალს არც უნამუსობა ჩაუდენია და იოტისოდენაც არ შეუცოდავს. მე ვარ ის ქალი, შენი მეუღლე, რომელმაც ღვთისმოსაობა გამოვიჩინე და ამის გამო ვერც ვერავინ ვერ წამბილწა,

ვერც ვერავინ ვერ მომკლა და ვერც ვერავინ ვერ ჩამქოლა, უფალმა ყოველგვარი ხიფათისაგან მიხსნა, თავისი მოწყალებით აქამდე მომიყვანა და ისევ შენთან შემყარაო.

ქმარი მუხლებზე დაეცა და ზენაარს შეჰველადადა:

- ჰოი, სიკეთის მთესველო და უმანკოების მქადაგებელო! როგორ უნდა შეძლოს ჩემმა ენამ შენი უზენაესობის აღნერა და როგორ უნდა მოახერხოს, რომ შენი შესაფერისი მადლობა გითხრასო?

ეს რომ თქვა, გარეთ გავიდა, თავისი თანამგზავრები შემოიყვანა და მათ ყველაფერი უამბო.

ისეთი ჟრიამული აღდგა, რომ ცას უნია. ცოდვილი ძმა, კაცისმკვლელი შავი მონა და ნამუსგარეცხილი ახალგაზრდა სირცხვილით იწვოდნენ, მაგრამ ამავე დროს უხაროდათ, რომ ყველაფერი ასე სასურველად დასრულდა. კდემამოსილმა ქალმაც ერთხელ კიდევ გამოიჩინა ღვთისმოსაობა და ისინი არათუ არ დასაჯა, არამედ უხვად დაასაჩუქრა და გაუშვა.

თავად მას, ხომ გვახსოვს, მეფობის უფლებაც ჰქონდა მინიჭებული და ნებისმიერი კაცის მეფედ დანიშვნისაც. ამიტომ ადგა და თავისი ქმარი სამეფო ტახტზე აიყვანა, ხოლო ის კეთილშობილი არაბი ვეზირად დაუსვა.

სპარსულიდან თარგმნა  
მაგალი თოდუამ

# მუჰამად ფუზული

(1494 – 1556)

## ლექსეპი

\*\*

მარგალიტი, რასაც ქვეყნის  
ფასი ადევს და სულ ედო,  
ნაგავში რომ გადააგდო  
და მყოვარუამს<sup>1</sup> მასში ეგდოს,  
ის თავის ყადრს შეინახავს  
(ძალგიძს, გუჯაბს<sup>2</sup> მისას ენდო):  
კვლავ შეამკობს მეფის გვირგვინს,  
ვით ამკობდა ის მას ერთ დროს.

\*\*

შენ კოცონი ხარ ფიცხი, ხოლო მე  
ვიწვი ვით ფიჩი ალთა შენთ შორის.  
ამ ტანჯვის მოწმედ დამიდექ მაინც,  
რომ არ ეგონოთ ეს ჭმუნვა ჭორი!  
ფუზულის თვალი შენ პირს, ვით მთვარეს  
რომ ვერ ჭვრეტს, ცრემლის ჩამოსდის თქორი.  
შენ ის წყვდიადში გამოამწყვდიე  
და შემორაგვე ვეება ყორით.

\*\*

კეკლუცთაგან ერთგულებას  
შენ თუ ელი, ფუჭად ელი.  
შენ რა, გინდა, მშვიდად იჯდე  
ხელი<sup>3</sup>, ჯაჭვით დაუბმელი?!  
არაქველი ავის მქნელის  
ხელით მხოლოდ ვნება გელის,

<sup>1</sup> მყოვარუამს – დიდხანს.

<sup>2</sup> გუჯაბი – წარმომავლობა; ჯიში.

<sup>3</sup> ხელი – გიჟი.

მაგრამ ქველთაც წუ ენდობი  
მუდამ! –  
მტრობის ხერხს ფლობს ქველიც.

\*\*

სიყვარულმა ჭკვიან კაცთა  
მარაქიდან გამაძევა  
და გიჟებში დამსვა (შმაგი  
უფრო სწორედ ამაზე ვარ).  
ისეც თარსი ეს სოფელი  
გამიხადა სულმთლად ნავსი.  
ნეტავ, ვინმეს თუ რგებია  
ხვედრი, ბედის ჩემის მსგავსი?!  
ერთი სარფა კი მაქვს: ვერვინ  
მსჯის, რომ მოთქმით ვიკლებ უბანს, –  
ვეღარ მცნობენ, მიჯნურებს ხომ  
სისხლის ცრემლი ღანვებს უბანს.  
მის თაფლის ტუჩთ დავთმობ-მეთქი! –  
ვტრაბახობდი ხალხში იმ დღეს.  
თურმე სად ხარ ჯერ: ბაგეთა  
მისთა გუშინ ხელში მიდგეს.  
მაგრამ კი ვერ დამიამა  
გულის წყლული მისმა ბაგემ,  
ფარპალი<sup>4</sup> რომ დაიდაგა,  
მასზე უფრო დავიდაგე.  
ჰე, ფუზული, გულში ცეცხლი  
აზალიდან<sup>5</sup> დღემდე დაგრჩა.  
ფუჭად ყვირი: მიშველეთო!  
შენი შემწე არვინ არ ჩანს.

\*\*

შენ, ვაეზო,<sup>6</sup> სულ რომ გვლანძლავ  
რინდთ და სულ რომ გვგმობ და გვძრახავ;  
ყველას დედაბუდიანად  
მკრეხელად რომ გვთვლი და გვსახავ;  
ხალხს გვიქეზებ, ჩვენთვის იწყონ  
ხმლის ლესვა და ხანჯლის მახვა;

<sup>4</sup> ფარპალი – ალმოსავლური სატრფიალო რომანის გმირი.

<sup>5</sup> აზალი – ისლამს მარადისობა გაყოფილი აქვს ორ ნაწილად: მარადისობას დასაპამი-დან დღემდე უწოდებენ აზალს, ხოლო მარადისობას დღეიდან უკუნისამდე – აბადს.

<sup>6</sup> ვაეზი – ქადაგი.

დადიხარ და ჩვენს მოქიშპედ  
უხმობ შენებრ ბრიყვთ და ახვართ;  
მიმბარზე<sup>7</sup> რომ ახვალ, ჩვენზე  
ათასნაირ ტყუილს ჩმახავ,  
კიცხავ მათ, ვინც ჩვენს მოსაშთობ  
თოკს არ გრეხს და ძაფს არ ძახავს.  
ფრთხილად! – ასე არხეინად  
სულ ვერ ივლი, დღეს რომ დახვალ.  
კინჩხს მოიტეხ; ერთ დღესაც ქვას  
ფეხს წამოჰკრავ, თორემ ნახავ!  
მე, ფუზულის, შენი ქიშპის  
რა მცოდნია, შე ღვთის გლახავ, –  
ხალხმა ისეც კარგად იცის  
შენი ზნე და გულის ზრახვა.

\*\*

დაქროლა სიომ, მაგრამ იმ ქორფა  
ვარდის სურნელი ჩვენ არ გვაყნოსა;  
არც ჩვენს დაჭრილ გულთ მოელამუნა,  
არ გაგვეკარა ერთხელ ახლოსაც.  
გვპირდებოდა კი: “თქვენ მე გიხსნითო!”  
გვთაფლავდა მიჯნურთ, მის წინ მოკრებილთ.  
ჩვენი ხილი კი ვერ დაამწიფა,  
გამოაყარა მხოლოდ კოკრები.  
მსურდა, სხვისთვისაც მეჩვენებინა  
გული, რომელიც მისგან მებალთა,  
მაგრამ ვერა და ვერ მოვიპოვე  
ცრემლთაგან ჩემთა ამის ნებართვა.  
ეგების-მეთქი ეს უძინარი, –  
ვთქვი, – მოვატყუო თვალები წუთით!  
თქვენც არ მომიკვდეთ! – აქაც ცრემლები  
გადამელობა ცხელი და მწუთხე.  
რა სასოებით ველოდი მისგან  
ნეტარ ცხოვრებას და შვებას მუდმივს,  
მაგრამ ვაი, რომ მწარე გამოდგა  
კორომის მისის დანაკისკუდი!<sup>8</sup>  
ფუზული, ფუჭად ნუღარ მოელი  
აქ ნექტარის სმას და ყოფას ნეტარს, –

<sup>7</sup> მიმბარი – კიბეებიანი კათედრა მეჩეთში. მასზე სხდებიან სჯულის მოძღვარნი და ქა-დაგებენ.

<sup>8</sup> დანაკისკუდი – “ფინიკი; ხურმა” (საბა).

ხომ ხედავ, ბედმა მისკენ სავალი  
ყველა გზა როგორ გადაგიკეტა!

\*\*

როგორც კი ის ზილფი ვნახე  
(გიხატავდა ყალმით სახეს),  
რა დამსვამდა მშვიდად და მეც,  
მგონი, თავი გავიბახე.  
შენმა ეშხმა გამახელა  
და დამიგო ფეხქვეშ მახე  
(თავს ვიმართლებ და ვპასუხობ  
ჩემს მკიცხველთ და ავის მზრახველთ).  
შენი სახე სხივით თვისით  
მთვარესაც კი უტეხს სახელს;  
იგი არის, ვინც შუქს უდგამს  
ჩვენ თვალთ, მთის და ბარის მლახველთ.

\*\*

რამ ამიჩქროლა ეს გული, ნეტავ  
(იმ ლერწმის წელის რწევათა ჭვრეტამ?).  
განა არ ვიცი, ღვინოსმულს შენთან  
რომ მომაქვს თავი, ვიქცევი ცეტად!  
მუხლებთან შენთა რომ ჩავიჩოქო,  
დამატებობს რამე მე უფრო მეტად?!  
მე რა მომარჩენს? მხოლოდ თვალებით  
ჩემით ფეხების შენის მტვერთ ხვეტა.

\*\*

მას აქეთ, რაკი შენთან ვერ ვიშვებ  
და ტრფობა შენი ცეცხლს მიჩენს შორით,  
თავი ბალიშზე ვერ დამიდვია,  
ვშფოთავ და ცხვირ-პირს მიცვითავს დორი.<sup>9</sup>  
ისე ვწრიალებ ლოგინში, ტანი  
ლერწამს ვამგვანე ამდენი ძრნოლით.  
შენ შორს ხარ, მე კი შენზე ეს სევდა  
გულს მაწევს, როგორც სიმძიმე გორის.  
ხომ დამემუქრე: “არ გაცოცხლებო!”.  
ვერც ვცოცხლობ, აგერ ვგდივარ, ვით მძორი.  
ხალხი ვერ უძლებს ჩემს ჭვრეტას, ყველა  
დავაფრთხე, როგორც მტრედთ აფრთხობს ქორი.

<sup>9</sup> დორი – თავისა და ზურგის მისაყრდნობელი არცთუ რბილი ავეჯი.

\*\*

ისეთი დღე დადგეს, მინდა,  
 ნეტარებას ისეთს ვნატრობ,  
 მე და შენ რომ (მარტოთ!) ტვის  
 ჩრდილს გვაფენდეს ტოტი და რტო.  
 გული ისე ამომიჯდეს  
 (ტრფობამ შენმა ისე მათროს),  
 ცრემლის ჩქერი რომ ვაჩქეფო  
 და მით კაბის კალთა ვალტო.  
 ახლომახლო არვინ ჩანდეს,  
 წალკოტი კი იყოს ფართო.  
 ჩვენც გვიკვირდეს: “ნუთუ მართლა,  
 ნუთუ მართლა, ერთად ვართო?!”  
 თუ არადა მართლა ერთად  
 ვიყოთ და მით გული ვართოთ:  
 მარტო ვიყო შენთან მე და  
 შენ რომ ჩემთან იყო მარტო!

\*\*

მადლობა უფალს, ჩვენ იმდენად  
 იგი არ გვერჩის,  
 რომ გავეჩინეთ ან ცბიერი,  
 ან თუნდაც ლენჩი!  
 არ ვართ შეიხი და მზაკვრობა  
 რაა, არც ვიცით,  
 სიმართლე არის ყოფის ჩვენის  
 ფუძე და ნერჩი.  
 ჩვენ არც თვალთმაქცი მწირნი ვართ და  
 არც არვის არ ვმტრობთ,  
 თავსაც არ ვირცხვენთ და დაცინვით  
 ვერც ვერვინ ვერ გვსჯის.  
 თავში არც ავ ფიქრთ, არც მავნე აზრთ  
 არ ვატრიალებთ;  
 პირში ფუჭ სიტყვებს და ყალბ სიბრძნეს  
 ვერავინ ვერ გვჩრის.  
 ამ ქვეყანაზე ასეთები მოვედით ერთხელ  
 და წუთისოფელს, – რა ვქნათ?! – დღემდე  
 ასეთი შევრჩით.

\*\*

რას ვითიქრებდი, ჩემს სისხლს დაღვრიდი  
შენ, ასე ტურფა და ასე ნაზი!  
ჩემს მოსაკლავად ბოლმით და ბრაზით  
ვით ლესე დანა ასეთი ბასრი?!  
გული ამქვეყნად ვერ გავახარე  
და ვიტან ტანჯვას ასეთს და ამდენს,  
ვერც გავახარებ, სანამდის მას ზედ  
ზილფების შენის ბორვილი ადევს.  
ო, მასთან შეყრის იმედო, შენ კი  
განაცვლე სული ჩემი ნეტარი! –  
ამ განშორების შხამს შენდა ძალგიძს,  
რომ შეუზავო ტკბილი ნექტარი.  
სულო, მით გაქებ, რომ გულზე მწირთა  
ბილწი ბუნება არ გეჭიდება;  
ამ ღვთის გარეგანთ რომ ვერ ეწყობი,  
ქება ამისთვის შენ და დიდება!  
ფუზული, ბალდადს რა დაუწუნე,  
რომ დათმე იგი ასე ადვილად;  
თავრიზში მეტი სიამოვნება  
გელოდება კი?  
იცი ნამდვილად?

\*\*

მთელი ცხოვრება დიდოსტატთა  
ნახელავთ ვსდიე.  
შემოქმედება მანცვიფრებდა  
მათი მე ძლიერ.  
და დღეს, ძლივს სული რომ შემომრჩა  
სულ ერთი მუჭა,  
ეს ფიქრი მზარავს: თვითონ თურმე  
ვიცხოვრე ფუჭად!

\*\*

ასეთი იყო და ასეთია  
დღესაც ცხოვრების წესი და რიგი:  
დედა შვილს რომ შობს, თავს ურჩევნია,  
გოგო იქნება თუ ბიჭი იგი.  
გოგო თუ გაჩნდა, დედის ფრთებს გოგო  
ვერ მოშორდება, ვით ბუდეს მართვე,

რადგან ზიარი არსი აქვს მასთან,  
ხოლო ზიარ არსთ ერთობა მართებთ.  
მაგრამ თუ ბიჭის ამბავს იკითხავთ,  
ის ვით იქცევა, ამას მე გეტყვით:  
მას მამრის გეში აქვს აღებული,  
მამის კვალს სდევს და დედის მკერდს ელტვის.  
შენ არ ემგვანო იმ ჩვილს, რომელმაც  
ჯერ არც იცოდეს, რა უნდა, ლამის:  
დედის სათუთი გული უცემდეს  
თუ მკერდში ედგას ჯიგარი მამის!

სპარსულიდან თარგმნა  
**მაგალი თოდუამ**

## მეჰქო ახავან სალესი

(1929-1990)

\*\*\*

ბაბუანვერავ,  
რა ამბავი მოგაქვს ახალი,  
საიდან, ვისგან, რა უნდა გვამცნო?  
ამ ჩემს პატარა კარ-მიდამოში  
ამაოდ დაფრენ, –  
სასიხარულოს არავისგან,  
არაფერს ველი.  
ბაბუანვერავ.  
ჩემი გული მკვდარია ახლა,  
ჩემს სამშობლოში  
მე უცხო ვარ, ბაბუანვერავ!  
მატყუარა ხარ,  
სხვა არაფერი,  
ქარს დაჰყვები და  
სხვა არაფერი,  
ნუთუ მართლა  
ამბავია ახალი სადმე,  
ბაბუანვერავ?!

სპარსულიდან თარგმნა  
ნომადი ბართაიამ

## ბაჰრამ სადევი

(1936-1984)

### დაუკატიზებელი სტუმარი დიდ ქალაქში

ბატონი რაჟმანის სამყაროს დიდ ქალაქში დაუპატიუებელი სტუმარი ეწვია. ბატონი რაჟმანი ისეთი კაცია, სოციოლოგი რომ ვიყო, მის არსებობას დიდ ქალაქში საოცრებად არ მივიჩნევდი. მაგრამ მისი სტუმრის, ბატონი ლოთთოლაჲ ჰადიფურის გამოჩენა, რომელმაც დაახლოებით ასი ფარსახი<sup>1</sup> გადმოლახა და პანაწინა სოფლიდან მის სანახავად ჩამოვიდა, სოციოლოგისთვისაც კი, ნუ გაგიკვირდებათ და, ამოუხსნელი მოვლენაა. რა ქნას რაჟმანმა? რა გზას ეწიოს? რა ცის რისხვაც შეიძლებოდა, დასტეხოდა...

დაატყდა...

მხარეების მდგომარეობა იმ მოენტისთვის, პირისპირ რომ დადგნენ, სალამ-ქალამი თქვეს და ერთმანეთი გადაკოცნეს, დაახლოებით ასეთი იყო: შუა ბაჰრანის<sup>2</sup> თვეში, პარასკევ დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე რაჟმანს, რომელიც ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების ბუღალტერია, უქმე დღით უსარგებლია და საწერ მაგიდასთან (უსახურ, ნახევრად დამტვრეულ მაგიდას, მხოლოდ ორი გალეული მკლავისა და ორიოდე თხელი

წიგნის ატანა რომ შეუძლია, სხვა რაღა ეთქმის?!) მიმჯდარა: იქნებ შეძლოს და „კალიგულას“ კითხვა დაიწყოს, რისთვისაც ერთი თვეა, ემზადება. კომფორტის გასამყარებლად მუხლებსა და სკამის კიდეებზე რბილი ბალიშები შემოუწყვია და ხელები, ექიმ ჰაუზერის ბოლო მეთოდის შესაბამისად, “All rest”-ის – აბსოლუტური სიმშვიდის – მდგომარეობაში დაუსვენებია. ფეხები მაგიდის ქვეშ ისე გაუშლია, რომ მეტად გაშლა შეუძლებელია. მზერა ერთ სტრიქონზე გასშტერებია და კითხვის გაგრძელება არანაირად არ ძალუძს. ხან ზმორება უწელავს ფეხებს და ხანაც მთქნარება – ტუჩებს... თუმცა, მისი სტუმარი მეტად რომ აღარ დავაყოვნოთ, იმის აღნიშვნისგან, რომ ახლახან ორი დამამშვიდებელი (მაფრობამათის ტიპის)<sup>3</sup> აბიც ჩაუყლაპავს, თავს შევიკავებთ.

და აი, ზუსტად ამ მომენტში, კარზე თითით აკაკუნებენ. რაჟმანი პოზის შეუცვლელად სწევს თავს:

– მობრძანდით! ვინ არის?

კარის სახელური ზევით იწევა. ყურს უსიამოვნო ხმა სწვდება და კარი ოდნავ ილება. რაჟმანი თავს ხრის და

<sup>1</sup> ფარსახი – სიგრძის საზომი ერთეული ირანში, უდრიდა 6 კმ-ს.

<sup>2</sup> ბაჰრანი – ირანული მზის კალენდრის მეთერთმეტე თვე (21 იანვარი-19 თებერვალი).

<sup>3</sup> მაფრობამათი (meprobamat) – ტრანკვილიზატორი.

კვლავ წიგნის პირველ სტრიქონს აშტერდება. რა ხდება? ეს რა არის? ჰა-ერში წვეტიანი ქაღალდის ჩიტი ირაოს კრავს და რაჟმანის თავზე ეშვება. რაჟმანი წამოიწევს და კვლავ კითხულობს:

— ვინ არის?

კარში თვალებციმციმა, ეშმაკუნა პატარა თავი ჩნდება და ციცქა, განრიპული ხელი მეორე ქაღალდის ჩიტს ბლუზავს. დაფეთხბული რაჟმანი ადგილიდან ხტება:

— არა, არა, ზიზიჯან, კმარა! კარგი, გეყოფა!

დიასახლისის გოგონა ეუბნება:

— კართან ვიღაც კაცია, თქვენთან საქმე აქვს.

— ჩემთან? მართალს მეუბნები? ხომ არ ხუმრობ?

გოგონა იცინის და უცბად კარებს აჯახუნებს:

— დიახ, თქვენთან!

რაჟმანი შუა ოთახშივე, ძირს დაშვებამდე იჭერს ჩიტს... დიახაც, მივხვდი. ცხადია, ფარვიზ-ხანია, ისევ მაიმუნობა დაიწყო. სულ ასეა. როგორც ყოველთვის, ჯერ დარეკა, მერე იკითხა.

— ბატონო ქარიმ, სახლში ხართ? გამობრძანდით, თქვენთან არიან!

კარგი ახლა, ერთხელ, ორჯერ, მაგრამ ყოველთვის? ეს ხუმრობებიც აღარ მოუძველდა? არადა, რა კარგია, რომ ადრე მოვიდა. უსაქმურობას გადავრჩი. არა ვითომ? ახლა კინოში წავალთ.

რაჟმანმა ერთი გვარიანად დაამთქნარა და „კალიგულა“ მაგიდაზე მოისროლა. უჲ, რა კარგია, ვადაზე ადრე რომ მოვიდა?! მარტოობამ და დაღლილობამ გამათავა.

...ბატონი ლოთფოლაჲ ჰადიფური, დამტვერილი თავ-პირითა და ფერნასული სახით, დამფრთხალი და უძილო თვალებით, აღტყინებით ანარცხებს იატაკზე უხეშ პლედსა და გამონასკვულ ბოხჩას, მკლავებს შლის და მაგრად კოცნის ტიკინასავით მობარბაცე რაჟმანს, გონისა და ტანის წონასწორობა ისე რომ დაუკარგავს, თითქოს მისი სული გაფრენას აპირებსო.

— აჲ, ეს თქვენა ხართ? დიახ, დიახ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! როგორ იტყვიან? მშვიდობა თქვენს მოსვლას! მართლაცდა, როგორ დაგვავალეთ! მაგრამ... რაღა ახლა? რატომ უდროოდ? შეუტყობინებლად? დამიჯერეთ, ძალიან მიხარია... მაგრამ, თითქოს დაღლილი ჩანხართ, არა? ნასადილევი ხართ?

რაჟმანი უნებური პანიკით აშტერდება ნათესავის ჩაცმულობას. დიახ, ერთობ სასაცილო და სასეირო რამაა, რომ სირცხვილის საპაპად იქცეს და ადამიანს ამ დიდ ქაღაქში ღირსება...

— არა, არაფერი მიჭამია. იცით, რა ხითათი გამოვიარეთ? ღვთის წყალობა რომ არა, ახლა იმქვეყნად ვიქებოდი... აბა! ჩვენი მანქანა ავარიაში მოხვდა.

... შეულახოს.

ბატონი ჰადიფური ძველ ხალიჩაზე ჯდება და კედელს ეყრდნობა:

— აბა-ა! მტერსაც აშოროს! წარმოგიდგენიათ? გამთენისას, მგზავრებს რომ ეძინათ... ასეთ რამეს ვინ იფიქრებდა... ყველანი რომ ვთვლემდით, უცბად ჩვენი მანქანა ნავთობმზიდს... აი, იმას...

... ჰო, ლეილანდს<sup>4</sup>...

<sup>4</sup> Leyland Motors Limited (British Leyland) – 1968 წელს დიდ ბრიტანეთში შექმნილი საავტომობილო წარმოება, რომელიც უშვებდა სატვირთო ავტომანქანებს, ავტობუსებსა და

... შეულახოს... შეულახოს... მაგრამ ფარვიზ-ხანმა რაღა ქნას, აგერ, საცაა რომ გამოჩენდება?! მერე, კინო? მე რომ დღეს სილვა კოშინა<sup>5</sup> და მარისა დე ლა ამადიო ალასიო<sup>6</sup> არ ვნახო, თავს მოვიკლავ... თანაც... თავი და თავი ისაა, რომ ნასადილებიც არაა.

... შეასკდა. ღმერთო, დიდებულო! მეორედ მოსვლა იყო! ახლა იმქვეყნად უნდა ვიყო!

– იმქვეყნად? მართლა?

– საიდან დავიწყო? ქალები და ბავშვები ერთმანეთში ირეოდნენ, კაცები თავში იცემდნენ, მძღოლის თანაშემწე ტიროდა...

– მძღოლი რაღას შვრებოდა?

ბატონი ჰადიფური გამოშტერებული შესცეკრის:

– არ ვიცი, არ დამინახავს!

რაპმანი ბატონი ჰადიფურის პირდაპირ ფეხმორთხმით ჯდება:

– ოჟ, ნეტავ... არა, იცით, რა? იმის თქმა მინდა, რომ... არ აჯობებდა, დღისით ჩამობრძანებულიყავით? დღისით ხომ ავარიები ნაკლებად ხდება.

ბატონი ჰადიფური ოხრავს და სიგარეტ “აშნუს”უკიდებს.

... თუმცა არ აჯობებდა, სულ არ ჩამობრძანებულიყო?

ბოლოს და ბოლოს, რაპმანი დარწმუნდა, რომ ამ შემთხვევაში ერთადერთი გზა დარჩენია: უნდა იმოქმედოს! კი! რა გამოსავალია, როცა ძვირფას სტუმარს შია და სწყურია. შემცივნულიც ჩანს. არადა, რა უბედურებაა! როგორ უნდა გააკეთოს ის, რაც აქამდე არ გაუკეთებია? უნდა იყიდოს პური; ალბათ, კვერცხი და ზეთი; შეწვას ერბოკვერცხი, დააყენოს ჩაი, ღუმელ-

ტროლეიბუსებს.

<sup>5</sup> სილვა კოშინა (1933-1994) – სილვა კოსკინონ, პოპულარული იტალიელი მსახიობი.

<sup>6</sup> მარისა ალასიო (1936) – მარია ლუიზა ლუსია ალასიო, იტალიელი მსახიობი.

ში ჩასხას ნავთი (ოჟ, მართლაცდა, როგორ ცივა!)... და, რაც მთავარია, ილაპარაკოს, ძალად იცინოს, მოკითხოს, ამბავი გაიგოს, განსაკუთრებული... ღრმა მწუხარება გამოხატოს... რაიმე... რაიმე მკაფიო ფორმით... ავარიის გამო.

ბატონმა ჰადიფურმა თქვა:

– რა თავსატეხი გაგიჩინეთ! სულ არ მინდოდა თქვენი შეწუხება. ვერც წარმოიდგენთ, რა ამბით წავედი ბილეთის ასაღებად! სიხარულით ფეხზე ვერ ვდგებოდი. შვილებსაც ერთი ჰაიჰუი ჰქონდათ. თქვენს სანახავად უნდოდათ წამოსვლა.

– ყველას? ყველას უნდოდა წამოსვლა?

– კი! ტიროდნენ, ყვიროდნენ. მეუბნებოდნენ: რა იქნება, ჩვენც წაგვიყვანოო?... მართლა, საფერფლე...

რაპმანი დგება და უიმედოდ ავლებს თვალს ოთახს:

– არა მაქვს, მანდვე დააფერფლეთ, ხალიჩაზე!

– შვილების დედას ყველაზე მეტად უნდოდა. მეუბნებოდა, როგორ მოახერხებდა...

რაპმანი დასაკეც საწოლზე ჯდება. რამდენიმე წამს ჩამშრალი, აკანკალებული ხმა ისმის:

– არაფრით არ შეიძლებოდა! აბა, როგორ შეიძლებოდა? მაგათ შემოევლოთ ჩემი თავი! მეც მარტო არა ვარ? ხომ ხედავთ ჩემს მდგომარეობას? ჰოდა, ღმერთს ვევედრები, რომ ასეთი...

ღმერთს იმას ევედრებოდა, რომ დამუნჯებულიყო. თუმცა სულსწრაფადაც ნუ განსჯით: იგივე ღმერთია მოწმე, რომ პრობლემა მასპინძლობაში,

ფულსა და ხარჯში არაა. საქმე სხვა რა-  
მეშია. სხვა რამეებში, ზუსტად რომ  
ვერც იტყვი. მაგალითად, ახლა რაღა  
ქნას? აგერ, ახლა – კინოს დრო რომაა?  
ლამით – არყის სმის დრო რომ დადგე-  
ბა? ხვალ საღამოს – ფარვიზ-ხანთან  
ერთად ირან-ამერიკის საზოგადოების  
ინგლისურის კურსებზე რომ უნდა წა-  
ვიდეს და ქალბატონ ქართალუშქას და-  
ვალებები შეამონმებინოს?.. ზეგ საღა-  
მოს – „სულიერი სიმშვიდის მოსურნე-  
თა... მოსურნეთა...“

... ჰოდა, კარგა ხანია, იმ ძველმა  
წელის ტკივილმა გამიხსენა. ისე გა-  
მამწარა, ლამის გავგიუდი. შვილებს  
ტვირთად დავაწერი, თანაც – სოფელ-  
ში. ხომ იცით, ჩვენს სოფელში ვერაფ-  
რით იწამლებ. ერთი სამხედრო გვყავს  
და ისიც – სანიტარი და არა – მკურნა-  
ლი. კი ამბობენ, რაიონული ცენტრი  
გახდებაო, მაგრამ არა მგონია, მაგან  
გვიშველოს. სანამ რიგიან ექიმს ან  
ექიმბაშს მიაგნებ, გვარიანი დრო  
გჭირდება. ისე, არც ქალაქელ ექიმებს  
გაეგებათ ბევრი. მათმა წამლობამ ვე-  
რაფერი შეღავათი მომცა. სანამ ერთ  
დღეს... რადიოს უსსხედით. ყველანი  
იყვნენ... შვილები... ერთ ნაშუადღევს...  
მარტო თქვენ გვაკლდით... შვილების  
დედამ, ის იყო, ყალიონი მოიტანა, რომ  
ამ დროს რადიოში თქვეს...

დიახ, დიდ ქალაქში.

ჰოდა, ზეგ საღამოს, „სულიერი  
სიმშვიდის მოსურნეთა საზოგადოება-  
ში“ რომ ვაპირებ წასვლას, რა ვქნა?

– ... კი, ვიღაც ქალი ყვებოდა, დე-  
დაქალაქში ამ ტკივილს ბევრი ექიმი  
არჩენსო. არ დავიჯერეთ, დღენიადაგ  
ასეთი ლაპარაკებია. ერთ დღეს კი,  
ვხედავთ, გაზეთშიც დაუნერიათ.

– ყალიონს ეწეოდით?

– არა, სანადიროდ ვიყავით... ჰო-

და, შვილებიც შემომიჩნდნენ. მით-  
ხერს, ლვთის წყალობით, ჩვენი რაჟმა-  
ნი იქ არ არისო? ყველაფრის ავან-ჩა-  
ვანია, გზა იცის და კვალი. ვიღაცებ-  
თან ხელი მიუწვდება. წადი ათი-  
თხუთმეტი დღით, თან მოინახულებ,  
თან იმკურნალებო!

რაჟმანმა უიმედოდ გამოცრა:

– რა კარგად მოუფიქრებიათ! მა-  
გარი საქმეა! ათი-თხუთმეტი დღე!

ბატონმა ჰადიფურმა დაამთქნა-  
რა. რაჟმანმა ამ შანსის ბოლომდე გა-  
მოყენება სცადა:

– ძალიან დაღლილი ხართ. ახლა  
უნდა დაისვენოთ და ხვალ დიღამდე  
კარგად იძინოთ. თუნდაც – ხვალ სა-  
ღამომდე, ან – უფრო დიდხანსაც. აბა,  
ეს დამღლელი მგზავრობა, ავარიის ამ-  
ბები და წელის ტკივილი... ეს ყველა-  
ფერი ხუმრობაა?! გამოძინება გჭირ-  
დებათ. სამაგიეროდ, მეც ჩემს საქმე-  
ებს მივხედავ, გარეთ გავალ, ხელს არ  
შეგიშლით.

ბატონმა ჰადიფურმა ჯიბიდან  
გამხმარი პურის ნატეხი ამოილო და  
პირში ჩაიდო.

– ოჳ, რასა ბრძანებთ! თქვენ სა-  
კუთარი თავით საზღვრავთ, ქალაქე-  
ლი გახდით... ჩვენ, სოფლელები, ასეთ  
რამეებს მიჩვეულები ვართ. ისედაც  
მომხდარა, რომ ერთი კვირა არ მიძი-  
ნია. ახლაც, სადაც მიდიოდით, ერთად  
წავიდეთ. ვიცი, რომ ყალიონი არა  
გაქვთ. ყავახანაში წავიდეთ. მე, ერთი  
თვეც რომ არ დავისვენო, მაინც ფეხზე  
ვიდგები. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ ჯან-  
საღ პურსა და კარაქს ვჭამთ.

რაჟმანი გაოგნებულ-დაფეთებუ-  
ლი მიშტერებოდა.

– არ მინდა, საქმეებში ხელი შეგი-  
შალოთ. ერთად წავიდეთ სასეირნოდ  
და გასართობად. გავიდეთ გარეთ.

ბატონმა ქარიმმა პირველად ინატრა, უსაზღვრო ძალაუფლება ჰქონიდა. მართლაცდა, რა იქნებოდა, კალიგულასავით რომ ყოფილიყო?! ალბათ, ბრძანებდა, ბატონ ჰადიფურს თავს დასხმოდნენ. სწორედაც! ოღონდ ამ საქმეს გამოცდილ დალაქს დაავალებდა, რომ ჰადიფურის გრუზა თმა პირველყოფილი, სირცხვილეული მდგომარეობისთვის გამოეტაცებინა და დიდი ქალაქის შესაფერისად ექცია.

არა, რეალობა უნდა მიიღოს (სად წაეკითხა ეს ფრაზა?) და აქაც, როგორც სამსახურში, იანგარიშოს (ეს კი უკვე საკუთარი იყო!) თხუთმეტი დღე და, ვინ იცის, მეტიც, ძვირფასი ნათესავი ასეირნოს, მის სულელურსა და უთვალავ შეკითხვას (თუნდაც ასფალტში ჩასობილი ლურსმნების თაობაზე) უპასუხოს; რამდენადაც სანახაობა იტაცებს, მისი ხათრით ძველთაძველ, ღირსეულ თეატრებში იაროს და ცეკვებს, ტანვარჯიშსა და ფოკუსებს უმზიროს; ინდოელი ფაკირები და ევროპელი ლამაზმანები ათვალიეროს. მარისა ამადიო ლამონტიო ალასიო და გრეგორი პეკი დაივიწყოს და თავი ირანის კინემატოგრაფიული ცარგვალის თანავარსკვლავედის ცქერით დაიტკბოს. კეთილი, სნეული ნათესავი ღრეობისა და დროსტარების კაცი რომ იყოს, ტრაგედია ცოტათი შემსუბუქ-დებოდა, მაგრამ... დიახ, ბატონი ჰადიფური ჯიუტი დაშინებითა და ბავშვური ცნობისწადილით გაჰყვება ყველგან და ყველა გეგმას (მაშ, გეგმაც მქონია?!) გაუცამტვერებს. „ყველანი თქვენი იმედით ვართ. მთელი ნათესაობა თქვენი წინსვლით ხარობს და ამაყობს. ესახელებათ, რომ დედაქალაქში თავისიანი ჰყავთ – სახელმწიფო მოხელე.“ ... მთელი ნათესაობა ძალიანაც

მიჰქარავს. გადაშენდეს ერთი აქედან! რა წინსვლა, რა სიამაყე? უზნეობაში თუ მაქვს წინსვლა! ნუთუ არ ესმით, რომ კაცი, რომელსაც ბანაობის წარმოდგენაც კი აკრთობს და ტანჯავს, არ შეიძლება, ამაყი იყოს? სახელმწიფო მოხელე! დიახ, ჰერონიათ, რომ ძლიერი მფარველი ერგოთ წილად, რომლის სხივებქვეშ მათი ყველა საჩივარი აღსრულდება; ადგილობრივი ბობოლები მათს უფლებებს ვერ დაამცრობენ და ვერც უანდარმები აიგდებენ მასხრად უმიზეზოდ. მართლაც რომ, საამაყოა! სწორედ ეს ბატონი რაჰმან ქარიმი (ახლა ფიქრებს რომ მისცემია) იყო, ცეცხლი რომ შეუნთო მამამისს, ამ დაწყევლილსა და უბადრუკ დაწესებულებაში რამე ადგილი მოეხლაფორთებინა მისთვის. ჰოდა, მოუხლაფორთა – კარგა ხნის მერე, ქრთამებითა და ვაი-ვაგლაბით გამოძებნილი პროტექტორის გამოისობით. „მადლობა ღმერთს, რომ ჩვენიანმა წარმატებას მიაღწია!“ მაგარი წარმატებაა! სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების მერე ბუღალტრად ვიქეცი! ადვოკატობასაც კი ვერ შევწვდი! თანაც, „დიდებული“ სახლის პირველ სართულზე ვიქირავე ავეჯით გაწყობილი მოზრდილი და „კომფორტული“ ოთახი შესაფერის ფასად – ძალზე იაფად და სახლის პატრონისა და მისი მეუღლის მზრუნველ სხივთაქვეშ ხმამაღლა სუნთქვის სიმძიმისგანაც გავთავისუფლდი. პირველად მოთხოვნილებებს ოთახშივე ვიკმაყოფილებს, მეორად მოთხოვნილებებს – გარეთ, მთელი ეზოს განაწესის შესაბამის წუთებსა და საათებში. ხანდახან რიგობითობის დაცვაზე ხელსაც ვიღებ. ცოლის შერთვაზე რატომ არ ვფიქრობ? ხელფასი და შემოსავალი არ მაძლევს

ამის ნებას. მისმენთ, ბატონო ჰადიფურ?

იქნებ მართალია, რომ ყველას იმედის თვალი მე შემომყურებს... ჩემს თვალებს კი მშვიდი ძილი ახლოსაც არ უნახავთ. ეს დედაქალაქია! საყვირებისა და უივილ-ხივილის, დაღლილობების ქალაქი, სადაც ღამით საძილე საშუალებებიც კი არ გაძინებს. ჩვენამდე მოსული მაფრობამათები და მათი წინაპრები, ჩვენამდე სანამ მოაღწევენ, კარგავენ თავიანთ ფარმაკოლოგიურ თვისებებს: დამამშვიდებელი! აღგზნების საწინააღმდეგო! ღრმა ძილი! რა სასაცილოა, რა ყალბი! ამ ბრწყინვალე შენობაში ხომ რადიო წამითაც არ დუმდება! ვთქვი, აქ-მეთქი? არა, ბატონო ჰადიფურ, ყველგან! რადიოს ისრები საპარო ძალების მეშვეობით თეირანში, თეირანიდან – მთელ ირანში, აქედან კი – მსოფლიოს ფარულ თუ ხილულ დედაქალაქებში მიდი-მოდიან. აბა, ყური უგდეთ: მელოდიები, თითქოს, ზედმეტად ირანულები; პროგრამა „მოსასმენი“... ან, თუ ისურვებთ, „სათქმელი“... არ გნებავთ? მაშ, „სანახავს“ დავიჭერ თქვენთვის. აჲ, სოფელშიც გაქვთ? რა ბედნიერებაა! ე.ი. ამ ბერიკაცის ხმა გეცნობათ?! ,მაგალითად ბუსთანის მოედანს მოგიყვანთ: ჩემს ახალგაზრდობაში ვიწრო, პატარა, მტვრიანი და ურწყული გახლდათ. კაციშვილი იქ არ დადიოდა. სალამონბით მეთულუხეები ტიკებიდან ასხურებდნენ წყალს. ახლა კი... მადლობა უფალს, ათასი მადლობა უფალს, ჩემო გოგონი,.. აბა, ნახე, რა ხდება! ცხოველ-ფრინველისა და მცოცავ-მღლოლავის მოლიცლიცე ქანდაკებებს შორის – ფერადი შადრევნები! გაჩირალდნებული ლამპიონები! ახლა, რა ბალის მერხები ჩამოუმწკრივები-

ათ? ყველა ჭანჭიკი – თავის ადგილას!.. ქალი თუ კაცი, ჯანმრთელი თუ ავადმყოფი, ქალაქელი თუ სოფლელი... მხიარულად და ბედნიერად დასეირნობს ცოლ-შვილთან ხელჩაკიდებული... ახლა... ორსართულიანი ავტობუსები, ჩემო ბატონო? ორსართულიანი ავტობუსები!.. ბოდიშს ვიხდი, ჩემო გოგონი, მაპატიეთ, ორსართულიანი ავტობუსები მიქრი-მოქრიან, მათ სავარდლებზე კი კანტიკუნტად სხედან მგზავრები. გაჩერებები ცარიელია, დაგვილ-დასუფთავებული... ახლა – ტაქსები? სალაპარაკოც არაა... მწკრივში ჩასდგომიან ერთმანეთს, ყოველ მათგანში კი თითო ზრდილი, მოდურად გამოწყობილი მგზავრი მიყრდნობია სავარდელს... ხომ სჯობს იმ დროს, ერთი-ორი მორყეული ფორანი რომ მიმოდიოდა ქალაქში? სწორედ ამ ბუსთანში მიმოდიოდა. ახლა მოდი, მეორე მხრიდან შევხედოთ: ლამაზი, ნახევრად შიშველი მოგოგმანე ქალები, მოკრძალებული, თავმდაბალი, წყნარი კაცები – მზესუმზირის პაკეტებით ხელში – კნანაკნუნით ესალმებიან და უმასპინძლდებიან ერთმანეთს... პატარა ბიჭუნები, შვიდი-რვა წლის ლამაზი, დაბანილ-დავარცხნილი ბიჭუნები – ახალი ფეხსაცმელებით, გატკეცილ-გაუთოებული ტანსაცმლით, მაძლარი მუცლებით, კალიებივით გამოშლილან სკოლიდან... ლატარიის ბილეთებით მოვაჭრენი, ჯიბის ქურდები პოლიციელებს შეუპყრიათ... მათხოვრები საბარეო მანქანებში ჩაუყრიათ... ნასწავლ-აღზრდილი კაცები – ათი-თორმეტი ცოლის პატრონნი, გუშინდღლამდე თავიანთ დაბა-სოფლებში ხელფეხერკულნი – ლირსეულ ადგილობრივ სამოსელში გამოწყობილან, თავზე კოხტა ნაბდის ქუდები მოუგდიათ, სა-

ვარცხელი, ფინალი და ბოქსლომი, სანერი მოწყობილობა და ჯაჭვი მშვიდად და არხეინად აუღიათ და თავიანთი ნივთები გასაყიდად გაუტანიათ... ხმამაღალი ძახილით... არადა, ნახე: ონკანები როგორი მკვიდრია – არც ფუჭდება და არც წყალი წვეთავს... ნათურები, ზედმეტი სიმძლავრისგან, ლამის აალდეს... ახლა რას იტყვი, ჩემო გოგონი, აღარ დაგვიკრან?" აჲ, ბატონო ჰადიფურ, ეს ხომ ცნობილი მელოდიაა: „გოლნესა, ჩემო სულიკო, ყველაფერი კარგად იქნება!..“ თქვენც იცით, არა? ჰოდა, ნება მომეცით...

რაჰმანმა რადიო გამორთო და კვლავ ფიქრებში ჩაიძირა. არა, ფიქრებში კი არ ჩავიძირე, ღმერთს შევეფარე! ო, ღმერთო, შენ მაინც მიუგდე ყური ჩემს გულისტყივილს! ამდენ სიკეთესთან ერთად, ხომ ხედავ, ეს პატიოსანი კაციც, თავისი გარეგნობით და ჩაცმულობით, თითქოს მხოლოდ ჩემს მოსაშხამად და სატანჯველად გამოცხადებულა?! აბა, ეს რა პალტო ჩაუცვამს? ფეხსაცმლის საქუსარი რის-თვის ჩაუთელავს? იმისთვის, რომ მსხვილად დაკემსილი წინდა გამოუჩნდეს! ან ეს რა ზორბა შალი შემოუკრავს წელზე? ალბათ, იმიტომ, რომ არ გაცივდეს. ან, იქნებ, სოფლის ექიმმა დაუნიშნა? „ნელი მტკივა, ისევ შემომიტია!“ ათასწლოვანი წელის ტკივილი, მემკვიდრეობითი, მოურჩენელი! ღმერთო ჩემო, როდის დაარწმუნებ ამ ხალხს, რომ ასეთი ტკივილები არ იკურნება? ანდა, ბოლოს და ბოლოს, როდის დაიჯერებენ, რომ მე ერთი საცოდავი, უთავბოლო კაცი ვარ, თავის-თვის კუთხეში რომ მიგდებულა და არათუ ნაცნობ-მოკეთეების დანახვა არ სურს, არამედ ანგელოზის სუნ-თქვაც კი დაღლას უმძაფრებს?!

რა თქმა უნდა, რაჰმანი მართალი იყო: დიდ ქალაქში ადამიანებს იოლად ჰპარავენ ნივთებს. ჰოდა, რაჰმანმაც ხელმარჯვედ ააცალა სტუმარს საათი და ჯიბეში ჩამალა.

... ახლა პარასკევი საღამოა. საამო ამინდია და ხალხმრავალი ქუჩები ჟრიამულითაა სავსე. რაჰმანი, ბატონი ჰადიფური და ფარვიზ-ხანი (ძვირფასი სტუმრის გამოჩენიდან სულ ცოტა ხანში, პირობისამებრ რომ მოსულიყო) აუჩქარებლად, მდუმარედ მიაბიჯებენ... რას იზამ, ფარვიზ-ხანმა უნდა იცოდეს, რომ მე დამნაშავე არა ვარ. მე ხომ არ დამიპატიუებია, დაუპატიუებლად ჩამოვიდა... ფარვიზ-ხანი გაბრაზებულია და წარბი შეუყრია. ქუჩის გადაჭრისას დროს იხელთებს და უჩურჩულებს:

– შეგეძლო, შეგეტყობინებინა, რომ არ გცალია, რომ სტუმარი ჩამოგვიდა. მე რას დავეძებ, მისი თუ გერიდება? საქმე ისაა, რომ მთელი საღამო გამიფუჭე. მაგისი ატანა არ შემიღლია.

რაჰმანი ეხვეწება:

– ღვთის გულისათვის, ძალიან გთხოვ, არაფერი თქვა. ეს სერიოზული თემაა.

– სერიოზული? ამ სიტყვას შენ ამბობ?

კაფე-საშაქარლამო „იმპერიალში“, როცა ბატონი ჰადიფური ცდილობს გამოიცნოს, რა მოუხერხოს რძესა და ყავას, როგორ დალიოს (განა არ ჯობდა, მისთვის უფრო ახლობელი ჩაი შეეკვეთა, ვიდრე რძე და ყავა ცალ-ცალკე დაელია? ვითომ რისი დამტკიცება მოინდომა, რომ სოფლელი არაა?!), რაჰმანი სახეზე ვაი-ვაგლახით მორგებული ღიმილით წარუდგენს მას:

— ფარვიზ-ხან, შენ გელაპარაკები, არ მისმენ? როგორც უკვე გითხარი, ეს ბატონი ჰადიფური გახლავს. თუ არ ვცდები, დედაჩემის მამიდის დეიდის ბიძაშვილია. დაახლოებით ერთი ასაკისანი ვართ. მეექვსე კლასამდე ერთად ვსწავლობდით. მერე, მე რომ ქალაქში გადავედი სწავლის გასაგრძელებლად, მან სკოლა მიატოვა და მიწათმოქმედებასა და...

ბატონი ჰადიფური ამატებს:

— და ხალიჩის ქსოვას...

— ჰო, მერე ცოლიც შეირთო და მეცხოველეობას მიჰყო ხელი. ღვთის წყალობით, ათი თუ თოთხმეტი ბავშვი ეყოლათ. ფარვიზ, მისმინე, გთხოვ, do not look at him left left, please!<sup>7</sup> მოკლედ, მაჯობა!

ფარვიზ-ხანი მწარედ ეუბნება:

— ჰოდა, he is head of ass.<sup>8</sup>

ბატონი ჰადიფური საყვედურით ეკითხება:

— ეს რა ენაა? რას ამბობდით?

რაპმანი პასუხობს:

— ინგლისურია. მე და ფარვიზ-ხანი ხომ სამსახურიდან გაგვაგზავნეს ინგლისურის შესასწავლად ირან-ამერიკის საზოგადოებაში. კიდევ რამდენიმე ბერიკაცი და დედაბერი დადის სხვადასხვა დაწესებულებიდან. მაგრამ, რა დაგიმალოთ, გაკვეთილებიდან ხშირად ვიპარებით, სამაგიეროდ კი ასეთ ადგილებში ვმეცადინეობთ... ჩვენს დროში, მოგეხსენებათ, წასულია იმისი საქმე, ვინც ინგლისური არ იცის: ცოლის შერთვას აპირებ, გოგოს შებმას, სამსახურის შოვნას, მეეზოვეობას, სწავლის გაგრძელებას თუ უნივერსიტეტის დარაჯობას; ეგ კი არა,

<sup>7</sup> ეუბნება: „გთხოვ, ცერად ნუ უყურებ!” (ინგლისური ფრაზების განმარტება ტექსტის სქელიოში თავად მწერალს ეკუთვნის).

<sup>8</sup> იმის თქმა უნდა, რომ „ვირისთავია”.

რომელიმე დაწესებულებაში თუ გაქვს საქმე და გზის გაგნება გინდა, ინგლისური გჭირდება. ჩვენი მასწავლებელი წესიერი ქალია — მის ქარფალუშქა თუ მისის ქარფულუშქა. ჯერაც არ ვიცი, რომელია.

ბატონი ჰადიფური ეკითხება:

— ორნი არიან?

— არა, აბა, როგორ გითხრათ?! ფარვიზ-ხანი აპირებს, ერთ ღამეს შეამონმოს!

— ძალიან კარგი, ღმერთმა ძალა მოგცეთ! წელან რაზე ღაპარაკობდით?

— რაზე და, იმ ორ ქალს ხედავთ, იქით რომ სხედან, მაგიდასთან? ფარვიზ-ხანს ვუთხარი, იმნაირები არიან-მეთქი. ფარვიზ-ხანმა მითხრა, მეც ასე ვიციო.

— მართალს ამბობთ? ნამდვილად?

— კი, ეჭვი არ შეგეპაროთ. აქ ქალები ხშირად იმნაირები არიან.

ბატონი ჰადიფური პირს იბრუნებს და ერთიანად ანითლებული ბურტყუნებს: „ღმერთო, შენ გვიშველე!”

ფარვიზ-ხანი უხეშად ეძახის მიმტანს: „ანგარიში!”

რაპმანი ილიმება და მუდარით ეუბნება:

— გთხოვ!

ბატონი ჰადიფური ყურებს ცევეტს:

— თორმეტი თუმანი, ინებეთ!

ფარვიზ-ხანის ხელი ჯიბეში ეშვება. ბატონი ჰადიფური რძიანი ყავის სამ ცარიელ ფინჯანს ისე შესცექერის, როგორც სამუცნობიან განტოლებას. თან ცდილობს, გონებაში იანგარიშოს,

რომელი რა ღირს და რატომ. წამოდგომისას რაპმანი ფერდში ბატონი ჰადიფურის ფრთხილ მუჯლუგუნს გრძნობს:

— ის თუმნიანი, თეფშზე... რატომ არ აიღო შენმა მეგობარმა? ხომ არ დარჩა?

რაპმანი ისე აშტერდება, როგორც ერთუცნობიან განტოლებას. მოკლედ უჭრის:

— გასამრჯელოა.

ფარვიზ-ხანი მათზე ადრე გადის გარეთ. რაპმანი კბილებში ცრის:

— აქ გასამრჯელო აუცილებელია.

ორი დღის მერე, დაღლილ-დაქან-ცულები რომ ბრუნდებიან ზოოპარკიდან, რაპმანი ისევ ვერ იძინებს. ბატონი ჰადიფური, რომელიც ხალიჩაზე წევს და, რადგან საბანი არ ჰყოფნის, პალტოც გადაუფარებია, ხვრინავს და დროდადრო უცნაურ რამეებსაც ამბობს. ერთი-ორჯერ სატრფიალო საუბარსაც იწყებს და კაფე „ბეჟეშთში“<sup>9</sup> წინა საღამოს ნანახი მოცეკვავების სახელებსაც წამოისვრის.

რაპმანი სიბნელეში მას მიშტერებია და სიგარეტს აბოლებს. თითქოს ვერა და ვერ გადაუჭრია რაღაც პრობლემა. და, აი, ნელ-ნელა მის ტვინში საზარელი და ვერაგი ფიქრები იკრებენ ძალას. რა იქნება, რომ დაახრჩოს? არა, შეიძლება, თითების კვალი დააჩნდეს. აჯობებს, ოთახიდან გავიდეს და კარი მაგრად მოაჯახუნოს. ისეთი შემზარავი ხმები ამოუშვას, ვინდლო, ამ ღრმა ძილიდან გამოაფხიზლოს (რატომ დაუშვეს შემოქმედის მანქანებმა ამგვარი უსამართლობა?)!.. თუმცა, არც ეს ივარგებს: გიში დიასახლისი და მისი გოგო ზიზიც წამოცვივდებიან,

თავიანთი წივილ-კივილითა და ჩიტებით...

სიბნელეში კბილებს მაგრად აჭერს ერთმანეთს. აჲა-ა! რა იქნება, ამ ქალაქში ცხოვრებით რომ დავაშინო? შიშველი, შეულამაზებელი რეალობა დავანახო. მერე კი... მხოლოდ იღბალი დამჭირდება. ანუ ის, რაც აქამდე არა-სოდეს მქონია.

საკმარისი იქნება, რომ მის სიცოცხლესა და ქონებას საფრთხე დაემუქროს!

ტკბილ სიზმრებში წასული ბატონი ჰადიფური კი იღიმება...

... ახლა ქუჩის პირას ტაქსის ელოდებიან. ექიმთან მიდიან. ცარიელი ტაქსი ახლოვდება. ბატონი ჰადიფური, დედის ხელს დამსხლტარი ბავშვივით, ჯიქურ მიინევს წინ და ხელს მოუხეშავად უწევს. რაპმანი დროულად ექაჩება უკან. ტაქსი ქარივით ჩაიქროლებს. ხავერდისქუდიანი ჯეელი მძლოლი ფანჯრიდან ყოფს თავს და ზეანეულ ხელს რამდენჯერმე აიქნევს. გამვლელები იცინიან. კიდევ ორი ცარიელი ტაქსი ჩაიგრიალებს. მორიგი ტაქსი – უმგზავრებო – ნელ-ნელა, ტაატით, ჰატარძალივით მისრიალებს. რაპმანი რამდენიმე ნაბიჯზე მისდევს. ტაქსი ჩერდება. მოდურად ჩაცმული და გალანტური ჭაბუკი მძლოლი ეკითხება:

— საით, გეთაყვა?

— მოითმინეთ, ახლავე მოგახსენებთ...

წელანდელი მოსალოდნელი ავარიის სტრესისგან ჯერაც გონსვერმოსული ბატონი ჰადიფური გულის ჯიბიდან ძველ, გაფუყულ საფულეს იღებს და იქიდან გაზეთის დაჭმუჭნილ ნაფ-

<sup>9</sup> ბეჟეშთ – სამოთხე

ლეთს აძვრენს. სიმპათიური მძღოლი გულგრილად უკიდებს „ვინსტონს“. რაჭმანი გაზეთის ნაგლეჯს მანქანის კაპოტზე ასწორებს და კითხვას იწყებს: ექიმი სამიმ ჯალინუსი<sup>10</sup>

მკურნალობს: ნერვულ, შინაგან, კანის, გინეკოლოგიურ, პედიატრიულ, ინფექციურ სნეულებებს; ყელ-ყურ-ცხვირისა და თვალის დაავადებებს; არის საშარდე გზებისა და ძვლის ქირურგი...

მძღოლი ეკითხება:

– მაპატიეთ, აღარ დამთავრდა?

რაჭმანი მობოდიშებით შესცეკრის და აგრძელებს:

... ფლობს ამერიკული უნივერსიტეტის ხარისხს...

ბატონი ჰადიფური ეკითხება:

– ქალაქებარეთაა?

რაჭმანი არ პასუხობს.

... ნარკოტიკებს გადაჩვევა 29 საათში – სტერილური ინექციით; სიმსუქნისგან განკურნება და გახდომა, ასევე – პირიქით; მწვავე ათაშანვისა და ქრონიკული სუსუნატის მკურნალობა...

მძღოლი ისე სტვენს „Mine is Lonely Heart“-ს, თითქოს თვითონ შეეთხზას. რაჭმანი წელში სწორდება და ამბობს:

– ბოლოს და ბოლოს, მივაგენით: ვილასა და ბეჭვათაბადს შორის ყოფილა, პატივცემულ!

თან ვედრებით იფშვნეტს ხელებს:

– ხომ წაგვიყვანთ? ქალაქის ბოლოს არაა!?

ჭაბუკი მძღოლი თავს აქნევს და სერიოზული სახით პასუხობს:

– ძალიან ვწუხვარ, არ შემიძლია...

ბატონი ჰადიფური ამჟამად დროულად იწევს უკან.

... მათ ფეხებთან ერთი მომცრო ტაქსი ამუხრუჭებს. რაჭმანი ცდილობს, თავი შეიკავოს:

– კი მაგრამ, ხუთი მგზავრი გყავთ, სადღა უნდა ჩავსხდეთ?

– ერთი – ჩემ გვერდით, მეორე – იმ ბატონებთან.

ერთი „იმ ბატონთაგანი“ უკბილო, ჩადრიანი დედაბერია, კუთხეში რომ მიკუნჭულა. რაჭმანი მხრებს იჩეჩს: „ვილა...“ და ჩრდილოეთისკენ უთითებს. მძღოლი სამხრეთისკენ იშვერს თითს:

– ძალიან კარგი, შუშტე გავივლით. თუ თანახმანი ხართ, დაბრძანდით...

მეორე წამს ტაქსი ამ ორს უკვე უცნობი ადგილებისკენ მიაქროლებს. რაჭმანს მძღოლის იდაყვის რტყმევისგან ფერდი სტკივა. უკბილო დედაბერი დაუნაწევრებელ წყევლა-კრულვას ჩიფრიფებს. დამთრთხალი და ოფლმდინარი ბატონი ჰადიფური უკანა რიგში, ოთხი მგზავრის წინ, ლამის ჩაჩოქილი ზის, ზემოთ-ქვემოთ დახტის და ნიკაპით სკამს ეხეთქება. ორივე მხრიდან მუჯლუგუნები ხვდება, ჩუმი ლანძლვა ესმის და ვერ გაუგია, სხვები აწვებიან ფეხზე, თუ თვითონ აწვება სხვებს.

ბოლოს და ბოლოს ექიმ ჯალინუსის კაბინეტს მიადგნენ. კარგა ხანი დასჭირდათ, რომ გონის მოსულიყვნენ და მგზავრობის დაღლილობა ჩამოეფერთხათ. მოსაცდელ ოთახში, სადაც სკამები ერთმანეთის უკან მატარებლის ვაგონებივით ჩაემწკრივებინათ, პაციენტებს რიგი გაეჭიმათ. რაჭმანმა

<sup>10</sup> ჯალინუსი (ირონ.) – კლავდიუს გალენუსი (II საუკუნის რომაელი ექიმი, ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი).

ბატონი ჰადიფური რიგში დასვა, მომ-სახურე პერსონალს ნომერი გამოართვა და სიგარეტის მოწევა დააპირა. მოსამსახურემ უთხრა: „აქ აკრძალულია.” რაჟმანმა ჩაილაპარაკა: „არა უშავს”, ხელები ჯიბებში ჩაიწყო და ბოლთის ცემით კედელზე გაკრულ სურათებს მიაშტერდა. აყლაყუდა ჩონჩხს მისკენ მუქარით გამოეშვირა თითი. ჩონჩხს ზემოთ მომხიბვლელ ექთანს (რა საოცრად ჰგავს მარისა ალასიოს!) ფუნჩულა, შიშველი ბავშვი ქოთანზე გადაეყენებინა. ერთ კუთხეში დიდი, ფერადი ფოტო შორეულ წარსულში მკურნალობის ამბავს მოგვითხრობდა. მეორე კუთხეში ნაბეჭდი ცხრილი გაეკრათ:

„ირანის ჯანდაცვის ეროვნული კომიტეტი გირჩევთ, თქვენი დღიური რაციონი უეჭველად შემდეგი პროდუქტებისგან შეადგინოთ: პასტერიზებული რძე, პასტერიზებული კარაქი, იმ დღის კვერცხი, მერინოსის<sup>11</sup> თუ მარინოსის ხორცი, ქორფა მწვანილი, სალათი ოლივი, ლიბანური ფორთოხა-ლი, ჰოლანდიური ყველი, ფრანგული სტაფილოს წვენი, პამიდორი,<sup>12</sup> სტამბოლის კარტოფილი და, ასევე, მცირე-ოდენი ისრიმის წვენი.”

ერთ-ერთ ცნობილ თანამედროვე მხატვარს მთელი ეს ჩამონათვალი აკვარელით დაეხატა ყალამქრის სუფრაზე. რაჟმანმა წინ წაინია და გაოცებით მიაშტერდა ტაბულას. მერე ხელმეორედ ჩაიკითხა ბუტბუტით: „ისრიმი? ეს კი ცუდია. ისრიმი სადღა ვიშოვოთ?”

ბატონმა ჰადიფურმა მორიდებით ჩაახველა. ბავშვმა წაიტირა და რაჟმანმა უნებურად მიიხედა. ბავშვის ხმა

უცნაურად ეჩვენა. ჩია, გალეული გოგონა ჯიუტად ჩაჰატენოდა დედის ჩამომჭენარ-ჩაყვითლებულ მკერდს. დედას შუბლი დასცვარვოდა. თვალებს განუწყვეტლივ აფახურებდა. რაჟმანი მივიდა და თანაგრძნობით ჰკითხა:

— მაპატიეთ... მაპატიეთ, ქალბატონო, თქვენ გეკითხებით! ძალიან ვწუხვარ, როგორც ჩანს, ეს ბავშვი მძიმედაა ავად?

დედის მზერა ერთი წამით რაჟმანზე შეჩერდა, თითქოს თვალებით გაუცინა:

— არა, ბატონოჩემო, ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ! ექიმი ამბობს, მხოლოდ და მხოლოდ უჭმელობისააო.

— აჟაა-აა! — თქვა რაჟმანმა. მთელი ინტერესი ერთბაშად გაუქრა.

— მე თვითონაც ასე ვარ.

რაჟმანი მოსცილდა. ქალს, ჩანდა, კეთილი თანამოსაუბრე არ ეთმობოდა.

— ყველანი ასე ვართ. ამბობენ, მემკვიდრეობითიაო.

რაჟმანი უკვე მოპირდაპირე კედელს მიშტერებოდა: ჩარჩოში ჩასმული მომცრო ზომის ფოტო იყო — ალბათ, ბატონი ექიმი მასწავლებლებსა და თანაკურსელებს შორის; ასევე, ფიცი: „ჰიპოკრატე ამბობდა, მედიცინის მუშაკი ის არის, ვინც თეთრ სამოსს ჩაიცვამს და ტყუილს არ იტყვის; ავადმყოფს კეთილად მოექცევა და გამორჩენის მიზნით არ უმკურნალებს...” რაჟმანმა ამოიხრა: „ძალიან კარგი, ამას ჰიპოკრატე ამბობდა.” ამ დროს ფასების ნუსხა დაინახა, მსხვილი ნასთალიყით<sup>13</sup> რომ ჩამოემწკრივებინათ თეთრ ფურცელზე:

„/ ვიზიტი – 350 რიალი;

<sup>11</sup> მერინოსი – ცხვრის ჯიში. იძლევა საუკეთესო ხარისხის მატყლს.

<sup>12</sup> პამიდორი – „გოუჯე ფარანგი”. ეს სიტყვა სპარსულში ევროპას უკავშირდება (ევროპული ალუჩი). ამიტომაც აქვს მწერალს ირონიით შეტანილი ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალში.

<sup>13</sup> ნასთალიყი – ირანში გავრცელებული დამწერლობის სახეობები.

II ვიზიტი – 400 რიალი;  
 III ვიზიტი – 200 რიალი;  
 IV-VII ვიზიტი – 100 რიალი;  
 VIII ვიზიტიდან შემდგომ – 400-400 რიალი;  
 ნინასნარი ჩაწერით – 800 რიალი;  
 ქალაქში ექიმის ვიზიტი – 1000 რიალი;  
 შემირანში<sup>14</sup> ექიმის ვიზიტი – 1500 რიალი.

ქვემოთ წვრილი შექასთეთი მიენერათ:

მომსახურების 10 % -ის გადახდა – გასინჯვამდე.

ღარიბების მკურნალობა – განვადებით.”

რაპმანს ხელი სიგარეტის კოლოფისკენ გაექცა, მაგრამ გზაშივე მოაბრუნა. ერთი გვარიანად დაამთქნარა და ბატონი ჰადიფურის უკან, რიგში ჩადგმულ სკამზე, ჩამოჯდა.

... იმ ღამით რაპმანმა ყოყმანს თავი ანება და „ოქროს მშვილდ-ისრის ოპერაციისთვის” ნიადაგი შეამზადა. „ოქროს მშვილდ-ისარი” იმ სიტყვიერი და ქმედითი მანევრების ჯაჭვისთვის შეერქმია, რომელსაც შედეგად ბატონი ჰადიფურის ნებაყოფლობითი გაქცევა უნდა მოჰყოლოდა. ჰოდა, ჯერ კლიმატზე ჩამოაგდო სიტყვა: „არა, რა თქმა უნდა, დიდ ქალაქში ცუდი კლიმატი როდია, მაგრამ გამონაბოლქვი გაზები? ხომ იცით, გაზეთებშიც წერენ, რომ კიბოს იწვევს.” ვაი, მართლა? ღმერთმა დაგვიფაროს! “ახლა – აგურის გამოსაწვავი ქურები? გამზირებისა და ქუჩების მტვერი და ნაგავი? ამასაც რადიოში ამბობენ – ჭლექს იწვევსო. არა, ერთ და ორ დღეში კი არაფერი

მოხდება, მაგრამ მერე... ჰოდა, რაღა ვქნათ? გასაგებია: სანიტარიულმა სამსახურებმა ბევრჯერ განაცხადეს, რომ მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, მაგრამ მერე რა? რა უნდა ქნა? თვითონ არაფერი გამოსდით, ამიტომ ამ პრობლემას არასანიტარულ უწყებებს აპარებენ, ისინი კი თავიანთი საქმეებით არიან დაკავებულები.

მერე საკვებზე ილაპარაკა: „კვერცხი ხომ... არ იცოდით? კვერცხს გული არა აქვს. კვერცხის გულს წვენ-საწრუპი მიღებით იწოვენ და ვერაფერს იღონებ. ამ ერთი ბეწო ნასვრეტების პოვნას, კვერცხზე რომ რჩება, ფოტოელექტროატომური საკანი სჭირდება. ასეთი კი, ამხელა ქალაქში, ერთადერთია და ისიც ატომის ექსპოზიციაზე წარმოდგენილი. პილპილს აღარ იკითხავთ? სიცხარე არა აქვს. თუ-თუბო? მუავე არ არის. თუმცა ნასვრეტებიდან მაინც იოლად ცვივა. აქაური ყოველდღიური საკვები, თქმა არ უნდა, აბგუშთია, რომლითაც იკვებება ყველა: მაღაზიების მუშაკები, სახელმწიფო დაწესებულებების დაბალი პერსონალი თუ ინტელიგენცია. შავ მუშებს უფრო ზუსტი განრიგი აქვთ: შუადღისას ყავახანებში შედიან, რომ რადიოს სპეციალურ გამოშვებას მიუგდონ ყური, სანიტარიული უწყების ბრძანებულებები მოისმინონ და მერე, ერთი-ორი ჭიქა ტკბილი ჩაის თანხლებით, ბარბარის<sup>15</sup> სენდვიჩი ზიზღით გადასანსლონ. ეს სენდვიჩი ყუათიანიცაა და იაფიც. მთავარი კი ისაა, რომ დღესდღეობით მთელ შუა აღმოსავლეთში შეუცვლელი რამაა: პურის სქელ ნაწილს ხსნიან და მასში ამავე

<sup>14</sup> შემირანი – უბანი ჩრდილოეთ თეირანში, სადაც, ძირითადად, მოსახლეობის შეძლებული ფენა ცხოვრობს.

<sup>15</sup> ბარბარი – პურის სახეობა.

პურის დაბრანულ კიდეებს აწყობენ; მერე იმ დღის კომენტარებს ისმენენ და სამუშაოზე ბრუნდებიან. ახლა ჭარხალს არ იკითხავ? ჭარხალს სპეციალურ წითელ მელანში ავლებენ. ყორმესაბზისაც, ასევე, სპეციალურ მწვანე მელანში ხარშავენ.<sup>16</sup> მათი ფორმულები, ცხადია, გასაიდუმლოებულია და, თავად ამ საქმის მოთავეებისა და კვების ტექნოლოგების გარდა, არავინ იცის. აჲა! ახლა, ალბათ, შემფორთდებით და რძის პროდუქტებს მიმართავთ. იცით, რა? ამ პროდუქტებს ჰუმანიტარული დახმარების რძის ფხვნილისაგან ამზადებენ – ჩვენ ხომ განვითარებადნი ვართ... ნახეთ, რა ღრმად ჩასწდნენ ჩვენს მოთხოვნილებებს! მაგრამ ვაი, რომ არც ესაა საჩვენო. თუმცა სხვა საკვებზე უკეთესი და ჯანსაღი კი ჩანს, მაგრამ მისი გემო მათთვისაა შესაფერი, ჩვენს პირის გემოს არაფრად ეამება.”

ბატონი ჰადიფური მონუსხული, დაფეთებული უსმენდა. რაჲმანი შეუბრალებლად აგრძელებდა დარტყმებს. ხელი პროკურორივით გაეწვდინა და ხმას მბრძანებლურად იცვლიდა.

„ჯიბის ქურდები? განძრევას ვერ მოასწრებ, ისე გაგძარცვავენ! ტვირთით დამძიმებულ დედაბრად და ცოლშვილიან ჭაბუკად გაჩვენებენ თავს. ნუ გგონიათ, რომ თქვენს ჯიბეს არაფერი ემუქრება, ეგენი ინგლისურ ქინძისთავებსაც კი ხსნიან. ჰოდა, ეს რა ცხოვრებაა? განა ამ ველურ ქალაქში ერთი ნამითაც კი დაიდგომება? განა არ სჯობს,

კაცი წავიდეს იმ... რა ვიცი, თავის ქალაქში თუ... თავის სოფელში? ერთი წყნარი კუთხე მოძებნოს და მოისვენოს? ბოლოს და ბოლოს, მათხოვრებისგან მაინც დაიხსნას თავი? დიახ, მათხოვრებისგან. მათი ნაწილი ყაზვინის მიწისძვრას გადარჩენილი ხალხია, ნაწილი – ამასწინდელი წყალდიდობისას დაზარალებული... ახალგაზრდა გოგობიჭები სხვადასხვა გაერთიანების წევრები არიან, ასაკოვნები – მარტოხელანი, თითოდ მოარულნი. სამათხოვროდ ყველას სხვადასხვა გზა აურჩევია: ვიღაც ჰარალიზებული ხელით მათხოვრობს, ვიღაცას შვილისთვის ფეხი დაუწვავს; ერთი ლატარიის ბილეთებით ვაჭრობს, მეორე ჰაფეზის<sup>17</sup> ლექსებზე მკითხაობს... დიპლომიანები სხვებზე უფრო აბეზარნი და უამურნი არიან. ეს უქნარები ქვეყნის ღირსებას უქმნიან საფრთხეს. რა, დღეს არ ნახეთ? სტამბოლის გამზირზე რომ ჩამოვიარეთ, ერთს დაფა ეკიდა მკერდზე: „ვარ დიპლომირებული სპეციალისტი. თანახმავარ ყოველგვარ საქმეზე. თქვენივე შვილების გულისთვის, ღმერთმა ჩემი დღე აშოროთ, დამეხმარეთ!”

ბატონი ჰადიფური დუმდა, თითებს შორის სიგარეტი ჩაჰქრობდა. რაჲმანს მისი ცოდვით გული მოუკვდა. რაღაც მომენტში ისე შეებრალა, კინაღამ ჰატიება სთხოვა. უნებურად აღმოხდა: „უნდა მაპატიოთ, მაგრამ ჩემი ბრალიც არაა.”

ბატონმა ჰადიფურმა გაოგნებით შეხედა:

<sup>16</sup> ყორმესაბზი – ყაურმის მსგავსი კერძი, რომელსაც ბლომად დართული მწვანილი მომწვანო ფერს აძლევს.

<sup>17</sup> ჰაფეზი – XIV ს-ის დიდი ირანელი პოეტი, რომლის პოეზია განსაკუთრებით საყვარელი და პოპულარულია ირანში. ხალხში დღესაც გავრცელებულია ჰაფეზის ლექსებზე მკითხაობის ტრადიცია. როგორც ბანქოს ქალალდით, ისე მკითხაობენ ჰაფეზის ლექსებით. ამოსულ ნაწყვეტს ან სტრიქონს მომავლის წინასწარმეტყველებად მიიჩნევენ.

— ჰო, რა თქმა უნდა. არც მითქვამს, რომ თქვენი ბრალია. ეს ამბები...

რაპმანი უცბად წამოდგა. მთელი ის უზაკველი გრძნობები ზიზღსა და ბრაზში გადაზრდოდა. თავი ასწია და შასძახა: „დმერთო!“

თითქოს მის პასუხად მეორე სართულიდან ზიზის ცელქი, წკრიალა ხმა მოისმა.

\*\*

ხვალ... ხვალ... ხვალ...

ტყუილად არ უთქვამთ, კაცი ხვალის იმედით ცხოვრობსო. მეორე დღეს, რესტორან „როჟე მარტინ დიუ გარში“ რომ სადილობდნენ, რაპმანის ბედის ვარსკვლავმა გამოანათა. ის-ის იყო, თერთმეტი-ოთორმეტი წლის სიფრიფანა გოგოსაგან, ძველი წითელი კაბა რომ ეცვა და შავ, ნაპერწკლიან თვალებს ხშირი წამწამები უჩრდილავდა, ერთრიალიანი სამკითხაო ქალალდი ეყიდა. გოგონას ერთი რიალი<sup>18</sup> ბატონმა ჰადიფურმაც უწყალობა ღვთის სადიდებლად, თუმცა ქალალდი არ გამოურთმევია. გოგონამ ალალად გაუღიმა, მაგრამ არ წასულა. იქვე იდგა და მაგიდას დასცექოდა. რაპმანმა მის მზერას გააყოლა თვალი და პურის ნატეხებს მიადგა. აჲა! გოგონამ პური აიღო, თითქოს ჩაიბუტბუტა, გმადლობთო, და წავიდა. დაფლეთილ ფლოსტებს რესტორნის მბზინავ იატაკზე მიაფრატუნებდა. დახეული წინდებიდან კოხტა, თხელი ფეხები მოუჩანდა.

— რა ამოგივიდა?

რაპმანი თითქოს სიზმრიდან გამოერკვა, მწარედ ჩაიცინა: „მისი ბაგე-

ნი, ლექსზე ნატიფნი... „აჲ, რა ამომივიდა?“ — და წაიკითხა:

„ჰაფეზი, რომლის გამონათქვამები ათასობით რჩევითა და ანდაზააფორიზმითაა საკსე და რომელთა ამოსაცნობად წლებია საჭირო, ასე გეუბნება: „შენი ფიქრები, ცოტა არ იყოს, ნაღვლიანია. ნათესავ-მოკეთეებისგან ხეირი არ გინახავს. ცხოვრებამ რამდენჯერმე შანსი მოგცა. უვიცობისა და უქონლობის გამო ბედს ვერ ეწიე, მაგრამ შენი ბედის ვარსკვლავი დღითი დღე მეტად ბრწყინდება. თუმცა ჯერ მწვერვალამდე არ ამაღლებულა, მაგრამ, ღვთის წყალობით, საბოლოოდ ყველაფერი კარგად იქნება.“

ბატონმა ჰადიფურმა, წმინდანის სასოებით რომ უგდებდა ყურს, წამოიძახა:

— ღმერთმა ქნას! ღმერთმა ქნას! მეც სულ ამას არ ვამბობდი?!

და სწორედ ამ დროს... ბატონი ჰადიფურის ყორმესაბზიან თეფშში რეზინის შავმა ნაგლეჯმა წამოყო თავი. რეზინი ჩანგალს გამოსდებოდა და, წებოვანი და საზიზღარი, კიბორჩხალასავით იკლაკნებოდა. მისი ბოლოდან მაგიდას ბლანტი, შავი სითხე ეწვეთებოდა. ბატონმა ჰადიფურმა ნელა, ფრთხილად მისწია ჩანგალიცა და მისი ნადავლიც თეფშის კიდეზე და დააშტერდა. გველის მომთვინიერებელს ჰგავდა, სალამურს რომ თავს მიანებებს და გველის აცეკვებას ელოდება. რაპმანი უნებური გაოგნებიდან გამოერკვა და ბავშვივით შეიკუნტრუშა:

— ოქროს მშვილდ-ისარმა თავისი ქნა!

ბატონი ჰადიფურის უსასოო, დაბნეული მზერა მასზე შეჩერდა:

<sup>18</sup> რიალი – ფულის უმცირესი ერთეული ირანში. ადრე (ახლანდელ დევალვაციამდე) მეტი ღირებულების იყო.

— აი, ბატონო, ხომ ხედავთ?! ღმერთმა გვაშორა და, ეს რომ შეგეჭა-  
მათ, რა მოხდებოდა? ჩვენ სხვანი  
ვართ, კუჭები მოკალული გვაქვს. ყო-  
ველდღე ამგვარ რამერუმეს გეახლე-  
ბით. თქვენ კი...

ბატონმა ჰადიფურმა ამოთქვა:

— ეს საჭმელი ხომ კაცს შიგანს არ  
შეარჩენს. ღმერთმა ნუ ქნას, ბუასილ-  
საც!..

რაჰმანი ხედავდა, როგორ ადგა  
ბატონი ჰადიფური, უკან როგორ დაი-  
ხია და სახე ოფლით როგორ დაეცვა-  
რა. რესტორნიდან გამოვიდნენ.

— არა, ახლა, ასედაც ნუ ინალ-  
ვლებთ. უფრო ჭკუასუსტობასა და სი-  
ლენჩეს იწვევს. როგორ აგიხსნათ? კა-  
ცი რაღაცნაირი ხდება, ვეღარაფერს  
არჩევს. რასაც ეტყვიან, იმას იჯერებს.  
რასაც მოსთხოვენ, იმას აკეთებს. რო-  
გორც განვრთნილი გოშია.

— ღმერთო, შენ გვიშველე! მაშ,  
რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გავე-  
ცალო აქაურობას. აქ რომ დავრჩე და  
ასეთად ვიქცე... როგორ გგონიათ, სო-  
ფელში ვინდა მცემს პატივს?!

— აქაურობას გაეცალოთ? განა  
მაჯეროდდინ ბილყანის მაღაზიის მო-  
ნახულება არ გინდოდათ? იქ ძალიან  
ძვირი საქონელია, რომლის ბადალსაც  
ვერც ქალაქად და ვერც სოფლად ვერ  
წააწყდებით... მისი შეძენა მხოლოდ  
ჩვენზე აღმატებულთ შეუძლიათ. მე-  
რე, ცათამბჯენები? ათ, თხუთმეტ და  
მეტსართულიანები... მუშებისთვის  
განკუთვნილი ოცდაერთი შენობაც კი  
არქიტექტურის შედევრია. მათზე მი-  
ლიონობით თუმანია დახარჯული.

— რა თავში ვიხლი?! წელის ტკი-  
ვილმა მიმატა, თვალთ მიბნელდება,

პირი ნერწყვით მევსება. ვერ გამიგია,  
ნაღვლის ბუშტმა შემომიტია თუ ამ  
საკვებისგან მჭირს? მე მგონი, აქაური  
კლიმატი არ მიხდება. ხომ არ მოვიწამ-  
ლე? თითქოს დიზენტერია შემეყარა...

რაჰმანი სიხარულით მიარბენი-  
ნებს ბატონ ჰადიფურს საზოგადოებ-  
რივ ტუალეტში.

\*\*

ახლა რაჰმანი ცარიელ, ნაცრის-  
ფერ ქუჩებში დაბორიალებს. ცა აისის-  
თვის ემზადება და გაცრეცილი ლამპი-  
ონები ამ გარდაუვალ წამებს ელიან. რაჰმანი ჩერდება და ღრმად ისუნ-  
თქავს ალიონის სუფთა ჰაერს. ლამპი-  
ონების სვეტები მოლოდინში გარინდუ-  
ლან და, გრძელი ღამეული საათების-  
გან მოღლილთ, თავები ჩაუხრიათ. რაჰმანი გზას განაგრძობს. დილის  
რიურაუში ქუჩის ბოლოს მერძევის  
ბუნდოვან კონტურებს ხედავს, ურიკა-  
ზე რომ მოკუნტულა და დროგამოშვე-  
ბით ბუკს აყვირებს. დიდად არ ცივა და  
რაჰმანი სიმსუბუქეს გრძნობს. თუმცა  
დროებით: კვლავ სიმძიმე აწვება მკერ-  
დზე. ქუჩაში უხვევს და უმიზნოდ  
სცემს ხელებს ერთმანეთს. ლამპიონე-  
ბი ერთბაშად ქრება. ქუჩის სიღრმეში  
ძაღლი ყეფს და აბაში<sup>19</sup> გამოხვეული  
ახუნდი ლანდად ჩაუვლის. შორიდან  
მანქანის ხმა ისმის. უნებურად ჩიხში  
მოხვედრილი რაჰმანი კვლავ გამზირზე  
ბრუნდება. ჭარხლის გამყიდველი მო-  
ხუცი უახლოვდება. მხრებზე ძონდი მო-  
უგდია. დროდადრო ურიკას აჩერებს  
და ჭარხლის ორთქლზე ხელებს ით-  
ბობს. რაჰმანს რომ უახლოვდება, ყვი-  
რილს იწყებს: „აბა, ჭარხალი! ცხელ-

<sup>19</sup> აბა – მამაკაცის უსახელო გრძელი მოსასხამი.

ცხელი, თონიდან ამოყრილი ჭარხალი!”. ყოყმანობს, თითქოს ელოდება. მერე გზას აგრძელებს.

რაჲმანი თავისუფლების გზაჯვარედინს უახლოვდება. ესეც ასე! ხომ მინდოდა, ჰადიფური მალე წასულიყო? ჰოდა, წავიდა! ახლა რა ხდება? რა შეიცვალა?

ბატონმა ჰადიფურმა სასწრაფოდ იყიდა ბილეთი და ბოლო ოცდაოთხი საათის მანძილზე პირი არც წყლის-თვის დაუკარებია, არც – საჭმლის-თვის. მხოლოდ ცხელ ჩაის სვამდა და სიგარეტს ეწეოდა. აღარც საათზე ნაღვლობდა და აღარც ქუჩის ბოლოს მდებარე ყავახანაში დადიოდა ყალიონის მოსაწევად.

მისი რეცეპტი გაანალდეს: ოთხას სამოცდასამი თუმნის, ორი რიალისა და ათი შაჲისა<sup>20</sup> გამოვიდა. ექიმს ოთხი სახის შესაზელი მალამო, სამგვარი დასალევი ამპულა, ათი კოლოფი საინექციო ამპულა და უამრავი დასალევ-ჩასაყლაპი კაფსულა თუ მიქსტურა გამოეწერა მისთვის. ერთი ლომისგამო-სახულებიანი სალბუნიც დაენიშნა.

ღამით ბატონმა ჰადიფურმა ბარგი-ბარხანა უხალისოდ შეკრა. რაჲმანმა დრო იხელთა და საათი წამლებთან ჩაუცურა ჩანთის კუთხეში. ბატონ ჰადიფურს ხან ამცივნებდა, ხან აცხელებდა და ხანაც აბოდებდა. მისი საუბრები უფრო მეტად ავსულებსა და ეშმაკეულებს, განკითხვის დღესა და ღვთიურ სამართალს შეეხებოდა, ვიდრე ლამაზ, ფუნჩულა მსახიობებსა და მხიარულ თეატრალურ წარმოდგენებს. ბარემ ასჯერ შეევედრა რაჲმანს, ვირიდან ჩამოდი და სოფელში წამომყევიო! ბოლოს კი დაჲპირდა, რომ თოლისმებსა და შელოცვებს გამოუგზავ-

ნიდა.

როდესაც ბატონი ჰადიფურის ავტობუსმა ალიონის ბინდბუნდში დაძვრა დააპირა და რაჲმანმა ხელი დაუქნია, დაინახა, რომ ბატონი ჰადიფური ტიროდა და სინანულით უქნევდა თავს... ესეც ასე... მაგრამ ახლა... კვლავ მარტოობა და უთვისტომობა...

რატომ გავუშვი?

უცბად რაჲმანი მიბრუნდა და დაედევნა. თვალები ეწვოდა. კბილებს მაგრად აჭერდა ერთმანეთს... რომ მიუსწოდეს... მაგრამ გარაუის დარაჯმა სახეში შესცინა და სულ ცოტა ხნით, რაჲმანს უსასრულობად რომ ეჩვენა, დაუინებით მიაშტერდა... არა, ბატონი ჰადიფურიც კი წავიდა!

სახლში ფეხით დაბრუნდა. ჯერ ოთახის კარიც არ გაელო, რომ ფარვიზ ხანმა შემოსასვლელთან ზარი დარეკა. დღეს რა ადრიანად მოსულა... რაჲმანი ბავშვივით ჩამოეკიდა კისერზე და აზლუქუნდა. თუმცა ტირილით ვერ იტირა, თვალები გამოშრობოდა.

ფარვიზ-ხანმა ჰკითხა:

– რაშია საქმე, დედიკოს ბიჭო, ისევ ააფრინე?

რაჲმანი მოსცილდა, ბუხრის თავიდან რადიო აიღო და კედელს მიალენა. საწოლი ააყირავა, გაზეთები და უურნალები, რომლებსაც თვალს თუ შეავლებდა ხოლმე, დაფლითა და მიყარ-მოყარა. მერე შუა ოთახში ძველ, დამტვერილ ხალიჩაზე ჩაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და მგლოვიარესავით მოთქმით ატირდა.

– მე უბედური! მე ყეყეჩი! მე საწყალი! ახია ჩემზე!

დიასახლისი და მისი ქალიშვილი ოთახში შემოცვიდნენ. ზიზი დახტოდა, ტაშს უკრავდა და საბავშვო ბალის

<sup>20</sup> შაჲი – წვრილი ხურდა ფული.

საპროგრამო სიმღერებს მღეროდა. დედამისი ფარვიზ-ხანს პიჯაკში ჩაჰურენოდა, ექაჩებოდა და ანჯლრევდა:

— რამე ქენი! ქენი რამე! მთელ უბანში თავი მომეჭრა! ერთი კარგი ექიმი ვიცი. ეგაა, რომ ტაქსით უნდა წახვიდეთ, ბეჟჯათაბადში ცხოვრობს...

უცბად რაჰმანი დაწყნარდა. ჯერ თითქოს გაოგნებული იყო. მერე თავი მიაბრუნ-მოაბრუნა და წამოდგა. დიასახლის სწრაფი მზერა შეავლო, თმა გადაივარცხნა, ჰალსტუხი შეისწორა და ფარვიზ-ხანსა და ქალს პატიება სთხოვა. ზიზი გაჩუმდა. გაფითრებული ფარვიზ-ხანი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— მისმინე, შენი ბრალია. ხომ გადავწყვიტეთ, სისტემატურად გვევლო „სიმშვიდის მოსურნეებში?“ რაც არ უნდა იყოს, იქ შენი მორჩენა შეუძლიათ.

**რაჰმანი ტიროდა:**

— მორჩენა? შენც გვინია, მართლა ავად ვარ? არა, არა, ავად არა ვარ, ფარვიზ-ხან, არც არასოდეს ვყოფილვარ ავად.

დიასახლისმა მხრები აიჩეჩა, გოგონას ხელი ჩაჰკიდა და ოთახიდან გავიდა. დერეფნიდან შემოსძახა:

— თქვენ იცით, მაგისი მეგობარი თქვენა ხართ. თუ გენდომებათ, ექიმის მისამართს მოგცემთ.

კიბეებამდე არც მისულიყო, ზიზიმ ისევ სიმღერა წამოიწყო. ხმა თანდათან უფრო და უფრო ჩუმად და გაურკვევლად ისმოდა.

რაჰმანმა ვედრებით თქვა:

— არა, ექიმი არ მჭირდება. არ ვიცი, დღეს რა მომივიდა. დამიჯერე!.. ის... ჩემდა უნებურად... მაგრამ ასე აღარ მოხდება... დილის ჰაერმა დამართა...

**ფარვიზ-ხანმა უთხრა:**

— ძალიან კარგი, მაგრამ შენი აბები მაინც დალიე. დამამშვიდებელი არ არის?

— კი, ახლავე დავლევ! მართალი ხარ! მთელ კოლოფს დავლევ!

— ნურც სამსახურში წახვალ, ასე აჯობებს. დღეს სიყვარულით გავერთოთ. გინდა, გოგოებში გავიაროთ? რამდენიმეს ვიცნობ, სკოლის მოსწავლეებს. გაგაცნობ, არ გინდა?

— მე რომ ცეკვა არ ვიცი?

— დიდი ამბავი! ისწავლი... გამოსავალი სწორედ ესაა. დღეს ყველა ასე იქცევა. ყველაფერზე ადვილი და უპრობლემო საქმეა. თუ არ იზამ, წააგებ. ესეც არ იყოს, ასეთი ურთიერთობები გონიერასაც აამებს.

რაჰმანი ტანსაცმლიანად გაშოტილიყო ხალიჩის კუთხეში. ცრემლს აღარ ღვრიდა, თუმცა ფერფური მისდიოდა და ტუჩის კიდეც უთრთოდა. მოზრდილი კოლოფიდან ნება-ნება იღებდა სამფეროვან აბებს, პირში იდებდა და ყლაპავდა:

— იქნებ... მართალიც ხარ... მაგრამ მე... არ შემიძლია...

დამამშვიდებელი აბები... ნეტავ, ღმერთი დაამშვიდებდეს!



უზგავარი ლიტერატურა

# მუჟამად მუყიმი

(1851-1903)

## ლექსეპი

\*\*

შენი ტრფიალი არ მქონდა განა!  
შენზე ოცნება დღესაც თან დამაქვს.  
საცაა, გულზე დავიცე დანა.  
კვლავ ჩემი ქენჯნილი ბედი მომაგონდა.

აპრილმა მოლით მოჩითა ველი,  
ველზე ქანაობს ნიავი ნელი.  
მეცა თუ არა მინდვრის სურნელი,  
შენი დალალების ფშვენა მომაგონდა.

ღვინოს რომ ვსვამდი კათხით და ჯამით,  
ნამით შლეგს ვგავდი. ბრძენს ვგავდი წამით.  
გულს განმეწონა ისარი და მით  
შენი წამწამები ისევ მომაგონდა.

არ შევეპუე უდაბნოს დუღილს,  
მაღრჩობდა ხვატი, მბუგავდა ბუღი  
და მაშინ (შენთვის ეს რამედ თუ ღირს)  
მე შენი თვალ-წარბის ჩერო მომაგონდა.

მთვარე ხარ, მაგრამ თვით ბადრი მთვარე  
შენს გვერდით ნაბავს დარცხვენილ თვალებს.  
მინდა, შენს ფერხთით განვერთხო ბარემ...  
ვაიმე, მაგ ფეხთა როკვა მომაგონდა.

იქნებ ვიყავი მე შლუ და ყბედი,  
რად მსჯიდი? ისეც მსჯიდა მე ბედი.  
დამიახლოვე, მუყიმი გვედრი!  
ვაიმე, შენთან ყოფნის უამი მომაგონდა.

\*\*

მე ჩამინთხიე გულში ნაღველი,  
არც მოიხედე, ისე წახვედი.  
სწეულს ხომ ადგას თავზე მნახველი.  
შენ კი დამტოვე, შენ კი წახვედი.

ჩემს წამებაში დაიდე წილი,  
ძმა წამიქეზე, დამწამე ცილი,  
თავს დამდგომია მტერი მსახვრელი,  
სირცხვილი შენი, შენ კი წახვედი!

ხომ ხედავ, უნდა წავაგო ომი,  
ხომ ხედავ, უნდა წავიქცე ლომი,  
ხომ ხედავ, მბუგავს ცეცხლი მდაგველი?!  
რა დროს დამაგდე, რა დროს წახვედი!

ამას არ იზამს თვითონ ჯალათიც.  
რა ჰქვია ამას, თუ არ ღალატი, –  
შემაბი ბედი შანთით მდაღველი.  
როგორ მიხსნიდი, როგორ წახვედი!

\*\*

ლანდს დავემგვანე, დამელია ხორცი და ფერი,  
დავკარგე გულის მეგობარი. შემომრჩა მტერი.  
შენზე ვმღეროდი მე სიმღერებს, კვლავ შენზე ვმღერი.  
და დავუძლურდი, და დამიდგა განკითხვის ჯერი,  
და სიკვდილს ველი, მივდივარ და ვინ მომიგონებს?!

არ იპოვება ქვეყანაზე უცრემლო შვება,  
ცდება, უეკლო ვარდს ვინც ეძებს, ამაოდ შვრება.  
რა გვენაღვლება, ჩვენს მაგივრად თუ ვინმე კვდება,  
თუ ჩვენი პური მისი გულის თონები ცხვება;  
რა მეშველება? ასეთ ხალხში ვინ მომიგონებს?!

სატრფოს ძებნაში მიმეწურა უამი და ხანი,  
(ჰაი დედასა, დავუძლურდი, არ შემწევს ჯანი).  
მის სასახლეში გლეხი გმინავს, ნებივრობს ხანი.  
ვის მივაწვდინო ჩემი კვნესა და ჩემი ხმანი?  
იქ მდიდრებია, მდიდრებში კი ვინ მომიგონებს?!

მიჯნურმა ჩემმა მე დამათრო, შემასვა ბანგი,  
ტრფიალმა მისმა გადარია ეგ ჩემი ჩანგი.  
ვინც არ ტანჯულა, მას არ ესმის მუყიმის ჰანგი,  
ის შეეცდება ჩემს სტრიქონებს უნახოს მანკი.  
მაგრამ ჩაგრული მე გამიგებს და მომიგონებს!

\*\*

აღარ დამადგა ქვეყნად საშველი.  
ასე ამაოდ როგორ დავშვერი!

იღბალმა მძიმე ტვირთებით მტვირთა.  
ბროლი სულისა სულ სავსე მტვრით მაქვს.

ვერ გავასწარი ავ ყისმათს გალმა,  
ვერ დავაბრუნე დოლაბი წალმა.

ვერ მოვიშორე მძიმე ვარამი,  
ვერ გავითენე ლამე წკვარამი.

გზაზე ვდგავარ და ვთხოულობ შველას:  
– მიშველეთ!  
... წუთუ დამუნჯდა ყველა?

\*\*

მე დავსნეულდი, წამალი კი არა აქვს არვის,  
სულ დავუძლურდი, პირზე ფერი დამედო ქარვის.  
დამიდგა ჟამი ხელმოცარვის და გულის ზარვის,  
არვის არა აქვს ჩემი თავი და ასე ვარ. ვის,  
ვის, ვის შევჩივლო გულის ჩემის დარდი? ვაიმე!

სულო ბოროტო, რად დამადე ხუნდი და ბანდი?  
მაზრუნე ფულზე, სულზე ზრუნვის არ მომეც დარდი.  
ვნებებს მამონე. ეს რა ბილნი იხმარე ფანდი?  
როგორ გავთავდი, როგორ ფუჭად დავშვერ! ვაიმე!

მდიდარი მუდამ ვერ იცხოვრებს, დატოვებს ქისებს  
და სხვები შემდეგ მასზე სიტყვებს იტყვიან მქისებს.  
ცდება და ცდება, ვინც ამ ქვეყნად ჯიბეებს ივსებს,

ვინც ტანჯულ ხალხზე დარღს და ფიქრებს გულზე არ  
ისევს.

ძალლი იყო და ჩაძალლდაო! – ვიტყვით. ვაიმე!

რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო,  
კაცი ვერ ვნახე, ობლად მუდამ როგორ ვიარო?!  
ვიმგლოვიარო, უნდა შენზე ვიმგლოვიარო,  
დაბწელდა ჩემი სრა-სასახლე, სულის ზიარო.  
ნიშატი ჩემი ნამდვილ ნიშატს არ ჰგავს. ვაიმე!

უკვე დავბერდი, მომერია თმაში ჭალარა,  
უამი დამდგარა, სასიკვდილო დაპკრან ნალარა.  
მისმა შიშმა და ზაფრამ მისმა გული დალარა.  
ზარი ჩამოჰკრეს, ულმობელმა ბედმა “მახარა:”  
“მოამზადეო ქარავანი შენი”! ვაიმე!

## მგზავრის ცერილები

\*\*

ვაიმე!  
ბედმა მეც შემაჩვენა,  
მას არ სურს ქვეყნად ჩემი დარჩენა.  
ამ ქვეყანაზე ვინმე მაჩვენა,  
არ იწყევლიდეს თავის გაჩენას.

ვერ შევეწყვე და დავთმე ქალაქი,  
სილარიბის და ჩაგვრის ალაგი.

წინ მიდევს გზები ცივი და ცხელი,  
უნდა ვიარო ფეხით და ცხენით.  
აურაცხელი ფიქრი მომდევს თან  
და ბოლმა მაღრჩობს აურაცხელი.

ჰა, ქარავანი ჩვენი დავძარით.  
გზა იყო ცუდი, გულის საზარი.  
სოფელ ულთარმას რომ მივატანეთ,  
შემოგვეგება ჭრელი ბაზარი.

უცნაურ ბრბოზე დაგვრჩა თვალები.  
მოგროვილიყვნენ ქვეყნის ქალები.  
ვიღაც ყბედ “წმინდანს” შემოხვეოდნენ  
და მას უგდებდნენ ყურს მოკრძალებით.

მამასახლისი ვიკითხე მათი.  
თურმე ჰქონია წისქვილი ათი.  
მთელი სოფლისთვის ამ ერთ ბობოლას,  
ამ ისა-ჰაჯის დაუდევს თათი.

ის იბლინძება და ტლინკებს ისვრის,  
კანონი არის ხუშტური მისი.  
ამ მუქთახორამ, თაღლითმა კაცმა  
ლამის დალიოს გლეხების სისხლი.

\*\*

დურმანჩა იყო შემდეგი თემი.  
მაგრამ იკითხეთ წამება ჩემი, –  
ვერ დავისვენე ქურდების შიშით,  
ლამე ვათიე ტანჯვით და გვემით.

ყადი<sup>1</sup> ჰყავთ მეტად გამოქექილი,  
მოსამართლეა ის და ვექილიც.  
ერთხელ თუ მასთან საქმე მოგეცა,  
არ დაგჭირდება შემდეგ ექიმი.

აქაც იგივე “ნანატრი ბედი”,  
აქაც ქაქანებს “წმინდანი” ყბედი.  
მთვრალია, მაგრამ ხალხი უჯერის,  
წმინდანობასაც რა უნდა მეტი!

გამასპინძლება აქ არ იციან,  
სტუმარი თუ ხარ, კარში გისვრიან.  
მამასახლისმა ჯოხით გაგვრეკა,  
მერე ძაღლები გამოგვისია.

\*\*

რაყფონი მიქეს ერთი სოფელი,  
ბალებს ვამჩნევდი მწვანედ მოფენილს.  
მაგრამ რად გინდა, ამ სოფელშიაც  
კაცი ვერ ვნახე მშვიდად მყოფელი.

<sup>1</sup> ყადი – მუსულმანთა მოსამართლე.

აქ საწყალ გლეხებს სულს აძრობს ბაი<sup>2</sup>  
 დარდმა თრიაქით შეცვალა ჩაი.  
 ღატაკი ხალხით სავსეა იგი  
 და ქვრივ-ოხრების უით და ვაით.

ვერ შესვა ჩაი, ბევრიც ინებო  
 (ვერ იტყვი, იღბალს არ ვიგინებო!).  
 მთელ ღამეს ყეფდა მასპინძლის ძალლი, –  
 მიღრენდა: “აღარ დაგაძინებო!”

თეთრად ვათიე ის ღამე შავი.  
 ეს რა ხიფათი მემთხვია ავი.  
 თურმე ახლოა ქანიბადამი.  
 არა მაქვს ქანიბადამის თავი!

\*\*

ყოყანდა ჩემთვის დილეგს მოჰვავდა  
 და მეც დავტოვე ჩემი ყოყანდა.

\*\*

მაქა-თუთს ვნახე ბევრი ახალი...  
 აქაც დგას ერთი აყალმაყალი.  
 დამპალ ყველს ყიდის აქ შვილის ფასად  
 მაქა-თუთელი ერთი ბაყალი.

აიფანშიაც მომიხდა გავლა,  
 მთელი სოფელი მოჰვავდა თავლას.  
 აქ ბავშვობიდან ეტანებიან  
 სიბილწისა და სიავის სწავლას.

აქ ძარცვა-გლეჯას არ უჩანს ბოლო,  
 მკვლელობა ხდება აქ ღამით, ხოლო  
 დღისით ქეიფი და ღრეობაა  
 ... და ტირიფები ტირიან მხოლოდ...

უზბეკურიდან თარგმნა  
 მაგალი თოდუამ

<sup>2</sup> ბაი – მებატონე.



ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ର ପାଠୀକାଳୀଙ୍କା

## ვანგ სიანგ ფუ

(დ. 1958 წ.)

### დედის სიყვარული

დედა დღითი დღე სულ უფრო ბერდებოდა. სიარულზე ეტყობოდა, თუ როგორ ხდებოდა მისი ნაბიჯები სულ უფრო და უფრო ნელი. მისი შვილები უკვე ზრდასრულები იყვნენ. საკუთარი საქმეებით დაკავებულნი, ერთი წუთით შეირბენდნენ დედის სანახავად და მაშინათვე ტოვებდნენ მას. მათი სიცოცხლით სავსე და ხმაურიანი გარემო სიზმარს ჰქონდა. დედის სახლი დაცარიელდა. ზუსტად ამ დროს მე დიდი ხნით გავემგზავრე ქალაქ ხუნანში. დედა საოცარი სიხარულით შემხვდა, აღარ იცოდა, რითი ვესიამოვნებინე, საჩქაროდ დაიწყო სადილის მზადება.

— დალევ ღვინოს? — მკითხა დედამ.

— დავლევ. — ვუპასუხე მე.

დედამ სასწრაფოდ დამისხა ღვინო. სამი ჭიქის მერე დედამ მითხრა:

— ბევრი ღვინის დალევა ცუდია, ცოტა უნდა სვა!

დასალევად მომზადებული ჭიქა დავდე, დედამ კი ღიმილით მითხრა:

— ამდენი ხანი იყავი ოჯახიდან შორს, კიდევ დალიე ცოტა!

კიდევ ორი ჭიქა დავლიე და დედამ ისევ მითხრა:

— აღარ დალიო, ახლა საჭმელი მიირთვი, თორემ სურნელება გაუვა!

როცა ჭიქა ისევ დავდევი, დედამ

კვლავ ღიმილით მითხრა:

— ხუთი ჭიქა დალიე? კიდევ ერთი დაამატე, რათა გაწყვილდეს!

და სასმისი შემივსო. ერთი ჭიქა კიდევ დავლიე და ამჯერად გადავწყვიტე, შევჩერებულიყავი. დედამ გაიღიმა და ისევ მითხრა:

— თუ კიდევ გინდა დალევა, დალიე!

მე ისევ შევავსე სასმისი. დედამ შემომხედა და მითხრა:

— აღარ დალიო, აღარ დალიო!

და ღვინის ბოთლი წაიღო. ბოლო ჭიქა დავლიე და თვალები ცრემლებით ამევსო. როდესაც ჭიქა ამოვატრიალე, დედამ სასმისი გამომართვა და ისევ ნელ-ნელა შემივსო ღვინით.

— ცივი დღეა, თუ დალევა გინდა, კიდევ ერთი დალიე!

ცრემლები ღვარად წამომივიდა.

სწორედ ეს არის დედის სიყვარული, მას ეშინია, შვილმა ბევრი არ დალიოს და თანაც დასალევად აქეზებს მას, რათა ასიამოვნოს.

ჩემი დედა!

მე დედის სახლთან ახლოს, ერთ პატარა ბინაში გადავედი საცხოვრებლად. ერთ დღეს დედა მოულოდნელად მესტუმრა. ძლივს ამოვიდა მეოთხე სართულზე, სუნთქვა უჭირდა. კარის გაღებისთანავე დაღლილი კედელს მიეყრდნო. სულის მოთქმის შემდეგ მო-

ისურვა ჩემი საძინებლის დათვალიერება. საძინებელში ლოგინი და წიგნები ერთად მეწყო. ოთახი ძალიან პატარა იყო, საწოლი ფანჯრის ქვემოთ, გამათბობლის გვერდზე იდგა, მის აღმოსავლეთით წიგნების თარო იყო დამაგრებული, ხოლო დასავლეთ მხარეს წიგნების შუშის კარადა იდგა. დედამ საწოლს შეხედა და მკითხა:

—ძილის დროს თავი რომელ მხარეს გიდევს?

— აღმოსავლეთით, — ვუპასუხე მე, — იქით, სადაც წიგნის თაროა დამაგრებული.

— ცუდია! — მითხრა დედამ, — თაროზე ბევრი მტვერია, თავი დასავლეთით უნდა გედოს.

დედა ცოტა ხანს იღიმებოდა, შემდეგ კი უცებ მითხრა:

— არ ივარგებს, თავი რომ შუშის კარადისკენ გედოს. მიწისძვრის შემთხვევაში შუშა ნამსხვრევებად იქცევა და დაშავდები, ასე არ შეიძლება!

დედას უცებ მიწისძვრა მოაგონდა. მიწისძვრა კი ას წელიწადში ერთხელ თუ იქნება.

— კარგი, მაშინ თავს ისევ აღმოსავლეთით დავდებ, — ვუთხარი მე და დასავლეთით გადადებული ბალიში

ისევ აღმოსავლეთით გადმოვდე. ცოტა ხნის შემდეგ დედა მეკითხება:

—ძილის დროს თავი როგორ გიდევს, პირალმა წევხარ?

მე ვუპასუხე, ვწევარ და ისე მძინავს-მეთქი.

—ასე არ შეიძლება, არ შეიძლება!

— მითხრა დედამ— გამათბობელი ჰაერს აშრობს, სიმშრალე კი ყელისთვის ცუდია, შენ ხომ პატარაობიდანვე განუხებს ყელის ტკივილი!

— კარგი, — ვუპასუხე მე, — მაშინ პირალმა დავიძინებ.

თვალებზე ცრემლები მომადგა, არასდროს დავფიქრებულვარ, როგორ ეძინა დედას.

ჩემი დედა!

დამიბერდა! ხშირად ეზოში დგას და კედელს მიყრდნობილი, ჩაფიქრებული გაჟყურებს გზას. ჩემი ყოველი მისვლა მას საოცრად ახარებს, ეს იმ სიხარულს ჰგავს, რომელსაც განვიცდიდი მე ბავშვობაში, როცა იმ ადგილზე ვიდექი დედის მოლოდინში და დავინახავდი მას.

ხშირად მივდივარ დედასთან, ვეხმარები პროდუქტის ყიდვაში.

დედა! ჩემი პატარა, კეთილშობილი, ჭალარა დედა...

ჩინურიდან თარგმნა  
თამარ კარსანიძემ

## სარჩევი

1.	<b>მაგალი თოდუა, მკითხველთა მიმართ</b> .....	5
2.	<b>არაბული ლიტერატურა</b> .....	7
	<b>ყურანი. თარგმანი და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა</b> .....	8
	<b>ალ-ჯაჰიზი, წიგნი ძუნნების შესახებ. თარგმანი ნათელა უვანიასი და დარეჯან სვანისა</b> .....	19
3.	<b>თურქული ლიტერატურა</b> .....	31
	<b>საით ფაიქ აბასიანიქი, უმაქნისი კაცი. თარგმანი ირინე ჯავახიძისა</b> .....	32
4.	<b>სპარსული ლიტერატურა</b> .....	39
	<b>რუდაქი, ვარდი ხარ გაზაფხულისა. თარგმანი ნომადი ბართაიასი</b> .....	40
	<b>ბაბა თაჰერ ურიანი, გული მაქვს... თარგმანი ნომადი ბართაიასი</b> .....	41
	<b>ნასერ ხოსროვი, [ქებათა ქება გლეხს!]. თარგმანი მაგალი თოდუასი</b> .....	42
	<b>მეგობართა თვალთმაქცობის შესახებ. თარგმანი მისივე</b> .....	43
	<b>სიმღერა სიყვარულისა. თარგმანი ნომადი ბართაიასი</b> .....	44
	<b>მას'უდი, ლექსები. თარგმანი მაგალი თოდუასი</b> .....	50
	<b>ფარიდ ად-დინ ათთარი, ერთგული ცოლი. თარგმანი მაგალი თოდუასი</b> .....	53
	<b>მუჰამად ფუზული, ლექსები. თარგმანი მაგალი თოდუასი</b> .....	63
	<b>მეჰდი ახავან სალესი, ბაბუანვერავ... თარგმანი ნომადი ბართაიასი</b> .....	70
	<b>ბაჰრამ სადეყი, დაუპატიუებელი სტუმარი დიდ ქალაქში.</b> თარგმანი მზია ბურჯანაძისა	71
5.	<b>უზბეკური ლიტერატურა</b> .....	88
	<b>მუჰამად მუყიმი, ლექსები. თარგმანი მაგალი თოდუასი</b> .....	89
6.	<b>ჩინური ლიტერატურა</b> .....	95
	<b>ვანგ სიანგ ფუ, დედის სიყვარული. თარგმანი თამარ კარსანიძისა</b> .....	96

ყდაზე: ირანული მხატვრობა. **სიაუშ გურჯი (XVI ს.), „შევარდენი“.** პეტერბურგის მ. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ტირაჟი 30 (ოცდაათი) ცალი

რედაქტორი 593464565; E-mail: mzivditi@yahoo.com  
სწ. მდივანი 599160616; E-mail: nanio@yahoo.com



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge



9 772546 841005